# საერთო გაზეთი

№29 (386) • 10 აგვისტო, 2016 წ.• ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

## ოთარ აბესაძე:

## „ქართული ოცნება“ არჩევნებს ძალიან დამაჯერებლად მოიგებს

„ბიძინა ივანიშვილი საქართველოს არსებობის ისტორიაში ყველაზე მსხვილი ინვესტორია, რომელმაც ქვეყნის განვითარებას საკუთარი ჯიბიდან 2,5 მილიარდზე მეტი დაახარჯა“.

## გიორგი კვირიკაშვილი:

## მომავალი ოთხი წლის განმავლობაში თითოეულმა ოჯახმა უნდა იგრძნოს კეთილდღეობა

## სანდრო ბრეგაძე:

## ამ ყველაფრის მერე ის საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის...

## დავით ნემსაძე:

## ლევან იზორიას თინა ხიდაშელისგან უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო

ხიდაშელი თავდაცვის სამინისტროს ავადსახსენებელი წარსულია. მის მიერ გაფუჭებული საქმეების გამოსწორებას წლები დასჭირდება

## ვალერი კვარაცხელია:

## არც ნამგლით ვაპირებ ვინმესთვის ენის ამოჭრას და არც უროთი თავის გატეხვას - ჩემს მოსაზრებებს ვამბობ და ვისაც უნდა მომისმინოს, ვისაც უნდა - არა

## ნაცმოძრაობის მიერ დაკანონებული მოსახლეობის მასობრივი დაყაჩაღების სქემა, რომლის გამოც ათიათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა

- იპოთეკური სესხები – ბიზნესი, რომელიც თავისი მასშტაბებით ნარკობიზნესს უტოლდება.
- საქართველოში არიან ადამიანები, რომლებსაც მიზერულ ფასებში შეძენილი 350-400 ბინა აქვთ. ამ ბინების უმრავლესობა ვალების გამო საკუთარი სახლებიდან გამოყრილი ადამიანების ბინებია.
- პაატა ბურჭულაძის ფონდი „იავნანა“ ხშირად მონაწილეობდა აუქციონზე გამოტანილი ბინების შესყიდვაში.

## ოთარ აბესაძე:

# „ქართული ოცნება“ არჩევნებს ძალიან დამაჯერებლად მოიგებს

**2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ორიოდე თვე დარჩა. ამ მოკლე დროის განმავლობაში საზოგადოებამ განვლილი ოთხწლიანი პერიოდის სწორი ანალიზი და შეუმცდარი არჩევანის გაკეთება უნდა შეძლოს. როგორ აფასებენ საკუთარ მუშაობას მმართველ პარტიაში, რას იწონებენ თუ იწუნებენ საკუთარ ნაღვაწს, რისი გაკეთება შეეძლოთ უკეთ, რომელი პირობა დარჩათ შეუსრულებელი და რა მიმართულებით აპირებენ მუშაობას მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში? ამ და სხვა თემებზე „საერთო გაზეთს“ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი ოთარ აბესაძე ესაუბრა:**

– 2012 წელს ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ქართული ეკონომიკური ცხოვრების რაკურსის რადიკალური ცვლილება მოხდა. პოლიტიკური პარტია, რომელსაც ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზია აქვს, ვალდებულია თავისი ეკონომიკური ხედვები მოსახლეობის დაკვეთას მოარგოს. ვინაიდან მოსახლეობის დაკვეთა იყო სოციალური რეფორმები, ხელმისაწვდომი განათლება და ჯანდაცვა, გამართული სოფლის მეურნეობა და ა.შ, ბიუჯეტი ძირითადად სოციალური პროექტებისკენ იქნა მიმართული, მაგრამ ამის პარალელურად, მოხდა მეორე, ფუნდამენტალური გარღვევა: ბიზნესის კეთების თვალსაზრისით, საქართველოში შეიქმნა თავისუფალი გარემო და ქვეყანა მიმზიდველი გახდა უცხოური ინვესტიციებისთვის. აი, ახლა, როცა თქვენ გესაუბრებით, საქართველოში სტუმრად იმყოფება საუდის არაბეთის ბიზნესისა და ეკონომიკის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი, რომელიც ჩვენთან ინვესტიციების განხორციელებას აპირებს. რამდენიმე დღის წინ შედგა შვიდვარსკვლავიანი სასტუმროს „ბალტიმორ თბილისის“ პრეზენტაცია. პროექტი, რომელშიც 140 მილიონის ინვესტიცია განხორციელდა, რამდენიმე ასეულ ჩვენს თანამოქალაქეს დაასაქმებს, რაც ძალიან კარგია, თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მთელმა რიგი ფაქტორების გამო, რაღაც პერიოდში, გარკვეული ტიპის შენელება გვქონდა. გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენი ეკონომიკა მიბმულია რეგიონზე, სადაც ორ მთავარ

სავაჭრო პარტნიორს- რუსეთსა და უკრაინას შორის ომია. საომარ მოქმედებებს მოჰყვება ინფლაცია და ემბარგო. უკრაინაში, სადაც 100 დოლარი 800 გრივნა ღირდა, დღეს ერთი დოლარის ღირებულება 2500 გრივნაა. მეზობელ თურქეთში საერთოდ, სამხედრო გადატრიალების მცდელობა იყო. ამას ყარაბახის გაანხლებული კონფლიქტიც დაუმატეთ და მივიღებთ რეგიონს, სადაც ყველგან ომი და კონფლიქტია.

**– თქვენი თქმით, ჩვენი ეკონომიკის განვითარებაში შენელება მეზობელ ქვეყნებში არსებულმა კონფლიქტებმა გამოიწვია?**

– დიახ, რადგან როგორც წესი, უცხოელი ინვესტორი გათვლას მხოლოდ ოთხ მილიონიან ბაზარზე არ აკეთებს და საქართველოს აღიქვამს, როგორც ეკონომიკურ ჰაბს. ეს ნიშნავს, რომ აქედან უნდა მოხდეს დისტრიბუცია რეგიონებში, რომლებშიც ომი და კონფლიქტებია. სწორედ რეგიონის არაჯანსაღმა და გაუმართავმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ ჯაჭვური რეაქციით გამოიწვია ჩვენში ინფლაცია და ეკონომიკური ზრდის ტემპების შენელება. ასე რომ, სანამ რეგიონში სიტუაცია არ დასტაბილურდება, ეკონომიკის სწრაფი ტემპით აღმასვლა შეუძლებელია. პირდაპირ გეტყვით, საქართველომ კიდევ კარგად გაუძლო რეგიონის ეკონომიკურ წნეხს, რადგან რეგიონალური პრობლემების მიუხედავად, ბიზნესის კეთების მხრივ, საქართველო ინვესტორთათვის მიმზიდველი ლოკაციად რჩება და უცხოელი ინვესტორების ისეთი დაინტერესება, როგორც დღეს არის, არასოდეს ყოფილა.

**– ხელისუფლების ოპონენტებისგან ხშირად გვესმის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მოსახლეობას დაპირება ვერ შეუსრულა, რომ არსად ჩანს დაპირებული 100 საწარმო და ა.შ. ამ ბრალდებებს რით უპასუხებდით?**

– ვუპასუხებდი, რომ 100 კი არა, 150-ზე მეტი ახალი საწარმო შეიქმნა. თუ ვიღაცისთვის საწარმო მაინცდამაინც ამოშვერილ მილებს ნიშნავს, დღევანდელი საერთაშორისო სტანდარტებით, ბაზარზე ორიენტირებული მოთხოვნის შესაბამისად აგებული გადამამუშავებელი საწარმოები თავიანთი გაბარიტებით და ვიზუალური აღქმით, სრულიად განსხვავებულია. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ეკონომიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე შევიდეს და 150-ზე მეტი ოფიციალურად რეგისტრირებული, მუშა მდგომარეობაში მყოფი საწარმოს როგორც ფოტო, ასევე ვიდეომასალა იხილოს. ნახოს ამ საწარმოების ეკონომიკის ბრუნვა, დასაქმებული ადამიანების რაოდენობა და ა.შ. რაც შეეხება პოლიტიკურ ოპონენტებს, დასავლეთ საქართველოში თხილის მიმღები პუნქტები ნახონ, აღმოსავლეთ საქართველოში ღვინის მიმღები პუნქტები დაათვალიერონ, რაჭის ახლადგახსნილი საწარმოები მოინახულონ და პოლიტიკური ჟონგლიორობის სურვილი გაუქრებათ. საწარმოები ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად შენდება და კიდევ ძალიან ბევრი აშენდება „აწარმოე საქართველოში“ და სხვა პროექტების შესაბამისად.

**– იმ საწარმოების შესახებ, რომლებზეც თქვენ საუბრობთ, მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა არაფერი იცის. ალბათ, ამიტომაც უწუნებენ „ქართულ ოცნებას“ პიარტექნოლოგიების ცოდნას..**

– პიარს თავისი მიმართულებები აქვს. 2003-დან 2012 წლამდე ხელისუფლება პიარის ძალიან აგრესიულ ფორმას იყენებდა. საინფორმაციო მანქანა, პირდაპირი მნიშვნელობით, ერთ ადამიანზე მუშაობდა. ჟურნალისტებისგან მსმენია, რომ ირმა ნადირაშვილი პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან ახდენდა საინფორმაციო პოლიტიკის განსაზღვრას. ბუნებრივია, „ქართული ოცნების“ სტანდარტული, ძალიან გაწონასწორებული და ევროპული ტიპის პიარ-სტრატეგია ნაციონალური მოძრაობის აგრესიული პიარისგან სრულიად განსხვავებულია. დღეს საქართველოში აღარ არის საჭირო აღვირახსნილი პოპულიზმი. აღარ არის საჭირო, რომ პრემიერ-მინისტრს ყველგან კამერა დაჰყვებოდეს და სადაც ვინმეს დაელაპარაკება, იღებდეს. ცხადია, სიტყვის თავისუფლების პირობებში მთავრობა არ აკონტროლებს და არც უნდა აკონტროლებდეს ტელევიზიებს. როდესაც ტელევიზია საკუთარ სარედაქციო პოლიტიკას დამოუკიდებლად და არა კანცელარიიდან მიწოდებული ნუმერაციით არ განსაზღვრავს, ეს დემოკრატიაა. რა თქმა უნდა, არსებობენ პოლიტიკურად ტენდენციური ტელევიზიები, რომლებიც პირველ რგოლში კონკრეტული პოლიტიკური პარტიის დღის წესრიგიდან გამომდინარე ნიუსებს აშუქებენ და ბოლოს

„საერთო გაზეთი“
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავლის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

სამთავრობო ნიუსებს, მაგრამ მათ მოქმედების სრული თავისუფლება აქვთ და ეს მათ არჩევანია. მთავარი პიარი კი არა, ისაა, რომ მოსახლეობამ თავის თავზე იგრძნოს მთავრობის მუშაობა. ის ადამიანი, რომელსაც ხელფასი ან პენსია გაეზარდა, რომლის შვილი ან შვილიშვილი დადის საბავშვო ბაღში, სადაც გადასახადს სახელმწიფო იხდის, რომლის ოჯახის წევრმა ჩაბარა იმ 21 სპეციალობაზე, სადაც სწავლას სახელმწიფო აფინანსებს, ის სტუდენტი, რომელმაც სახელმწიფო სამეცნიერო გრანტი მიიღო, ის მეცნიერი, რომელსაც ხელფასი 150ლარიდან 800 ლარამდე გაეზარდა, ის მოხუცი, ოპერაციის გასაკეთებლად სახლის გაყიდვა რომ აღარ მოუწია და სამედიცინო დანახარჯები სახელმწიფომ დაუფარადა ის გლეხი, რომელსაც მიწა სახელმწიფომ დაუხნა, ზოგიერთი ტელევიზიის აღვირახსნილ პოპულიზმს აღარ დაუჯერებს..

**— ალბათ, მოსახლეობის ინფორმირების მიმართულებით, მნიშვნელოვან გარღვევად უნდა ჩაითვალოს ბანკი „ქართუს“ მიერ 120 მილიონი ლარით დაფინანსებული საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტი. პროექტის დასრულების შემდეგ ინტერნეტი ხელმისაწვდომი გახდება 2–მილიონამდე მოსახლისთვის. ახალ ინფრასტრუქტურას მიუერთდება ქვეყნის მასშტაბით არსებული ყველა სკოლა, ბიბლიოთეკა, მუნიციპალიტეტი და საავადმყოფო.**

— როცა ბიძინა ივანიშვილის ღვაწლზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ათვნიშნოთ, რომ ამ ადამიანმა თავის თავზე ოთხი ძირითადი მიმართულება აიღო: კულტურა, რელიგია, განათლება და საყოველთაო ინტერნეტიზაცია. ბატონმა ბიძინამ ქვეყანას გადაურჩინა ყველა კულტურული ძეგლი, ეკლესია და მონასტერი. საკუთარი სახსრებით გაარემონტა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1500-ზე მეტი სკოლა, აშენებს მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ტექნოლოგიურ ცენტრს. მისი მთავრობის პერიოდში ხელმისაწვდომი გახდა განათლება და ადამიანებს გაუჩნდათ შესაძლებლობა, საკუთარი სახლიდან მსოფლიოს ეკონტაქტონ. პირობითად ვიტყვი, რომ სოფელ მუხურაში მცხოვრებ ახალგაზრდას საშუალება ექნება, რომ ინტერნეტის საშუალებით ნახოს რა ხდება მსოფლიოში. ბიძინა ივანიშვილი რომ არა, დღეს ვიქნებოდით უდიდეს დიქტატში, არ გვექნებოდა კულტურული მემკვიდრეობა და ბევრს ეგონებოდა, რომ საქართველოს ისტორია 2003 წლიდან იწყება.

**— გეთანხმებით, თუმცა მუდმივად ბატონი ბიძინას ქველმოქმედების იმედად ვერ ვიქნებით..**

— ბიძინა ივანიშვილი დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ისტორიაში ყველაზე მსხვილი ინვესტორია, რომელმაც ქვეყნის განვითარებას საკუთარი ჯიბიდან 2,5 მილიარდზე მეტი დააზარჯა. არ არსებობს ინვესტორი, რომელიც თბილისში განსახორციელებელ პროექტზე ერთ წელიწადში ნახევარ მილიარდ დოლარს დაზარჯავს. ჩვენ ასეთი ვყავს და ამის დაფასებაც არ გვინდა. პანორამაზე რომ არის ამხელა ამბები ატეხილი, ამას ივანიშვილის ნაცვლად, არაბი ინვესტორი რომ ახორციელებდეს, ხმის ამომღები არავინ იქნებოდა. ტურისტებთან ვარძიის სამონასტრო კომპლექსით და განახლებული ოპერით რომ ვიწონებთ თავს, ის ვარძია და ის ოპერა ვინ გაარემონტა? თბილისს ზოოპარკი რომ არა აქვს, ვინ უშენებს? და რაც ყველაზე მთავარია, ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების პირობებში გვაქვს დემოკრატიული ქვეყნისთვის აუცილებელი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება. გაფორმდა ასოციერების ხელშეკრულება და სრულდება ვიზა-ლიბერალიზაციის პროცესი და ეს ცოტა ნამდვილად არ გახლავთ. რაც შეეხება თქვენს კითხვას, ჩვენ გვაქვს მოქალაქეზე ორიენტირებული ბიუჯეტი, რომელიც ადამიანებს ეხმარება განათლებაში და ჯანდაცვაში. სხვებთან ერთად, ნაციონალური მოძრაობის წევრების შვილებმაც მიიღეს სკოლაში უფასო წიგნები, ისინიც დაზღვეული არიან და მათი ოპერაციებიც დაფინანსდა. ამიტომ, ძალიან დიდი ბოდიში და ამ თემაზე ვერანაირი ოპონენტის ქილიკს ვერ მივიღებ. რა თქმა უნდა, ძალიანაც რომ გვინდოდეს, ცხრა მილიარდიან ბიუჯეტს ვერ გავცდებით, მაგრამ საუბარია არსებული ბიუჯეტის ეფექტიან გამოყენებაზე.

**— მოგეხსენებათ, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობას ბიუჯეტის არაეფექტურად და არამიზნობრივად ხარჯვაშიც ხშირად ადანაშაულებენ..**

— ვინ ადანაშაულებს? ის ირაკლი აბესაძე ხომ არა, მისი ქალაქის ვიცე მერად მუშაობის პერიოდში, ნაციონალური მოძრაობის აგიტატორების ხელფასებში სახელმწიფო ბიუჯეტის 4 მილიონ ლარზე მეტი რომ გადაირიცხა? როცა ირაკლი აბესაძე და ნაციონალური მოძრაობა ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვებზე ლაპარაკობს, ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური ჟონგლიორობა და ამომრჩეველის მოტყუებაა, თუმცა, ტყუილი ამ ადამიანების ცხოვრების წესია. თუნდაც, „ბლექ სი არენას“ გარშემო განვითარებული ამბები გავიხსენოთ. ბიძინა ივანიშვილმა 250 მილიონად

ღირებული საკონცერტო დარბაზო სახელმწიფოს აჩუქა და ამათმა მადლობის მაგივრად ერთი ამბავი ატეხეს- რად გვინდაო. მერე აღმოჩნდა, რომ გვინდა და ამ დარბაზში მსოფლიოს ყველაზე ცნობილმა ვარსკვლავები მღერიან. ნახევარი მსოფლიო „ბლექ სი არენას“ სცენაზე საუბრობს და „რუსთავი 2“- ის ინფორმაციით, კონცერტებს მხოლოდ1000-მდე მაყურებელი ესწრება. მინდა ეს ადამიანები დავამშვიდო და ვუთხრა, რომ მათივე კალკულაცია საარჩევნო სიას რომ შევადაროთ, „ქართული ოცნება“ არჩევნებს ძალიან დამაჯერებლად მოიგებს. რაც შეეხება ქველმოქმედების იმედად ყოფნას, ნებისმიერი ეკონომიკური რეფორმა გათვლილია გრძელვადიან ეფექტზე. პირობითად გეტყვით, რომ 2016 წელს გატარებული რეფორმა შედეგს 2018-19 წელს გამოიღებს. აქვე, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ წელს საქართველოში ტურისტების არნახული რაოდენობაა. პრაქტიკულად, ტურისტულ რეგიონებში მდებარე სასტუმროებში შეიძლება თავისუფალი ნომერიც კი ვერ ნახოთ. 2016 წლის შვიდ თვეში საქართველოს 3 400 335 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 11%-ით მეტია. შესაბამისად, გაიზარდა ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი და 354 მილიონს შეადგენს. ყველა კვლევა ადასტურებს, რომ ტურიზმში განხორციელებული ინვესტიცია ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური საშემოსავლო წყაროა და საქართველოსთვის ცალსახად მომგებიანია.

**— სოფლის მეურნეობის მიმართულებით განხორციელებულ პროექტებზე რას იტყვით?**

— „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სოფლის მეურნეობაში იმაზე მეტი მიწა დაიხნა, რაც ოდესმე დახნულა საბჭოთა კავშირის შემდეგ. 2012 წლიდან მოყოლებული, საქართველოში ყურძნის ჩაბარების მაქსიმალური ფასია. გრძელდება მექანიზაციისა და გადამამუშავებელი ტექნიკის პროექტები და ახალი საწარმოების 50%-ზე მეტი სწორედ სოფლის მეურნეობის განხრით მუშაობს. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც გადაჭრას საჭიროებს, არის გასაღების ბაზარი გლეხებისთვის. ამ პრობლემის მოგვარებას ემსახურება ახალი აბრეშუმის გზის პროექტი, ახალი ანაკლიის პორტის იდეა, დალაგებული რეგიონალური ურთიერთობები და ასოცირების ხელშეკრულება ევროპასთან, რომ ხარისხიანი ქართული პროდუქტი ევროპულ ბაზარზე გავიდეს. იმისთვის, რომ ადგილობრივი წარმოების ექსპორტისთვის მზადება მოხდეს, პრემიერის განკარგულებით, სახელმწიფო საწარმოებზე გაცემულია მაქსიმალური ინვესტიციები. ასე, რომ რეგიონალური კოლაფსის და პრობლემების პირობებში, საქართველოში წარმოების სფეროში საშშენებლო და ტურისტული ბუმია.

**— 28 ივლისს ჰეპატიტის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით, ჯანდაცვის მინისტრმა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის სტატისტიკაზე ისაუბრა. სერგეენკოს განცხადებით, 5 ათასზე მეტმა პაციენტმა მკურნალობა უკვე დაასრულა და C ჰეპატიტისგან განკურნებულთა მაჩვენებელი 92%-ია. ვინაიდან ასეთი მასშტაბური პროპექტის განხორციელებას ჩვენზე გაცილებით დიდი ბიუჯეტის მქონე ქვეყნები ვერ ახერხებენ, გაჩნდა ვარაუდი, რომ ამ პროექტის განხორციელებაშიც ბიძინა ივანიშვილის მონაწილეობს.**

— მე არ მინდა ვილაპარაკო იმაზე, რაზეც თავად ბატონ ბიძინას არ სურს საუბარი. თუ ეს პროექტი კონკრეტული ადამიანის სახსრებით ხორციელდება, ამაზე თავად უნდა ისაუბროს. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ პროექტი არ გაჩერდება და კიდევ უამრავ ადამიანს გადაარჩენს. სხვათა შორის, ამ პროექტის ერთ-ერთი ავტორი ჩემი მეგობარი და ოზურგეთის მაჟორიტარი კანდიდატი არჩილ თალაკვაძეა. ბიძინა ივანიშვილის პრემიერობის დროს, როცა ციხეებში C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის დაიწყო, თალაკვაძე სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე იყო. დიახ, ერთი ხელისუფლება პატიმრებს ციხეებში აწამებდა, მეორე კი C ჰეპატიტისგან კურნავს. როცა ხელისუფლებას ქვეყნის განვითარების და ადამიანზე ორიენტირებული პოლიტიკური ნება აქვს, ციხეში და ციხის გარეთ ადამიანები C ჰეპატიტისგან აღარ დაიხოცებიან და ამას წინ ვერ აღუდგენა ვერანაირი პოლიტიკური დემაგოგია. მინდა თქვენი გაზეთის საშუალებით, არჩილ თალაკვაძეს არჩევნებში წარმატება ვუსურვო და ოზურგეთელებს ვუთხრა, რომ მათ 21-ე საუკუნის პოლიტიკური შეგნების მქონე დეპუტატობის კანდიდატი ჰყავთ.

**— იქნებ ორიოდე სიტყვა „ქართული ოცნების“ სამომავლო ეკონომიკურ პროექტებზეც გვითხრათ?**

— არ მინდა, მოვლენებს წინ გავუსწრო. დაელოდეთ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო ეკონომიკურ პროგრამას და ყველაფერს გაიგებთ.

— წარმატებებს გისურვებთ.

**ნელი თორდია**
571 35 36 88

## რამაზ საყვარელიძე:

# „ქართულმა ოცნებამ“ ძალების სრული მობილიზაცია უნდა მოახდინოს, რომ 8 ოქტომბრის არჩევნებს 9 ოქტომბრის დესტაბილიზაცია არ მოჰყვეს...

## გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე

**— ბატონო რამაზ, ქართულ პოლიტიკაში გადალაგების პროცესი გრძელდება. ოპოზიცია ჯერ ინაშვილის გარშემო გაერთიანდა, ახლა კი, „გირჩის“, ვაშაძის პარტიისა და „ახალი მემარჯვენეების“ სახით ახალი გუნდი შეიკრა. საკმაოდ უცნაური კომბინაციები იკვეთება, რა მოლოდინი გაქვთ?**

— ქართულ პოლიტიკაში დიდი ხანია ისმის შეძახილი — გამსხვილდით. ეს გაერთიანებაც სწორედ ამის შედეგია. ბევრი პატარ-პატარა პარტია არსებობდა. მეორე საკითხია რამდენად შეიძლება მათ პარტია ეწოდოთ. რასაც ჩვენთან პარტიას ვეძახით, რეალურად, ეს ლიდერის მხარდამჭერი ჯგუფებია, რომელთაც ბარიერის გადალახვის პრობლემაც უდგათ და პოლიტიკაზე გავლენის საკითხიც კითხვის ნიშნის ქვეშ აქვთ. ამ კონტექსტში გაერთიანება ცუდი არაა. გაუგებარი ელემენტი წარსული არის. თავის დროზე „ახალი მემარჯვენეები“ „ნაციონალებთან“ მებრძოლი ერთ-ერთი აქტიური პარტია იყო. ახლა, ვაშაძემ თქვა: წარსულზე შეფასებებში ვერ ვთანხმდებით, მაგრამ ორიენტაცია მომავალზე გვაქვს აღებულიო. მეორე მომენტი ისაა, რომ ვინც გაერთიანდა ყველა მემარჯვენე ორიენტაციისაა და იქნება, ამან შემოიტანოს ის კლიმატი, რომ გარდა გეო-პოლიტიკური ორიენტაციისა საქართველოსთვის ეკონომიკური პოლიტიკის ორიენტირიც მნიშვნელოვანი გახდეს, ანუ, მემარჯვენეობა და მემარცხენეობა. ამ თვალსაზრისით, გაერთიანება, გასაგებია. თუმცა, არ მგონია, ამ გაერთიანებამ მათ ძალიან მნიშვნელოვანი რეიტინგული შედეგი მისცეს, რადგან როდესაც სხვადასხვა ისტორიის ხალხი ერთიანდება ყოველთვის არის რისკი, რომ ის ვინც ადრე, ერთ-ერთ პარტიას უჭერდა მხარს როგორც ცალკე აღებულს, ამ ბუკეტში შეიძლება მხარი აღარ დაუჭიროს. ასე, რომ ამომრჩეველთა ჯამი შეიძლება ვერ მიიღონ პირიქით, ამომრჩევლები დაკარგონ.

**— ყველამ ვიცით, რა რეჟიმში გამოგვატარა „ნაციონალებმა“ 9 წლის მანძილზე, მაგრამ ნაცები მაინც უკან დაბრუნებაზე საუბრობენ.**

— „ნაციონალების“ რიტორიკა ცალკე საუბრის თემაა. ნუ დაგვავიწყდება, რომ „გირჩი“ და ვაშაძის პარტია ცდილობენ ტრადიციულ ნაციონალურ სახეებს გაემიჯნონ, თუმცა, ამას მთელი სისრულით არ აკეთებენ, რაც ჩემი აზრით, მათი ძირითადი შეცდომაა. იმიტომ, რომ გამიჯვნა უბრალოდ, პარტიიდან გამოსვლით და ცალკე ყოფნით არ ხდება. პოლიტიკური გამიჯვნა უნდა მოხდეს და ითქვას, რა შეცდომები და რა დანაშაულობები იყო ჩადენილი. აქ მარტო შეცდომაზე არაა ლაპარაკი, არამედ დანაშაულზე. „ნაცებს“ და ამ გუნდს სურთ ყველაფერი შეცდომაში გადაიტანონ. „ორი გვამი მინდა“ — შეცდომაა თუ დანაშაული? მით უმეტეს, მაშინ, როცა ეს ორი გვამი მართლაც მიიღო. „ნაციონალებისგან“ მკაფიო გამოდიფერენცირება თუ არ მოხდა, „გირჩსა“ და ვაშაძის პარტიას მაინც ისე მოეპყრობიან როგორც „ნაციონალებს“. რაც შეეხება „ნაციონალებს“ ისინი ამბობენ: ხალხი არ გვიღებს იმიტომ, რომ პრო-რუსული ძალები გაძლიერდნენ, ჩვენ კი პრო-ევროპულნი ვართო. ანუ, პოლიტიკა შემოაქვთ როგორც არგუმენტი. პოლიტიკა არაფერ შუაშია. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ პრო-ევროპული ორიენტაცია ისევ ძალაშია, უბრალოდ, „ნაციონალები“ აღარ უნდათ. ისინი კი იძახდნენ პრო-ევროპული პოლიტიკას ვატარებთო, მაგრამ რეალურად, საქართველოში საბჭოთა კავშირი დაამყარეს.

**— „ნაციონალების“ ევროპა ბევრად განსხვავდებოდა რეალური ევროპისგან. მათ ევროპაში ძალადობა, ციხეებში წამება, ქუჩაში ახალგაზრდების ჩახოცვა, 300 ათასი პრობაციონერი იყო.**

— დიახ, ყველაფერი ის, რაც ევროპისთვის მიუღებელია. რეალურ ევროპაში ბიუჯეტის ფულით საკუთარი მგზავრობის ბილეთის აღებისთვის პრეზიდენტებს ასამართლებს. ამ ევროპისკენ მივდივარო ის პოლიტიკური პარტია იძახის, რომელმაც ბიუჯეტი კი არა, კერძო საკუთრებები დაითრია და ისე აკონტროლა როგორც სურდა. საიდან აქვს „ნაცმოძრაობას“ დღევანდელი სახსრები? ამბობენ შემოწირულობებიაო. მაგრამ ეს შემოწირულობები რატომ კეთდება, შემთხვევით

იძლება მთელი აჭარის ზღვისპირეთი „ნაციონალების“ კონტროლის ქვეშ აღმოჩნდეს. რის გამო, ვისმა შეცდომამ მიიყვანა აქამდე პროცესი, ეს სხვა საკითხია. სააკაშვილი რომ მოვიყვანეთ, არ გვიკითხავს ეს ვისი შეცდომით მოხდა, მერე, მთავარი გადასაწყვეტი იყო, როგორ არ გაგრძელებულიყო ეს მცდარი გზა. ახლაც, გადასაწყვეტია როგორ არ გაგრძელდეს მცდარი გზა. „ქართული ოცნებაც“ უშვებს შეცდომებს, მაგრამ რაც თვალში მკაფიოდ საცემია დანაშაულს არ ჩადის. თუმცა, შეცდომის შედეგს შეიძლება ბათუმის პერსპექტივა წარმოადგენდეს. ამიტომ, მოსახლეობა მაქსიმალურად შესაკვრელია. ხალხი კარგად უნდა დაფიქრდეს, რას ნიშნავს 2016 წლის არჩევნები თითოეული ჩვენთაგანისთვის და იმავე სულისკვეთებით მიიღოს გადაწყვეტილება, როგორც 2012 წელს.

**— შესაძლოა არჩევნების მერე უმართავი პროცესები მივიღოთ?**

— საფრთხის რეალურობის განცდა მაშინ გამიჩნდა, როცა სოციოლოგიური კვლევებით „ნაცებისა“ და „ქართული ოცნების“ რეიტინგი ერთმანეთს გაუთანაბრეს. რადგან ეს ძალიან წააგავდა იმ ფონს, რასაც „ნაცმოძრაობა“ იყენებდა — აი, სოციოლოგიურმა კვლევებმა დაგვანახა, რომ ჩვენი რეიტინგი თანაბარიაო. შესაბამისად, თუ „ქართული ოცნება“ მათ წინ გაუსწრებდა, ატყდებოდა ყვირილი, რომ არჩევნები გაყალბებულია. თუ სოც-ჯგუფები ასეთ ფონს აღარ შექმნიან და მათ შორის, განსხვავება მეტ-ნაკლებად რეალობასთან ახლოს იქნა, მაშინ გაყალბების ფორმულას საფუძველი მოეშლება. მაშინ გაყალბებას სხვა ფაქტების ამოტივტივებით შეეცდებიან. არ გამოვრიცხავ თავად გააკეთონ კარუსელები და ა.შ., რათა მერე, ამაზე ალაპარაკდნენ როგორც გაყალბებაზე. ზოგადად, რატომ არის მოსალოდნელი 9 ოქტომბრის დესტაბილიზაცია? — ჯერ ერთი, უცხოეთთან სჭირდებათ ყვირილი, რომ თითქოს, „ქართული ოცნება“ არჩევნებს აყალბებს, მუდმივად, იმიჯის გაფუჭებაზე მიდის მუშაობა. მეორეც, ჩვეულებრივი საარჩევნო წესით, საქართველოს რეალობაში, ისინი ხელისუფლებაში ვერასოდეს მოვლენ. ამიტომ, რევოლუციური რეჟიმი უფრო აწყობთ, ოღონდ, ეს იმ პირობებში თუ დამაჯერებელი საბაბი იქნა და თუ ამ საბაბის დამჯერებელი ადამიანების დიდი რაოდენობა ეყოლათ.

**— ამ რესურსის მოძიების ბერკეტი აქვთ?**

— წესით, უნდა გაუჭირდეთ. დავუშვათ, დღეს, „ნაცმოძრაობაზე“ არანაკლებ ბურჭულაძის პარტიის სჯერათ. თუ მისმა პარტიამ 9 ოქტომბერს დაიძახა არცევნები გაყალბდა და ქუჩაში გამოდითო, შეიძლება საპროტესტო აქციას ხალხი შეემატოს. ეს კი ბურჭულაძის პარტიისთვის დამღუპველი იქნება იმიტომ, რომ გამოჩნდება ძალების როგორ განლაგებაში ხედავენ საკუთარ თავს, ანუ, „ნაციონალების“ გვერდით.

**— ანუ ბურჭულაძეც „ნაცების“ ოპერიდან მღერის?**

— ბურჭულაძის რამოდენიმე განაცხადი აშკარად ნაციონალური პროპაგანდის დუბლირების შთაბეჭდილებას ტოვებდა — თითქმის არ იყო კრიტიკა წინა 9 წელზე და თურმე, ქვეყანა ახლა იღუპება. ეს აქცენტები, ბუნებრივია, ამ ეჭვს აჩენს. მით უმეტეს, ამ ეჭვს უფრო ენდობი, როცა მიშა მაჭავარიანი ამბობს: თანახმა ვართ ბურჭულაძის პარტიასთან ვითანამშრომლოთო. ე.ი. მან ფაქტობრივად, თქვა რომ ბევრი საერთო აქვთ. რაღა ჩემგან სწყინთ, მეც თუ ასე ვფიქრობ. დაუფიქრდნენ საით მიდიან, მგონი ეს გადაწყვეტილიც არ აქვთ, ჩამოუყალიბებელია რიტორიკაც, რაც საქართველოში იშვიათი არაა, მაგრამ თუ არ უნდათ „ნაციონალებთან“ გაიგივება, მაშინ საკუთარი თავიდან დაიწყონ ამის მოგვარება და ანალიტიკოსებს მერე მიადგნენ.

**— ამ პროცესებს თან სდევს ტელევიზიებით, პირდაპირ ეთერში გამართული ცემა-ტყეპა.**

— საერთოდ, ქართულ ჟურნალისტიკას უკვე დიდი ხანია გლადიატორების არენისკენ აქვს მისწრაფება. ქართულმა ჟურნალისტიკამ დაასკვნა, რომ გართობა გლადიატორების ბრძოლაა. სამწუხაროდ, ქართულ ეთერში შემოსული საჯარო პირები არ ითვალისწინებენ იმას, რომ ფაქტობრივად, სკანდალის გათამაშების დამდგმელთა

6 გვ.

## დავით ნემსაძე:

# ლევან იზორიას ხიდაშელისგან უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო

**ხიდაშელი თავდაცვის სამინისტროს ავადსახსენებელი წარსულია. მის მიერ გაფუჭებული საქმეების გამოსწორებას წლები დასჭირდება**

როგორც ცნობილია, თავდაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს — **ლევან იზორია**. რა მემკვიდრეობა დაუტოვა მას წინამორბედმა? ამ და სხვა კითხვებზე ჩვენს გაზეთს პასუხობს თინა ხიდაშელის მიერ უსამართლოდ დათხოვნილი თადარიგის ოფიცერი, სამხედრო ბლოგერი, უფროსი ლეიტენანტი **დავით ნემსაძე**.

**— ბატონო დავით, როგორც იქნა, ქალბატონმა ხიდაშელმა მინისტრის სავარძელი დატოვა, უფრო ზუსტად — დაატოვებინეს და უწყებას ახალი მინისტრი — ლევან იზორია ჰყავს. რა ვითარება დახვდა ბატონ იზორიას სამინისტროში?**

— ხიდაშელი თავდაცვის სამინისტროს ავადსახსენებელი წარსულია. მის მიერ გაფუჭებული საქმეების გამოსწორებას წლები დასჭირდება. ვისაუბრებ ხიდაშელის დანატოვარზე, ანუ მის კადრებზე, რომლებიც დივერსიულ ჯგუფებად ჰყავს თავდაცვის სამინისტროში. ლევან იზორია თავდაცვის სამინისტროში მოსულიც კი არ იყო, ხიდაშელმა მისი კანდიდატურა უტაქტოდ დაიწუნა და, რაც მთავარია, არაარგუმენტირებულად.

**— უფრო კონკრეტულად, რა დაუწუნა?**

— ძალოვანი პირის თავდაცვის მინისტრად დანიშვნა შეცდომა და ნაკლია დემოკრატიისთვისო...

**— თუ არ ვცდები, თავდაცვის სამინისტრო ძალოვანი უწყებაა და მას, ლოგიკურად, ძალოვანი პირი უნდა ხელმძღვანელობდეს. აბა, ქალბატონი თინას აზრით, ვინ უნდა ედგას სამინისტროს სათავეში?**

— იცით, ხიდაშელი იმავე „ნაგვის ბუნკერიდან“ არის აღზევებული, საიდანაც „წარმოიშვა“ სააკაშვილი და მისი ხროვა, ანუ მათ ერთი მსოფლმხედველობა აქვთ, რომლის მიხედვით, პური არა მეპურემ, არამედ მეწაღემ უნდა გამოაცხოს და პირიქით. მაგალითად, ხიდაშელისთვის სავსებით მისაღები იყო, როდესაც ოპერეტული დიქტატორის — სააკაშვილის მმართველობის დროს კულტურის მინისტრად დაინიშნა არა კულტურის სფეროში მომუშავე ღვაწლმოსილი ადამიანი, არამედ ყაჩაღი და, დიდი ალბათობით, მკვლელიც... ამიტომ, მეცინება, როცა „ენჯეოშნიცა“ იურისტმა, რომელმაც დაღუპა არმიის საბრძოლო სულისკვეთება და შეამცირა მისი ბრძოლისუნარიანობა სამხედრო სავალდებულო გაწვევაზე უარის თქმით, ეს არ გახლდათ დემოკრატიული სახელმწიფოს უსაფრთხოებისთვის ზურგში დანის ჩარტყმა? ხიდაშელის ლოგიკასმოკლებულ მსჯელობაში პოლიტიკურ საბოტაჟს უფრო ვხედავ, ვიდრე დემოკრატიული პრინციპებისთვის დარდს. ხიდაშელის ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება ახალი მინისტრის მიმართ ჩემში ბატონი იზორიასადმი მხოლოდ სიმპათიას იწვევს.

**— ბატონო დავით, თქვენ ახსენეთ თავდაცვის სამინისტროში ქალბატონ ხიდაშელის მიერ დატოვებული „დივერსიული ჯგუფი“. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ „ჯგუფის“ წევრები მაგ უწყებაში ჯერჯერობით საკვანძო თანამდებობებზე რჩებიან. ვინ არიან ისინი?**

— ლევან იზორიამ პირველი ჭკვიანური ნაბიჯი რაც გადადგა, იყო ის, რომ ხიდაშელის დატოვებული მოადგილეები მყისიერად თავიდან მოიშორა და ამაში მას კანონმდებლობაც დაეხმარა. ასე და ამგვარად, ის დავით ებრალიძე, რომელზეც თქვენი გაზეთი წერდა, კერძოდ, რომ მან უსამართლოდ სამხედროები საერთო საცხოვრებლიდან გააძევა, მაშინ, როცა თავად ცოლის სახელზე გაქირავებული ბინიდან ათასობით ლარი შემოსდიოდა, განეიტრალებულია; თუმცა, ხიდაშელის „მარჯვენა ფრთა“, მისი სიცრუის მანქანის — პრესკლუბის თანამშრომლები: იმედა დარსალია და თამარ კაციტაძე ჯერ კიდევ თანამდებობებს ინარჩუნებენ.

**— ეს თამარ კაციტაძე ის პიროვნებაა, რომელიც აცხადებდა, რომ „საერთო გაზეთს“ თავის ადგილს მიუჩენს? დღემდე ველოდებით მის პასუხს იმ კრიტიკულ წერილებზე, რომელშიც ვამხელდით თავდაცვის სამინისტროში გამეფებულ კორუფციას, ნეპოტიზმს და ჯარისკაცებისადმი სადისტურ დამოკიდებულებას.**

— ეს ზუსტად ის თამარ კაციტაძეა. ათასობით ლარს ხელფასის სახით, ბიუჯეტიდან იღებს, ხოლო კრიტიკაზე დუმს. სხვათა შორის, მინისტრი იზორია ერთი დღის მოსულიც არ იყო სამსახურში, როცა იმედა დარსალია და თამარ კაციტაძე ერეკლეს მოედანზე მდებარე ღია კაფე-ბარში — თინა ხიდაშელთან ერთად თავყრილობას აღნიშნავდნენ და ამით „ფეისბუქზე“ თავს იწონებდნენ.

ხიდაშელის ერთგული კადრებია გიორგი შაიმშელაშვილი და ირაკლი მოლოდინი, ასევე, არჩილ აბრამია, რომელიც მინისტრის ადმინისტრაციის უფროსად რჩება. ასევე, ომარ ბეგოიძე. მან თავისი ძმა დააწინაურა და სასათბურე პირობებში ჰყავს, ანუ ფულს აშოვნინებს... ხიდაშელის მომხრეების ჩამოთვლა შორს წამიყვანს. „კაცის კაცებით“ აივსო სამხედრო უწყება, ნეპოტიზმი პიკშია, სახეზეა საკადრო დივერსია. ხიდაშელმა იქაურობა საკუთარ კანტორად აქცია. ნათესაური და სხვა ახლობლურმეგობრული კავშირით, თავდაცვის სამინისტროს უწყებრივ სამოქალაქო ბლოკში უზნაძის და კვინიტაძის ქუჩებზე სამასზე მეტი ადამიანი ზის. მაგალითად, გიორგი მოლოდინის ცოლის დაქალი, პარლამენტარ ლევან ბერძენიშვილის საახლობლოდან ბრძანდება. არაფერს ვამბობ 7 ნოემბრის პროკურორზე, უსუფაშვილის მეგობარზე, რომელიც ხიდაშელმა უწყების გენერალური ინსპექციის უფროსად დასვა. მისი სახელია ირაკლი იმერლიშვილი; ხოლო თავად ინსპექტირების სამსახურში დაწინაურდა ბიძინა ივანიშვილის ცნობილი მაგინებელი, ჟურნალისტი სოფიო ედიბერიძე. ამავე ინსპექციაში რჩებიან „ფეისბუქმზვერავები“ — ილია სუხაშვილი და ედუარდ დემეტრაშვილი. ეს ბატონები ოფიცრებს ატერორებდნენ და აიძულებდნენ, კარნახით დაეწერათ სიცრუის შემცველი განმარტებები; აი, ასეთ კლანურ-საბოტაჟური რეჟიმის შემქმნელ ხიდაშელს, თურმე, პრეტენზიები აქვს იზორიას კანდიდატურასთან. ეს, უბრალოდ, სასაცილოა.

**— რას ფიქრობთ, ბატონი იზორია გაართმევს თავს არსებულ ვითარებას?**

— წინასწარ ვერაფერს ვიტყვი. სასურველია, მან მოახდინოს საკადრო ცვლილებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის საკადრო საბოტაჟს ვერ ასცდება. შეიქმნება პოლიტიკური ქაოსი, რითაც ხიდაშელი ისარგებლებს. თავდაცვის სამინისტროში ყველა დონეზე და ყველა მიმართულებით არის გადაჭარბებული კონსპირაცია, რაც, უდავოდ, სავალალოა და დამღუპველი ჯარისთვის. მინისტრი იზორია საკმაოდ გამოცდილი კადრია. მას არ უნდა გაუჭირდეს ინფორმაციის გაფილტვრა და ყველასთვის სათანადო ადგილის მიჩენა. ზუსტად ეს აწუხებდა ხიდაშელს. ახალ მინისტრს ის და მისი „ყოჩაღი“ გუნდი ამ ურთიერთობებში ვერ გააცურებენ. არის იმის განცდა, რომ ლევან იზორია ნაც-რესპების „ბუნაგს“ არ დაინდობს და ამიტომაც გააკრიტიკა ის ხიდაშელმა.

**— ბატონო დავით, ინტერვიუებით თქვენ არაერთხელ აუწყეთ საზოგადოებას თავდაცვის სამინისტროში კრიმინალური ვითარების შესახებ. თქვენი ვარაუდით, ამ მძიმე გარემოს შესაცვლელად როგორ იმოქმედებს ბატონი იზორია?**

— ვიტყვი იმას, რომ ლევან იზორია კარგი პროფესიონალია. სავარაუდოდ, სამინისტროში არსებული ხიდაშელის ბანდა შეეცდებოდა ახალ მინისტრს შემრიგებლურ პოზაში დახვედროდა, მაგრამ, მათი სახეებით თუ ვიმსჯელებთ, ამ ტრიუკმა არ გაჭრა.

**— რას გვეტყვით გენერალურ შტაბზე, რა „ტექტონიკური რყევები“ გამოიწვია იქ მინისტრის შეცვლამ?**

— რა უნდა გითხრათ, კანონმდებლობით გენერალური შტაბის სტატუსიც არ არის განსაზღვრული და ის, თურმე, რაღაც აქტის საფუძველზე, თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულად ითვლება.

**— ეს როგორ?! ნუთუ, გენერალური შტაბი ცალკე მდგომი ძლიერი და არმიის წარმმართველი სუბიექტი არ უნდა იყოს?!**

— კი, ასე უნდა იყოს, მაგრამ ასე არ არის და, როგორც იტყვიან, „რაც არ არის — არ არის და ააფრინე ალალი“. სხვა მინისტრებს თავი რომ დავანებოთ, ხიდაშელი ხომ იყო იურისტი. რა, მან ეს არ იცოდა? მშვენივრად იცოდა ყველაფერი. უბრალოდ, არ აწყობდა დეპოლიტიზირებული და თავის საქმიანობაში დამოუკიდებელი გენერალური შტაბი. ხიდაშელმა თავისი ხალხი, ომარ ბეგოიძის სახით, ჩანერგა გენერალურ შტაბში; ასევე, რომან ჯოხაძის პოზიციები გააძლიერა. გენშტაბის უფროსს — გენერალ-მაიორ კაპანაძეს თითქმის ყველა მოადგილე ისე დაუნიშნა, რომ მას არავინ შეეკითხა. აი, ეს იყო ხიდაშელის „დეპოლიტიზირებული“ არმია. სამაგიეროდ, „არმი-ქარდი“ გააკეთა ქალბატონმა და „მაკდონალდსში“ 10%-იანი ფასდაკლება მისცა ჯარისკაცებს. აი, გენშტაბი კი, სტრუქტურულ ერთეულად დატოვა.

**— საინტერესოა, რას აკეთებდა გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე? მას ხომ შეეძლო ხმის ამოღება? რატომ დუმდა?**

— ამ შეკითხვას ახლა არ ვუპასუხებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძე, მისი მოადგილეებისგან განსხვავებით, ნაბრძოლი სამხედროა, თუმცა, ეს მას პასუხისმგებლობას მატებს და არა პირიქით. ჯარში გადაწყვეტილების მიღება უმთავრესია. ალბათ, რთულია ომარ ბეგოიძისნაირი მოადგილის ატანა, კაცის, რომელსაც

6 გვ.

# ქართულმა ოცნებამ“ ძალების სრული მობილიზაცია უნდა მოახდინოს, რომ 8 ოქტომბრის არჩევნებს 9 ოქტომბრის დესტაბილიზაცია არ მოჰყვეს...

4 გვ.

ხელში მარიონეტები არიან. აქ, უბრალოდ, თავმოყვარეობამ მაინც უნდა გიკარნახოს, რომ პროვოკაციას არ აჰყვე. რაც შეეხება „რუსთავი2“-ს იგი პოლიტიკური მედიაა. რიგ ქვეყნებში მედიას გაცხადებული აქვს რომელი პოლიტიკური პარტიების ინტერესებს იცავს. „რუსთავი2“ ტენდენციური, ერთი პოლიტიკური ძალის მედია საშუალება. ეს პოლიტიკური ძალა ცდილობს რაც შეიძლება მეტი დაძაბულობა შეიტანოს. ბუნებრივია, „რუსთავი2“-იც იგივე პოლიტიკას გაატარებს და ეცდება ვითარება მეტად დაძაბოს.

— **პოლიტიკურ არენაზე პრეზიდენტიც გამოჩნდა, რომელიც ახალ პოლიტიკურ ცენტრს ქმნის, რამდენად შესაძლოა პრეზიდენტის შექმნილი ცენტრი არჩევნების მერე გაყალბებაზე ალაპარაკდეს და სამოქალაქო დაპირისპირებას შეუწყოს ხელი?**

— პრეზიდენტში ამ ვერაგულ ჩანაფიქრს ვერ ვხედავ. არ ველოდები, რომ იგი „ნაციონალების“ თამაშის თოჯინა გახდება, მან არც ივანიშვილის თოჯინობა მოინდომა. ეს მარიონეტობის მიმართ პროტესტი იყო. არ მგონია „ნაცების“ მარიონეტობა მოინდომოს. რაც შეეხება არეულობის მოწყობას, შიდა ძალები ამას დამოუკიდებლად ვერ შეძლებენ. რუსეთისთვის ქართულ პოლიტიკურ პროცესებში ასეთი ჩარევა, ახლა, ძალიან წამგებიანია. მით უმეტეს, მეეჭვება რუსეთმა ასეთი ჩარევის მექანიზმი იპოვოს.

— **„ქართულმა ოცნებამ“ ახალი სახეები წარადგინა. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეძლებს იგი არჩევნებში ამ გუნდით გამარჯვებას?**

— ამ პარტიის სრული სახელწოდება ასეთია — „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველო“. მგონი, „ქართული ოცნება“ როგორც დასახელება ცოტა რომ ჩაქრეს და დემოკრატიულმა საქართველომ წამოიწიოს, უფრო უპრიანი იქნება. იმიტომ, რომ ამ პარტიამ განვლილ ოთხწელიწადში აჩვენა, რომ დემოკრატიულობა სურს და ძალადობაზე არ მიდის. მაშინ ამ სათაურს ასეთი ინტერპრეტაცია ჰქონდა — ქართველი ხალხის ოცნება დემოკრატიული საქართველოს აშენებაა. თუ ამას ავიტაცებთ, მაშინ საქართველოს საზოგადოებას შანსი აქვს ამ ოცნების ჩამოყალიბება გააგრძელოს. ბევრი რამ გასაკეთებელია, სხვა თუ არაფერი, მრავალპარტიულობის შანსი ჩნდება. რაც შეეხება ახალ სახეებს ჯდებიან თუ არა ასე გაგებულ ოცნების ფორმატში, რაშიც დემოკრატია იგულისხმება, ამ პროცესისთვის უცხოეთში სწავლადამთავრებული ადამიანის ყოლა პლუსია. იგი რაღაც პერიოდი მაინც ნაცხოვრებია იმ საზოგადოებაში, საითაც გინდა ქვეყანა წაიყვანო. ეს პლუსია იმ მხრივაც, რომ დასავლეთი უფრო გენდობა როცა მასთან სწავლამიღებულს ნიშნავ. იგი თვლის, რომ მასთან სწავლამიღებული მასზევეა ორიენტირებული. „ქართულ ოცნებას“ მართლა სჭირდებოდა ისეთი განაცხადი, რომლითაც გააძლიერებდა საკუთარ ორიენტაციას. მით უმეტეს, სახეზეა ვიზა ლიბერალიზაციის თემა. თანაც, მთელს მსოფლიოში ატყდა იმაზე საუბარი, რომ რუსეთი ცდილობს რეგიონებზე გავლენა იქონიოს და მით უმეტეს, მის მოსაზღვრე რეგიონებზე. ახალი სახეების გამოჩენა იმ მხრივაც მეჩვენება პოზიტიურად, რომ ისინი არ არიან ევროპული განათლების ჩუმი ძეგლები, მათ მეტყველება და კამათი შეუძლიათ. მაგრამ ეს 15 კაცი 150 კაციან სიაში გადამწყვეტი არაა, გააჩნია როგორ გადანაწილდება ადგილები. ბევრი მათგანი მაჟორიტარად მიდის, რაც პოზიტივად მიმაჩნია იმიტომ, რომ მაჟორიტარობა პოლიტიკოსისთვის სკოლაა — სწავლობს საზოგადოებასთან ლაპარაკს, მის მოსმენას. თუ ამერიკასავით მაჟორიტარულ სისტემაზე გადავალთ, ჩვენი პოლიტიკოსები მართლა პოლიტიკოსებს დაემსგავსებიან და არა მატარებლის ვაგონებს. მივესალმები იმ დამოკიდებულებას, რომ ახალგაზრდები ცხელ, საბრძოლო უბნებზე გადაისროლეს და ვაგონში არ ჩასვეს.

— **ოპოზიციური სპექტრი მთლიანად გაერთიანდა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ საბრძოლველად...**

— სულ ასე ვართ, 25 წელია არსებობს მონსტრი და ყველა მის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანდება, ეს სურათი მეორდება. 2003 წელს მონსტრების დამარცხების რეჟიმიდან გამოსვლის შანსი იყო, სანამ საკაშვილი რევოლუციას მოახდენდა. დგებოდა რეალური მრავალპარტიული არჩევნების მომენტი. სწორედ, პარტიული არჩევნების შედეგები გააუქმა საკაშვილმა, მერე გამარჯვებულმა პარტიამ ყველაფერი აიღო. ნანატრი მრავალპარტიულობა გვჭირდება, რათა მონსტრები აღარ არსებობდნენ და ეს პათოსიც აღარ იქნება.

— **წელან ახსენეთ, ივანიშვილმა ურეიტინგო პარტიები ჩრდილიდან მზეზე გამოიყვანა, ასეთი იყო რესპუბლიკელებიც. მათ რა შანსები აქვთ?**

— თუკი „რესპუბლიკელები“ ბარიერს გადალახავენ მერე, ალბათ, იქნება კოალიციურ მთავრობაზე საუბარი. ამ პარტიასაც ექნება შანსი ამ კოალიციურ მთავრობაში შესვლის. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს „რესპუბლიკელებმა“ კბილები გამოაჩინეს, მგონი, კარდინალური დაპირისპირება არ მომხდარა. პარტიების დიდ ნაწილს ბარიერის გადალახვის პრობლემა უდგას, მათ შორის, „რესპუბლიკელებსაც“.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ლევან იზორიას ხიდაშელისგან უმძიმესი მემკვიდრეობა ერგო

5 გვ.

არც ერთ ომში მონაწილეობა არ მიუღია, რომელიც არ ყოფილა ოცეულის მეთაურიც და უცებ, ხიდაშელის სურვილით, შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე ხდება. გულითადად ვუთანაგრძნობ გენერალ კაპანაძეს ამ ტრაგიკულ შემთხვევას.

— **ბატონო დავით, რაზე აისახა ქალბატონი ხიდაშელის ჩარევა გენერალური შტაბის საქმიანობაში?**

— პირდაპირ ვიტყვი — აისახა იმაზე, რაც უმთავრესია — საბრძოლო სულისკვეთებაზე. ჯარისკაცის ყველაზე ძლიერი იარაღი არის მისი მამულიშვილობა და შემართება. თუ ეს ჯარისკაცს არ აქვს, ყველაზე თანამედროვე ამუნიციითაც რომ აღჭურვო, მასეთი ჯარისკაცის ხელში ის მხოლოდ ქვის ნაჯახი იქნება. მთელი ამ ხნის განმავლობაში გენერალურმა შტაბმა ვერ მოახდინა სამხედრო საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირება. თქვენ წარმოიდგინეთ, გაწერილი არ არის ოფიცრის კარიერული პირამიდა, ანუ ის „კიბე“, თუ როგორ უნდა განვითარდეს ოფიცერი, რა საფეხურები უნდა განვლოს მან, რაც უმთავრესია სამხედრო ცხოვრებისთვის.

— **რატომ ვერ მოხერხდა გენშტაბში საგანმანათლებლო რეფორმა?**

— არ ვიცი. შეეკითხეთ გიორგი თავდგირიძეს.

— **გიორგი თავდგირიძეს?**

— ის იყო ხიდაშელის მრჩეველი სამხედრო საკითხებში და მისგან, ხიდაშელისთვის ხოტბის შესხმის გარდა, არაფერი გაკეთებული არ მინახავს. მთავარია „არმი-ქარდი“ და „მაკდონალდსში“ ფასდაკლება ჯარს უკვე აქვს. რად უნდათ მათ „საკარიერო კიბე“? მის გარეშე ხიდაშელი უფრო იოლად წყვეტდა, რომელი ფავორიტი სად და როგორ დაეწინაურებინა. კანონმდებრივი წინაღობის არარსებობა არის საშუალება სახელმწიფოს რესურსების პირად კუჭზე და ინტერესების მორგებისა.

— **როგორც ვიცი, გენერალური შტაბის უფროსს — ვახტანგ კაპანაძეს მისი მოვალეობის შესრულების ვადა ეწურება. რას გვეტყოდით ამის თაობაზე?**

— გენშტაბის უფროსი თანამდებობას 5 წლის ვადით იკავებს და, როცა ეს ვადა გადის, მას ან გადააყენებენ, ან ვადას გაუგრძელებენ. მაგრამ პრობლემა ამაში არ არის. „მარათონი“ გენშტაბის უფროსის პოსტის დასაკავებლად მიმდინარეობს „ზურგში დანის ჩარტყმის“ პოლიტიკით. სამინისტროში დარჩენილი ხიდაშელის კადრები სამარცხვინოდ იქცევიან. გენშტაბის უფროსობის სურვილი რომ აქვთ - კარგია, მაგრამ იმსახურებენ უფროსობას? ნამდვილად არ გამიხარდება, კაპანაძე გენერალური შტაბის უფროსობიდან რომ მოხსნან და მის მაგივრად მისი მოადგილეები — ჯოხაძე ან ბეგოიძე დაინიშნონ.

— **ხიდაშელის გადადგომამდე რამდენიმე დღით ადრე, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლებმა — ბექა ქირიამ და მარიამ თაუაიშვილმა, „პიას“ პრესკლუბში გამართეს პრესკონფერენცია, სადაც ისაუბრეს სამინისტროში გამეფებულ ნეპოტიზმზე და გენინსპექციის უფროსის — ირაკლი იმერლიშვილის უპასუხისმგებლო ქმედებებზე. მაინტერესებს ერთი რამ, ნუთუ ამ ორმა პიროვნებამ მხოლოდ თინა ხიდაშელის წასვლისას დაინახა სამინისტროში არსებული უწესრიგობა?**

— ყურადღებით ვუსმინე ამ პრესკონფერენციას. ბექამ და მარიამმა საოცრად მნიშვნელოვანი განცხადებები გააკეთეს. მოყვანილ ფაქტებთან დაკავშირებით პროკურატურამ აუცილებლად უნდა დაიწყოს გამოძიება. რაზეც ამ ორმა ადამიანმა ისაუბრა არის, არც მეტი და არც ნაკლები, ხიდაშელის მხრიდან საკადრო დივერსიის მოწყობა, რაც სერიოზული დანაშაულია! პირადად მაქვს შესწავლილი ნეპოტიზმის, იგივე, ნათლიმამობის საქმე და ქირია-თაუაიშვილის პათოსს სრულიად ვიზიარებ. ვინც არ უნდა იყვნენ ეს ადამიანები, დანაშაულის ასეთ გამოაშკარავებას, უდავოდ, სამოქალაქო გამბედაობა სჭირდება. ხიდაშელმა დაალპო სამხედრო უწყება „ნათლიმამობის ჭაობში“ და ბოლოს ისე გაიქცა სამინისტროდან, იმის კულტურაც არ ეყო, სამინისტროს გადაბარება ახალი მინისტრისთვის სამუშაო კაბინეტში, მოეხდინა. ხიდაშელი გარეთ გავარდა და ბაზრის ქალივით ალიაქოთი ატეხა — ლევან იზორიას უსაფუძვლო კრიტიკა დაუწყო. აი, როგორც ბავშვები აიჩემებენ ხოლმე, ისე გაჰყვიროდა: „ძალოვანია, ძალოვანი!“, თითქოს, ძალოვნობა კეთრი ყოფილიყოს. მართალია, ხიდაშელი თავად არ გახლავს ძალოვანი, მაგრამ არც დემოკრატი ბრძანდება. ის მოქალაქეებს კაბინეტის კართან ემალებოდა. მინდია ჯანელიძეც ძალოვანი იყო, მაგრამ, როცა მოვითხოვე მასთან შეხვედრა, მიმიღო და ერთ საათზე მეტი მესაუბრა. ადამიანის დემოკრატობას მისი სამსახურეობრივი სტატუსი კი არ განსაზღვრავს, არამედ მისი პიროვნება განაპირობებს. ასე რომ, ქალბატონ ხიდაშელს ვურჩევ, სანამ სიტყვა „ძალოვანს“ ახსენებს, მანამდე გაზგასული თბილი „ბორჯომი“ მიირთვას... ერთი სიტყვით, ხიდაშელმა ლევან იზორიას უმძიმესი მემკვიდრეობა დაუტოვა, რის გამოსწორებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდება. ვიმედოვნებ, ახალი მინისტრი მოწოდების სიმაღლეზე დადგება.

**გიორგი კორძაძე**
571 77 61 95

# კომკავშირლები კომკავშირლებთან გაერთიანდნენ, რომ ახალი საქართველო „ააშენონ“

„ახალი მემარჯვენეები“ მარცხენა ფეხზე ადგნენ ერთ მშვენიერ, წინასაარჩევნო დღეს და „გირჩთან“ და ვაშაძის „ახალ საქართველოსთან“ ბლოკში გაწევრიანდნენ...

რა გაუჭირდათ, ამის ფასი „ახალ მემარჯვეენბს“-თქო, გავიფიქრე თავდაპირველად... მერე დავფიქრდი და გამახსენდა, რომ „ახლები“ დიდი ხანია აღარ არიან ახლები, კარგა ხანია მოძველდნენ და ბლოკის, გაერთიანების და ალიანსის გარეშე ვერ გააქვთ ბედკრული სული არჩევნებიდან არჩევნებამდე...

ბოლო დროს, ხშირად მესმის, ეს ყოფილი ნაცია, ეს ყოფილი მოქკავშირელიო... „მოქკავშირი“ კარგა ხანია აღარ არის და ამიტომ ყოფილი მოქკავშირელის პოლიტიკოსობა, მეტ-ნაკლებად მოსაწყენია ამომრჩევლისთვის, მაგრამ მამუკა კაციტაძე და მანანა ნაჭყეპია („ახალი მემარჯვენეები“) არა თუ მოქკავშირში, კომკავშირშიც კი იყვნენ გაწევრიანებულნი... ქალბატონი მანანა, თავის დროზე, კომკავშირის ცეკაშიც მუშაობდა... ვაშაძეს კი, თავის რეგიონში და არა მხოლოდ იქ, დღემდე ჭიათურელი კომკავშირელით მოიხსენიებენ... ჰოდა, ახლა რომ საბჭოთა საქართველოში ვცხოვრობდეთ, სად იქნებოდნენ ან კაციტაძე, ან ნაჭყეპია, ან ვაშაძე და ან ზურაბ ჯაფარიძე? რაიკომის მდივნებად, ცეკას განყოფილებების უფროსებად, კაბინეტებში და შავ ვოლგებში, ანუ, ხომ?.. მედროვება ჰქვია ამას, მედროვეობა...

უხერხული და უადგილო იქნება ქალბატონი ფიქრია ჩიხლაძის დავიწყებაც, რომელიც პრეზიდენტის აპარატშია წარგზავნილი... ქალბატონი ფიქრიაც არ გახლავთ ახალი, მაგრამ ისიც „ახალ მემარჯვენეებში“ მოიაზრებოდა და მოიაზრება...

როცა კაციტაძე ომახიანად ყვებოდა, როგორ შეცვლიდა თავისი პარტიით საარჩევნო გარემოს, ნეტავ მაშინ უკვე ჩავარდნილი ჰყავდა გულში ვაშაძე და ჯაფარიძე? იქნებ, სულაც ვაშაძესთან და ჯაფარიძესთან მეგობრობის ნიშნით აირჩია „ნაცების“ მოყვარულმა მარგველაშვილმა ქალბატონი ფიქრია? ან პირიქით, იქნებ ქალბატონმა ფიქრიამ აირჩია პრეზიდენტი ბოკერიასთან მეგობრობის ნიშნით... რა მნიშვნელობა აქვს, ჯამი უცვლელია... ამ შესაკრებთა ჯამი ტერიტორიულად ცოტა შორს ზის ახლა ჩვენგან და შვილების ერთობით გულმოცემული, ბედნიერი გაჰყურებს ოდესის ყურეს...

ქალბატონმა მანანამ ბრძანა, კი გავერთიანდითო, მაგრამ ბლოკის პირობებში, „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერები, წინა პლანზე

არ ვიქნებითო, პრიორიტეტი ახალ კადრებს მიენიჭებათო...

ვაშაძემ განაცხადა, სამი პრინციპის გარშემო გავერთიანდითო და ესენია: პიროვნული თავისუფლება, ეკონომიკური თავისუფლება და დასავლური არჩევანიო... და მეც ჩავთვალე რომ ეს სამი პარტია ამ სამ პრინციპს გაინაწილებდა: მაგალითად: ვაშაძე პიროვნულ თავისუფლებას, მართალია, სამოქალაქო რეესტრში მუშაობის დროს პრემიებს უწერდა თანამშრომლებს და მაგიდაზე ადებინებდაო, ამბოდნენ ჩვენი გაზეთის და არა მხოლოდ, ფურცლებიდან პოლიტიკოსები, მაგრამ გაზრდილია მას შემდეგ ბატონი გიორგი, დაკაცებულია და აწი გაუფრთხილდება პიროვნულ თავისუფლებას... დასავლურ არჩევანს მეგონა „ახალი მემარჯვენეები“ ჩაიბარებდნენ, რავი ენა აქვთ უკვე გაცვეთილი ამ დასავლეთზე საუბრით და მაგიტომ და ეკონომიკა რათქმაუნდა „გირჩის“ პრეროგატივა უნდა ყოფილიყო... იმიტომ რომ, გირჩი მაინც ხის ნაყოფია და ეკონომიკური კრიზისის დროს მწვანე გირჩის მურაბას მაინც მოვხარშავთ...

მაგრამ, კაცნი ბჭობდნენ და „გირჩი“ იცინოდაო, ისე გამოვიდა ამათი საქმე... იმავე დღეს, რა დღესაც „ბლოკში“ გაერთიანდნენ პატივცემული პარტიები, საკუთარ ფეისბუქგვერდზე „გირჩმა“ განაცხადა: გირჩი გირჩად რჩება და გირჩის პროგრამა ბლოკის პროგრამადო...

ჰკითხეს:- „ახალი მემარჯვენეების“ მონარქისტობას რა ეშველებაო?

მაგას არ ჩავამატებთ საარჩევნო პრორამაში, გვერწმუნეთო (ხარხარის სმაილიკებით) — უპასუხა „გირჩმა“

კიდევ ერთი ფეისბუქმომხმარებელი, ხათუნა დაინტერესდა „გირჩის“ მომავლით: „წარმოვიდგინე ერთ სივრცეში — ვაშაძე და ჯაფარიძე, ან ხაბეიშვილი და მოსი... მაპატიეთ, მაგრამ ასეთი სისულელე რამ ჩაგადენინათ?“

რაზედაც, „გირჩმა“ იმ წამსვე უპასუხა: „სისულელე იქნებოდა პარლამენტი ვერ შესვლის საფრთხეში, ჩვენი ამომრჩევლის ხმების დაკარგვა“...

ნუ, წინადადება ცოტა კი გაუმართავია, მაგრამ აზრის გამოტანა

მოვახერხე: ანუ ეს გაერთიანება პარლამენტში მოსახვედრად დაგჭირდათ და ის სამი პრინციპი არაფერ შუაშია? აკი, ჯაფარიძემ განაცხადა კიდეც, ყველა პოლიტიკურ ძალას გადავუგზავნე გაერთიანების წინადადება და პასუხს ველოდებიო და მართლა სულ ერთია ჰო, ვისთან გაერთიანდებით, ვის

შეერწყმებით და ვის გადაეხვევით წინასაარჩევნოდ?!

იდილია უნდა დაგირღვიოთ და გაგიმხილოთ: ვისაც არ უნდა გადაეხვიოთ და შეუერთდეთ, ვისაც არ უნდა ემთხვიოთ და შეერწყათ — მაინც არაფერი გამოვა... აკი, თქვენი ფეისბუქის გვერდზეც, მხოლოდ ადმინისტრატორი იგერიებს ფეისბუქმომხმარებლების უარყოფით მესიჯებს... აკი, იქაც კი არ გყავთ რამდენიმე ერთგული ამომრჩეველი, რომელიც თავისი, უბრალო სიტყვებით დაგიჭერთ მხარს და გამოგესარჩლებათ და რისი და ვისი იმედი გაქვთ?

პატივსაცემმა „გირჩმა“... თავისი ახალი მეკავშირეები არც ერთი სიტყვით დაიცვა, როცა თავისსავე გვერდზე ულანძღავდნენ, იხარხარა „ახალი მემარჯვენეების“ იდეოლოგიებზე და მიუხედავად იმისა, რომ პრინციპების თანხვედრის გამო აარჩია, თურმე, ეს ორი თანამოაზრე, მაინც ყველა პარტიას გაუგზავნა მოწვევა... სასწაული ხალხი ხართ პირდაპირ, თუ სულერთი არ არის ვისთან გაერთიანდებით და თანამოაზრეებს ირჩევთ, ყველას როგორ გაუგზავნეთ მოწვევა? თუ თანამოაზრეებთან ერთიანდებით



და საერთო პრინციპები გაქვთ, მათ ლანძღვაზე რა გაცინებთ?...

და ყველაზე მთავარი: მხოლოდ „გირჩის“ მიერ გაწერილი პროგრამით იხელმძღვანელებს ბლოკი წინასაარჩევნოდო, არანაირი განხილვა, არანაირი გადახედვა, არანაირი მოლაპარაკება, ასე ერთპიროვნულად... ანუ ვაშაძეს და „ახალ მემარჯვენეებს“ არ ჰქონდათ წინასაარჩევნო პროგრამა, თუ, რაც ჰქონდათ არ უვარგოდათ, თუ, როგორ იყო საქმე?

არასოდეს მეგონა ვაშაძე და „ახალი მემარჯვენეები“ თუ შემეცოდნებოდნენ, მაგრამ, ოდესმე ყველაფერი ხდება პირველად...

ჰოდა, თუ ერთმანეთის პატივისცემაც არ გაგაჩნიათ, მაშ რა პრინციპებზე მესაუბრებით ამომრჩეველთა ხმებზე მონადირეთა ჯგუფო? თუ ერთი პრინციპი გაქვთ და მაგ პრინციპს პარლამენტი ჰქვია?

ეჰ, მონადირეებს სიმამაცე მაინც აქვთ... თქვენ კი არ გეყოთ იმის სიმამაცე, ღიად და თამამად გეთქვათ, ჩვენ მხარს ვუჭერთ საკაშვილს... და ღიად და თამამად დამდგარიყავით მეთაურის გვერდით... ამიტომ ფსევდობლოკად ერთიანდებით, რომ ფსევდონაცური ინტერესები გაიზიაროთ...

მართალია, წინასაარჩევნოდ მოდაშია გამოთქმა: „ვისი ვისაშია, ვერ გაიგებო“, მაგრამ საქართველო პატარა ქვეყანაა, აქ ყველა ყველას იცნობს, აქ ყველას ახსოვს ვინ საიდან და როგორ მოდის, ვინ რა გზა გაიარა და რა დაპირება გასცა, ვინ ვის უღალატა და ვინ ვის უერთგულა... შესაბამისად, გამოგიჩნდათ უკვე თქვენი ვისაშია და ვისი თქვენსაში და დამალვას აზრი აღარ აქვს...

„გირჩს“ ფეისბუქგვერდზე ჰკითხეს: ეს — გირჩი რაღა სახელია, რამ მოგაფიქრათო?

„გირჩი მწვანეა, სიახლის სიმბოლოა... და უბრალოდ მოგვწონსო“ — უპასუხა ამდინისტრაციამ...

„გირჩი ყავისფერიცაა და ყავისფერი რასთან ასოცირდებაო“ — არ დაუგვიანა პასუხის პასუხი ფეისბუქმომხმარებელმა...

„გირჩის“ ადმინისტრაციამ ვითომ ვერ გაიგო, რას ეკითხებოდნენ, გაატარა... ან, იქნებ ვერც მიხვდა...

ჰოდა, მაინც რა დროშა მოგცათ, მიშამა, რა დროშა?

და ტარი ან მახათი თუ მოაყოლა, გენაცვალე, ტარი, ან მახათი...

თამუნა კეშელავა
555 46 08 04

# ნაცმოძრაობის მიერ დაკანონებული მოსახლეობის მასობრივი დაყაჩაღების სქემა, რომლის გამოც ათიათასობით ადამიანი უსახლკაროდ დარჩა

● იპოთეკური სესხები – ბიზნესი, რომელიც თავისი მასშტაბებით ნარკობიზნესს უტოლდება.

● საქართველოში არიან ადამიანები, რომლებსაც მიზერულ ფასებში შეძენილი 350-400 ბინა აქვთ. ამ ბინების უმრავლესობა ვალების გამო საკუთარი სახლებიდან გამოყრილი ადამიანების ბინებია.

● აუქციონზე ნულოვანი წესით ბინების გაყიდვა კორუფციული და თაღლითური სქემის მთავარი წყაროა.

● პაატა ბურჭულაძის ფონდი „იავნანა“ ხშირად მონაწილეობდა აუქციონზე გამოტანილი ბინების შესყიდვაში.

● კანონში დარჩენილი ხვრელები, რომლებიც შეიძლება კიდევ მრავალი ადამიანისთვის გახდეს უბედურების მომტანი.

**საქართველოში უმუშევრობაზე დიდი პრობლემა ვფიქრობთ, იპოთეკური სესხებია, რამაც ლამის მოსახლეობის ნახევარი საკუთარი ჭერის გარეშე დატოვა.**

**„საერთო გაზეთის“ დღევანდელი ნომრის სტუმრები არიან ადვოკატი ნანა ქადაგიშვილი და არასამთავრობო ორგანიზაცია „დაზარალებულთა ცენტრის“ (ქ. ქუთაისი) თავმჯდომარე დარეჯან სულაქველიძე.**

ნანა ქადაგიშვილი: „ცვლილება შევიდა, როგორც პოლიციის შესახებ კანონში, რომლის მიხედვითაც გამოსახლების უფლება ჩამოერთვა პოლიციას, ისე აღსრულების შესახებ კანონში, სადა ზღვარი. პროცენტის ოდენობა, ფაქტობრივად განუსაზღვრელი იყო და თან სამთვიანი ხელშეკრულებები იდებოდა, გაჭირვებული ადამიანს, რომელსაც სხვა გზა არ ჰქონდა, თანახმდებოდა უკიდურესად კაბალურ პირობებს.თ. ასე რომ, მსესხებელი თავშივე განწირული იყო. ზუსტად ამ წლებში შემოიღეს საპოლიციო გამოსახლება, რაც აღსრულების დაუყოვნებლივ შესასრულებლად ჭირდებოდათ, რომ ახალ მესაკუთრეებს, რომლებიც აუქციონის თუ პირდაპირი მიყიდვის წესით დაეუფლნენ ქონებას, დაუყოვნებლივ გამოესახლებინათ ძველი მფლობელი. ეს სფერო ისეთ სერიოზულ ბიზნესად იქცა, რომ არაფრით ჩამოუვარდებოდა ნარკობიზნესს. მუშაობდნენ გარკვეული ჯგუფები, რომლებიც უცილობლად იმარჯვებდნენ აუქციონებზე, 100.000 დოლარად და უფრო ძვირად ღირებულ ქონებებს მიზერულ ფასად იგდებდნენ ხელში, რაც ორ კვირაში საბაზრო ღირებულებით ჰქონდათ გაყიდული. **იმ წლებში, ერთი შეხედვით უბრალო ადამიანებმა ძალიან ძვირი ქონებები დააგროვეს. მაგალითად ვინმე მზია ნათენაძესა და მის შვილს კობა ბედოიძეს 2010-2011 წლებში 400 ბინა აქვთ შეძენილი. დაუზუსტებელი ინფორმაციით, ნათენაძეშს ყოფილი მინისტრის ვანო მერაბიშვილის ახლო ნათესავია.** მოგვიანებით მის მიმართ სს-ის საქმეები ყოფილა აღძრული, იყო მიმალვები თუ დაჭერები, თუმცა გაუბედურებულმა ხალხმა ვერაფერს მიაღწია, უძრავი ქონებები მაინც დაკარგეს, ზარალი არავინ აუნაზღაურა. საქმე იმაშია, რომ მარტო იპოთეკური სესხის გამო არ კარგავდა ხალხი უძრავ ქონებას, აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან არსებული კომისია ბინიდან ასახლებს აფხაზეთიდან დევნილი მაკა მარკელიას ოჯახს, რომელიც

მოქალაქო სამართლის კოდექსსა და საპროცესო კოდექსში. ახლა სასამართლო განხილვის შემდეგ ხდება აღსრულების უზრუნველყოფა, მაგრამ ესეც პრობლემის ნაწილობრივი მოგვარებაა, რადგან პირს, რომელსაც ვთქვათ, 5.000 დოლარის ოდენობის ვალი ჰქონდა, 100.000-დოლარიანი ქონება ნულოვანი აუქციონის მეშვეობით კვლავ კაპიკებში გაუყიდონ. საერთოდ იპოთეკური სესხი, რომლის რაობასაც სამოქალაქო სამართალი განსაზღვრავს, თავისი არსით გრძელვადიანი სესხია, რომელმაც დამახინჯებული ფორმა მიიღო. ეს განსაკუთრებით 2006-2007 წლებიდან დაიწყო, როცა ნაცხელისუფლებამ უარყოფითი რეგულაციები განახორციელა სამოქალაქო სამართალში, საპროცესო კოდექსში მოისპო სესხის პროცენტის ზეთაღლითობის მსხვერპლი გახდა. მათთვის დევნილთა სამინისტროს არ მიუცია უძრავი ქონება, თავიანთი სახსრებით შეიძინეს და გაქირავებული ჰქონდათ, რადგან ოჯახს ავადმყოფი ყავდა, რომლის მოვლა-პატრონობასაც წლების განმავლობაში უზარმაზარი თანხები ჭირდებოდა. ოჯახმა ერთადერთი თავშესაფარი გააქირავა და შედარებით მცირე ფართის ნაქირავებ ბინაში გადავიდა საცხოვრებლად. დამქირავებელმა ვინმე ყაჭიურმა რა დოკუმენტაციის გაყალბებით და რომელი ნოტარიუსის თანადგომით გადაიფორმა ეს ბინა, მფლობელებმა არაფერი იცოდნენ, სანამ ფაქტის წინაშე არ დადგნენ. ყაჭიურმა ბინა მოგვიანებით ხსენებულ კობა ბედოიძეზე გაასხვისა (ეს ყველაფერი 2008 წელს ხდება), ყაჭიური შემდგომ დაიჭირეს, მას სხვა მოდავეებიც ყავდა, თაღლითობის ბრალდებით სასჯელის გარკვეული წილი მოიხადა, მაგრამ ახალი ხელისუფლების მიერ გამოცხადებული ამნისტიის საფუძველზე გაათავისუფლეს. მართალია, იგი ნანობს რომ ასე მოექცა მარკელიების ოჯახს, მაგრამ მათთვის ეს ვერაფერი შეღავათია, თაღლითი კი დასაჯეს, მაგრამ ბინიდან გამოსახლება მაინც ემუქრებათ, რადგან ბედოიძე კეთილსინდისიერ შემძენად ითვლება. მარკელია ბუნებრივია, კარგად ვერ ერკვევა იურისპრუდენციაში, მისმა ადვოკატმა კი ბედოიძესთან ერთად ყაჭიური არ დააყენა მოპასუხე მხარედ, იურისტი კი უნდა მიმხვდარიყო, რომ ბედოიძეს კეთილსინდისიერ შემძენად ჩათვლიდნენ. ყაჭიური ამბობს, რომ მას ჰქონდა ურთიერთობა ბედოიძესთან, გარიგებაში იყვნენ და ამ უკანასკნელმა იცოდა ყაჭიურის თაღლითური სქემის შესახებ. აქედან გამომდინარე, ბედოიძე თანამონაწილე გამოდის, მაგრამ უზენაესმა სასამართლომ ეს ფაქტი არ გაიზიარა.

დარეჯან სულაქველიძის განცხადებით, თაღლითების აღვირახსნილი თარეშის მსხვერპლი არაერთხელ გამხდარა იმერეთის მოსახლეობაც. ქუთაისელ ე.წ. შუამავლებს, კერძოდ, ბელა ახალაიასა და თამარ ჩხობაძეს, დაახლოებით 60 ოჯახი ჰყოლიათ მოტყუებული.

**დარეჯან სულაქველიძე:** „მარგო კუხიანიძეს მძიმე ავადმყოფი შვილი ყავდა, ამიტომ სასწრაფოდ ჭირდებოდა საოპერაციო თანხა. ხსენებულმა „შუამავლებმა“, ბელა ახალაიამ და თამარ ჩხობაძემ, იგი კერძო გამსესხებელს დაუკავშირეს და ერთადერთი ბინა იპოთეკით დაატვირთინეს, თუმცა აღებული თანხა მას არ მისცეს, როგორც საშუამავლო ფირმა, ვალდებული ვართ ეს თანხა რამდენიმე დღე ჩვენს ანგარიშზე დავდოთ და მერე გადმოგცემთო. გაუბედურებული დედა იძულებული იყო დათანხმებოდა, მათ მოხვეტეს ეს ფული და გაქრნენ. დანარჩენი ოჯახებიც ანალოგიური სქემით მოატყუეს, პირდებოდნენ დღეს მოგცემთ, ხვალ მოგცემთო, თუმცა წლები გავიდა და არ დაუბრუნებიათ. ამასობაში კუხიანიძეს ავადმყოფი შვილი გარდაეცვალა, დარჩა იპოთეკური ვალი, რომლითაც საერთოდ არ უსარგებლია და ცერებრალური დამბლით დაავადებული შვილიშვილი. კრედიტორმა აღსრულებისთვის პოლიციას მიმართა, დღე და ღამე ვდარაჯობდით, რომ ბებია და შვილიშვილი არ გამოესახლებინათ, წინა დღესაც გვიან ღამემდე მათთან ვიყავი, მაგრამ მეორე დღეს დილაადრიან მივიდა პოლიცია, რომ დაუკაკუნეს, ქალბატონ მარგოს მეზობელი ეგონა და კარი გაუღო, შეცვივდა 15 პოლიციელი, ეს უბედური ხალხი ქუჩაში გამოყარეს და სახლი დალუქეს. სხვათა შორის, წინა მთავრობის დროს ორივე „შუამავალი“ დაიჭირეს და 35-35 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, თუმცა მათ ციხეში მხოლოდ ერთი წელი გაატარეს, რა პრინციპით შეეხო მათ ახალი ხელისუფლების მიერ გამოშვებული ამნისტია, ვერაფერს მოგახსენებთ, ფაქტია ციხიდან გამოუშვეს. როცა ამნისტიის საკითხი დადგა, მათი ადვოკატი მივიდა იმ „გადაგდებულთაგან“ ექვს კაცთან და ფაქტობრივად, ხელმეორედ მოატყუა, ციხიდან გამოვლენ და ექვსი თვის განმავლობაში ვალს გაგისტუმრებენო. მათ ვალი არ დაუბრუნებიათ, მაგრამ რატომღაც სამართალდამცავები ამ ფაქტით არ დაინტერესებულან. პრეზიდენტმა საკაშვილმა ნასამართლეობის მოხსნასთან დაკავშირებით, განკარგულება გამოსცა, ახალაიამ და ჩხობაძემ სასამართლოს მიმართეს, ნასამართლეობაც მოიხსნეს და დღეს პატიოსანი ადამიანებივით დადიან ქალაქში. დაზარალებულები უკვე სამოქალაქო წესითაც ვერ დაობენ, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ისინი დაზარალებულად ცნო, იპოთეკით დატვირთული სახლკარიდან მაინც გამოასახლეს. შეიძლება ვინმემ თქვას, აქ იპოთეკარი რა შუაშია, თაღლით შუამავლებს მოატყუებია ეს ხალხიო, იპოთეკარ **მამია რუხაძესთან**, რომელმაც რამდენიმე მოვალე ოჯახი გამოასახლებინა, შუამავლებად სწორედ ახალაია და ჩხობაძე ფიგურირებენ. იპოთეკარი, რომელიც ამ გზით ვთქვათ, ათი სახლის მფლობელი გახდი

და შუამავლად ის ადამიანი გყავს, რომელმაც ამდენი ადამიანი მოატყუა, ხომ ჩნდება ეჭვი, რომ ალიანსში ხარ მასთან და შეთანხმებით მოქმედებდით. ამგვარი ალიანსები დაზარალებულთა ადვოკატებმა უნდა გამოკვეთონ, გაარკვიონ რამდენჯერ იყვნენ შემხებლობაში გამსესხებლები და ეს ე.წ. შუამავლები. გამოსახლება ემუქრება **ნუგზარ**

**ვაშაყმაძის** ოჯახს, რომელიც მძიმე მდგომარეობის გამო იძულებული გახდა მამია რუხაძისგან 16.000 აშშ დოლარი ესესხა, საიდანაც 6.000 დოლარი „შუამავალმა“ **თამარ ჩხობაძემ** გამოსტყუა. ნუგზარ ვაშაყმაძე რუხაძეს 30.000 დოლარს სთავაზობდა (მანამდე პროცენტებიც გადახდილი ჰქონდა), მაგრამ უარი მიიღო, 34.000 დოლარი უნდა გადამიხადოო, მოგვიანებით იმერეთის აღსრულების მომრიგებელი საზოგადოების ხელმძღვანელი ჩავრიე, დაიწყო მოლაპარება, გამოსახლების გადადებაზე დავითანხმეთ. კიდევ რამდენიმე ანალოგიური შემთხვევა იყო, რაც მხოლოდ იმიტომ გადაიდო, რომ წყალტუბოში პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი იყო ჩამოსული მაჟორიტარი დეპუტატის წარსადგენად. პრემიერს პირისპირ შევხვდი და საქმის კურსში ჩავაყენე, რომ მეორე დღეს წყალტუბოში ბინიდან ასახლებდნენ კაცს, რომელსაც ნაციონალების მთავრობამ საფინანსო ჯარიმა დაუწესა, რომლის გადაუხდელობის გამო, მისი უძრავი ქონება სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა. სახელმწიფომ ეს ქონება გაუყიდა, შემძენი ვიღაც გორელი იპოთეკარია, რომელსაც ბევრი სახლი აქვს ასე შეძენილი, იგი იმ ქონებაში, რომელიც იაფად აქვს შეძენილი, მფლობელს 15.000 დოლარს სთხოვს. კვირიკაშვილს გაუკვირდა, სახელმწიფომ როგორ გაუყიდაო. 9 სექტემბერს გამოსახლება ემუქრება ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონის აკაკი კაკაურიძის ოჯახს, რომელიც ამერიკაში გარდაიცვალა. მისი საცოდავი დედა შეიძლება თავშესაფრის გარეშე დარჩეს, რადგან აკაკის ძმამ, რომელიც 2010-2011 წლებში ქუთაისის „ტორპედოს“ დირექტორი იყო, საკუთარი სახლი დატვირთა იპოთეკით, რომ ეს საფეხბურთო გუნდი გადაერჩინა. მათი იპოთეკარების, ლაშა და გიორგი ჟორჟოლიანების სახელთან ასოცირდება 380 სახლი. იპოთეკით დაზარალებულ ადამიანებს რომ უწყრებიან, რას თხოულობთ, ფული თუ ისესხეთ, გადაიხადეთ კიდეცო, იმას არავინ ირკვევს, რატომ გახდა ეს ხალხი გადახდის უუნარო, რომელთა უმეტესობა თაღლითობის მსხვერპლია“.

როდესაც რესპოდენტებს ვუსმენდი, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც სხვების გაუბედურების ხარჯზე ითბობენ ხელს, ერთი ძალიან ძლიერი პარტნიორი ჰყავთ, რომელსაც სახელმწიფო ჰქვია. ნაციონალების დროს ხომ იყო სახელმწიფო მათი პარტნიორი და დღესაც იგივე გრძელდება, რადგან ამ ოთხი წლის განმავლობაში, ხელისუფლება ისიც კი ვერ შეძლო, რომ ნაციონალების მიერ მიღებული დრაკონული კანონები გაეუქმებინა, თუ არ ჩავთვლით ნანა ქადაგიშვილის ძალისხმევით აკრძალულ პოლიციურ გამოსახლებას.

**დარეჯან სულაქველიძე**: „ის უძრავი ქონებები, რომელთა მფლობელებსაც შეტყობინება მოუვიდა, რომ აღსრულებაში გადავიდა, მერე აუქციონზე გააქვთ, რომელიც სამ ეტაპად ტარდება (მესამე ეტაპი ახალი ხელისუფლების დროს დაემატა, მაგრამ ფაქტობრივად უმოქმედოა). მფლობელებს მერე აღარ აყენებენ საქმის კურსში, რომ ქონების დასაბრუნებლად რაიმე არ მოიმოქმედონ. ეს მიზანმიმართულად ხდება, რომ ნულოვან ფასზე დაიყვანონ და მავანთ ჩალის ფასად ჩაიგდონ ხელში ძვირადღირებული უძრავი ქონება. სამხარაძეების ოჯახმა ქუთაისის ცენტრში მდებარე სამოთახიანი ბინა, გაჭირვების გამო 2.000 დოლარად დააიპოთეკა, კერძო იპოთეკარმა იამზე ხარაბაძემ ეს ბინა აუქციონზე გაატანინა, რომელიც პატარა მაფიოზურმა ჯგუფმა, რომელიც აუქციონზე ბიჯს არავის ადებინებენ და თვითონ მოქმედებენ, თავისი ყველა ხარჯით სადღაც 6.000 ლარად შეიძინა. მეც იქ ვიყავი, როცა მფლობელს ნატო ძოწენიძეს სახლში დაურეკეს, ბინა გაიყიდა, თქვენი ანგარიშის ნომერი მოგვეცით, რომ მორჩენილი თანხა, 200 თუ 300 ლარი ჩაგირიცხოთო. მივყევით ამ საქმეს, თავიდან არ გვეუბნებოდნენ ვინ იყიდა, ბოლოს გაირკვა, რომ ბანკი „ფინკას“ ქუთაისის ფილიალის იურისტ **დათო დოლიძესთან** გვქონდა საქმე. შევხვდით დოლიძეს, ავუხსენით რაც მოხდა, 8100 დოლარს თუ მოიტანთ, იმ შემთხვევაში დაიბრუნებთ თქვენს ბინასო. ერთი კვირის თავზე დამიკავშირდა ქალბატონი ნატო (იგი სახსრების დაავადების გამო დაინვალიდებულია), 4.000 დოლარს როგორმე ვიშოვიო, დოლიძეს რომ მივაკითხეთ, უკვე 13.100 დოლარი მოითხოვა. ეს ქალბატონი ამდენი თანხის გადახდას როგორ შეძლებდა, დოლიძემ მას ბინის „რივალ-კრედიტში“ ჩადება ურჩია, რომლის ხელმძღვანელიც აკაკი დოღონაძეა, დოლიძის ცოლი იქ მეწილე ყოფილა. ჯერ იქ ჩაადებინეს ბინა, მერე იქ რაღაც მოხდა და „მეგა კრედიტში“ გადაიტანეს და 16.000 დოლარში დააიპოთეკეს, რისთვისაც ძოწენიძეს 600 დოლარი უნდა გადაეხადა. ამ თანხის გადახდა რომ ვერ შეძლო, კერძო იპოთეკართან „გადაამისამართეს“, რომელიც ასევე მათი ახლობელი

ნანა ქადაგიშვილის განცხადებით, იპოთეკური სესხის მიზეზით წართმეულ ბინებს თუ სახლებს **ფონდი „იავნანაც“** ყიდულობდა კახეთში, გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში მალხაზ შაკიაშვილისთვის წართმეული სახლი ვიღაც გადამთიელს უყიდეს, რომელსაც არანაირი შეხება არ ჰქონია კახეთთან. შეიძლება ეს ოჯახიც გაჭირვებულია, მაგრამ მორალური თვალსაზრისით გამართლებული არ არის, რომ ერთი გაჭირვებულის უბედურების ხარჯზე, რომ ვითომ მეორეს იმადლიერებენ.

**ნანა ქადაგიშვილი**: **„ფონდი „იავნანა“ არც აგებინებდა ბინის მფლობელს, ისე ყიდულობდა, თანაც ძალიან იაფად, ნულოვან აუქციონზე გამოტანილ მის ბინას. იპოთეკარს რა ენაღვლებოდა, მას თავისი თანხა ამოღებული ჰქონდა და 10.000-ად თუ მეტად ღირებულ ქონებას 3.000 ლარად ყიდდა. იქნებ მის მფლობელს ქონების დაბრუნება უნდოდა და ეს თანხა მასაც გადაეხადა, მაგრამ ფონდი „იავნანა“ მას გზას უჭრიდა. ასეთი საკმაოდ ბევრი შემთხვევაა, რაც ჩემი აზრით, არ არის ქველმოქმედება და კეთილშობილება.** „იავნანას“ იურისტს რომ დავუკავშირდი, ამის შემდეგ თავს იკავებდნენ, ასეთი ბინების შეძენისგან. ნულოვანი აუქციონი აუცილებლად უნდა გაუქმდეს, არავის უნდა ჰქონდეს უფლება, მათ შორის სახელმწიფოსაც, რომ ჩემი ძვირად ღირებული ქონება, რომელიც მიზერულ თანხაში მაქვს იპოთეკით დატვირთული, ასევე მიზერულ თანხად გამიყიდოს. ამ პროექტსაც ვამზადებ და შემოდგომაზე ახალი პარლამენტი რომ შეიკრიბება, აუცილებლად წარვადგენ. აუქციონებს **აღსრულების ეროვნული ბიურო (ხელმძღვანელი იოსებ ბაღათურია)**, რომელიც იუსტიციის სამინისტროს ეკუთვნის და ფინანსთა სამინისტრო ერთობლივად ატარებს. სხვათა შორის, იურისტებს არაერთხელ გვითქვამს, რომ ამ ბიუროს საქმიანობა ძირეულად არის შესაცვლელი, იქ ისეთი რაღაც ხდება“.

**- წელან ბრძანეთ, ქუთაიშში გარკვეული მაფიოზური ჯგუფი არავის აძლევს ბიჯის გაკეთების საშუალებასო. ელექტრონულ აუქციონის დროსაც ხდება მანიპულირება?**

**დარეჯან სულაქველიძე**: „ჩემთვის ინფორმაციის დონეზეა ცნობილი, გარიგება ხდება აუქციონის ჩამტარებელ წრესთან. თუ დაინახეს, რომ „არასასურველი“ პირი იგებს, 1-2 წუთს ამატებენ დასახელებულ ვადას, რომ მოგება გააბათილონ და გარიგებულმა პირმა თქვას თავისი ფასი, ანუ ბოლო სიტყვა მას დარჩეს. ეს ძალიან რთული მექანიზმია, რაზეც მთელი მაფიოზური ჯგუფი მუშაობს. სხვათა შორის, ქალბატონი წულუკიანი პოლიციური გამოსახლების შეჩერების წინააღმდეგი იყო. მგონი, იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობას არც საიპოთეკო ზღვარის დაწევა ესიამოვნა. წლიური 35% დარჩა, რაც ასევე კატასტროფაა. კერძო ლომბარდებს, რომლებიც კომპიტერებს და სხვა ტექნიკას იბარებენ, თვეში სამ ნაწილად აქვთ პროცენტები გაწერილი და ლამის 700%-მდე ადიოდნენ. ახლა ყველას დაუდგინდა ზედა ზღვარი. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული კიდევ ერთი უბედურება, რომლის „შემოქმედიც“ წინა ხელისუფლებაა და არც მისმა მემკვიდრემ მოიცალა მის შესაცვლელად. ადრე ბინაში რამდენი ადამიანიც ცხოვრობდა, ყველა ჩაწერილი იყო საბინაო წიგნში და ამ ბინის გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის, დაგირავების თუ გაქირავების დროს, ყველას თანხმობა იყო საჭირო, რაც მათი ხელმოწერით დასტურდებოდა. ნაციონალებმა ოჯახის ერთ სუბიექტს მისცა უფლება, რომ საკუთრება მის სახელზე გადასულიყო, რითაც ოჯახის დანარჩენ წევრებს ყველაფრის უფლება დაუკარგეს. ერთადერთი თავშესაფრის განმკარგავი, რომელშიც სიტყვაზე ათი სული ცხოვრობს, ერთი პირია, რომელიც იქნებ გაგიჟდა და ეს ქონება ან ბანკში ჩადო, ან კაზინოში, ან დააგირავა, ამდენი ადამიანი ქუჩაში რჩება, მათ არც გასაჩივრების უფლება აქვთ, რომ მცირე ფართი მაინც მოითხოვონ. ამიტომაცაა ამდენი სუიციდის შემთხვევა. ამ ხალხისთვის გასაჩივრების უფლება მაინც მიეცათ, მევახშეს ყველაფრის უფლება აქვს, ამდენ ადამიანს კი არაფრის, მითუმეტეს, რომ მათ არც ალტერნატიულ თავშესაფარს სთავაზობს და არც დახმარებას გასცემს ვინმე.

**ნანა ქადაგიშვილი**: „ჩვენ აქცენტს ძირითადად იმ ადამიანებზე ვაკეთებთ და ვდაობთ, რომლებსაც უკანასკნელი საცხოვრებელი ეკარგებათ, გამოსახლებულია ან გამოსახლების ზღვარზეა. სახელმწიფო მათ ალტერნატივას ვერ სთავაზობს, არ გვაქვს არანაირი სოციალური სახლი, თავშესაფარი, ვერ სთავაზობს კომპენსაციის სახით, ქირას ან ერთჯერად დახმარებას და ეს ბარგაკიდებული ადამიანები რჩებიან ქუჩაში. მართლაც ძალიან ბევრია თვითმკვლელობის არამარტო მცდელობები, არამედ ფატალური შედეგით დამთავრებულიც, ყველას ნებისყოფა ვერ უძლებს. ამ კუთხით ერთადერთი ნათელი წერტილი, საპოლიციო გამოსახლების გაუქმება იყო, მაგრამ ეს პრობლემას ბოლომდე ვერ შველის. ამით ხალხს მხოლოდ დრო მიეცა და დავა სასამართლო ჭრილში გადავიდა. მგონი, მსოფლიოში ერთადერთი სახელმწიფო ვიყავით, სადაც საპოლიციო გამოსახლება მოქმედებდა“.

**დარეჯან სულაქველიძე**: „ჩვენ მივმართეთ მთავრობას, რომ არსებობს გამოსავალი, რასაც მთავრობის ნება პოლიტიკური ჭირდება. პარალელურად მთავრობას შეუძლია მოელაპარაკოს ბანკებს, რომ ეს მოკლევადიანი სესხები გრძელვადიან სესხებში გადაიყვანონ, შეუძლია შექმნან დამხმარე ფონდები და იქიდან გასცენ სესხები, მომავალი წლის ბიუჯეტიდანაც გამოყოს სატანადო სახსრები და ა. შ. ამგვარი ღონისძიებები იპოთეკით დაზარალებულ ოჯახებს გადაარჩენს“.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# არც ნამგლით ვაპირებ ვინმესთვის ენის ამოჭრას და არც უროთი თავის გაჭეხვას – ჩემს მოსაზრებებს ვამბობ და ვისაც უნდა მომისმინოს, ვისაც უნდა – არა

## გვესაუბრება სახალხო მოძრაობა „სოციალისტური საქართველოს“ დამფუძნებელი ვალერი კვარაცხელია

**– ბატონო ვალერი, თქვენი ორგანიზაციის დაფუძნების კვალდაკვალ დიდი წინააღმდეგობებიც დაიწყო, რაც იმის ნიშანია, რომ აქ გარკვეულმა პირებმა დაინახეს ძალა, რაც, როგორც ჩანს, სახიფათოა და საშიში მათთვის. რა აუცილებლობით იყო განპირობებული ამ პარტიის ჩამოყალიბება?**

– თავიდანვე უნდა განვაცხადო, რომ ეს არ არის პარტია, ეს გახლავთ სახალხო მოძრაობა, თუმცა ორგანიზაცია არ გამორიცხავს, რომ დავიწყებთ მოქმედებებს ამ მიმართულებითაც. უამრავი პარტიაა საქართველოში და კიდევ ერთი პარტია? – იკითხავს ვინმე. საქმე ის გახლავთ, რომ პარტიები საქართველოში არ შექმნილა იმისთვის, რომ ქვეყნის პრობლემები გაისიგრძეგანონ და გამოსავალი იპოვონ. ქართულმა საზოგადოებამ უნდა მოახერხოს ის, რომ თავის წიაღში შვას ისეთი ძალა, რომელიც იქნება ქართველი ხალხის ნების გამომხატველი და მის მომავალზე ორიენტირებული.

სხვა მრავალ უბედურებებთან ერთად, რაც საქართველოს დაატყდა თავს, ერთ-ერთი არის ისიც, რომ სსრკ-სთან ერთად დაინგრა სისტემაც, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობდით. ის სისტემა უბრალო ხალხს მოსწონდა, რადგან საბჭოთა წყობილება სოციალურ პრინციპებზე ორიენტირებული სისტემა იყო.

არ შეიძლება ხალხს, რომელსაც ფოლკლორში აქვს არსენა

ოძელაშვილის ლექსი, უსამართლობა ერჩიენოს სამართლიანობას და როცა ჩვენ ვართ მომსწრე საპროტესტო გამოსვლების, მოთხოვნების, აქციების, ყოველივე ამის მიღმა იკითხება ერთი მთავარი მოთხოვნა – დამბრუნეთ ის, რაც მქონდა, ანუ სოციალურად სამართლიანი სახელმწიფო.

საბჭოთა კავშირის პერიოდში არ გვქონდა დამოუკიდებლობა, მაგრამ გვქონდა სოციალური დაცვის პაკეტი, რომლის მსგავსი არც ერთ სახელმწიფოში არასდროს არავის არ ჰქონია.

დროის და ვითარების შესამაბისად, კაპიტალისტური ქვეყნებიც კი სოციალურად ორიენტირებულნი გახდნენ. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ევროპაში, მაგალითად, სკანდინავიის ქვეყნებში. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენმა ქვეყანამ უნდა იმუშაოს იმ მიმართულებით, რომ ჩამოაყალიბოს სოციალიზმი.

თქვენ სწორად შენიშნეთ: ბევრმა იგრძნო, რომ ჩვენი ორგანიზაციის იდეაში ისეთი რამ იმალება, რაც მათთვის საშიშროებას წარმოადგენს.

**– ვინ არიან ეს ადამიანები, რომლებმაც „საშიშროება“ იგრძნეს და რა საშიშროება შეიძლება ეს იყოს?**

– ეს არის ის საზოგადოება, რომელიც ქართველი ხალხისთვის იქცა ავთვისებიან სიმსივნედ, მოუცილებელ ჭირად და მატასტაზების სახით დღემდე არის გაშლილი ქართულ საზოგადოებაში.

ჩვენ ხალხს ვთავაზობთ დიალოგს. არ ვთვლით, რომ ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციაზე ვიმყოფებით და ჩვენთან კამათი ვერავინ ვერ უნდა გაბედოს, მაგრამ უნდა ვიმსჯელოთ, ვიკამათოთ, ყველაფერს აქვს ფორმა.

საკაშვილმა დაიწყო ქვების სროლით, დღეს საკაშვილის ნამსხვრევები ამთავრებენ კვერცხების სროლით.

**– ეს ის ადამიანებია, რომლებსაც თქვენ ნამგლით ენების ამოჭრით ემუქრებოდით?**

– ვისაც მე ეს ვუთხარი, ის ხალხია, რომლებმაც ქართველ ხალხს ნამგალის და უროს სიმბოლიკა კი არ წაართვა – ნამდვილი ნამგალი და ურო წაართვა. გლეხკაცს ხელიდან ნამგალი გამოგლიჯა, მუშას წაართვა ჩაქუჩი და ახლა ეუბნება, ქაღალდზე დახატულიც არ დაგინახოო – გლეხებს დაუნგრიეს კოლმეურნეობები, მეურნეობები, სისტემა, რომლითაც ნაყოფიერად მუშაობდნენ, აყარეს ხალხი სოფლებიდან და გაურკვეველი მიმართულებით გააქციეს.

მონურად შრომობენ დღეს მთელ მსოფლიოს მოდებული ქართველები და სსრკ-ს დროს 5 მლნ. ნახევრიანი ქვეყანა 25 წელიწადში 3 მლნ.ნახევარი გახდა.

ორი მილიონი ქართველი დავკარგეთ, ფაქტობრივად. ამაზე დიდი ტრაგედია რა უნდა დაგვემართოს?! რეალობაში გვაქვს ქართველი ერის სრული გადაშენება.

გამოსავალის სახით ჩვენი მოძრაობის გეგმების განხორციელებას ვთავაზობთ ქართულ საზოგადოებას.

– როგორც ცნობილია, კაპიტალიზმი შობს თავის მესაფლავეს – პროლეტარიატს. საქართველოს სინამდვილეში პროლეტარიატი უკვე გვყავს, ესენი არიან სოციალურად დაუცველები – 1 მლნ 200 000 ადამიანი.

ჩვენ დავანგრიეთ ერთი სისტემა, ახალს დავარქვით „ველური კაპიტალიზმი“, სადაც ის 1 200 000 ადამიანი იბრძვის გადარჩენისთვის, მაგრამ როცა საუბარია სოციალისტურ საქართველოზე, როგორ ახსნით იმ ასოციაციებს, როცა სოციალისტურს, ამ ტერმინს ახსენებენ, რუსეთის ასოციაცია უჩნდებათ მაშინვე, არადა, იგივე ევროპაში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყეს იმ ეკონომიკური მოდელების დანერგვა, რაც საბჭოთა კავშირში წარმატებით ხორციელდებოდა.

– ჯერ ერთი, უსინდისობაა, უგუნურება და უპერსპექტივობაა, ერთს ჰქონდეს, მაგალითად, ყველაზე დიდი ლუკმა პირში და სხვა მშიერი უყურებდეს.

უნდა შევქმნათ ქვეყნის წინსვლის ახალი სოციალისტური მოდელი იგივე საბჭოთა კავშირის მაგალითზე, თუნდაც ჩინური მოდელი გამოვიყენოთ, ან ევროპული სოციალიზმის მოდელი და ავიღოთ ძირითადი მიმართულებები. სოციალური საკითხი უმთავრესია. ეს, როცა იქნება, დაიქუხებს და აუცილებლად წალეკავს ყველაფერს.

რაც შეეხება რუსეთთან ასოციაციებს.

დავიწყოთ იქედან, რომ რუსეთი არ არის სოციალისტური სახელმწიფო და როცა ჩვენი იდეის თანმიმდევრულად რუსეთი ახსენდებათ, მიკვირს ხოლმე, რატომ არ ახსენებენ ბელორუსიას და რატომ არ უჩნდებათ ასოციაციები მასთან... მაგრამ დღეს სხვა სიტუაციაა. ნელ-ნელა ინგრევა ევროკავშირი, რომლისკენაც მივილტვოდით – დიდი ბრიტანეთი გარბის ევროკავშირიდან და ჩვენ მაინც იქ გვინდა.

ჩვენი მეზობელი თურქეთი, ნატოს წევრი და დასავლეთის სტრატეგიული პარტნიორი და მოკავშირე წლებია, ვერ შევიდა ევროკავშირში.

ჩვენთვის საოცნებო ნატოს წევრ უზარმაზარ თურქეთში აშშ-ი აწყობს გადატრიალებას და ამის შესახებ ამერიკაშიც ღიად ლაპარაკობენ.

ერდოღანი, რომელიც რუსეთთან სასტიკად იყო დაპირისპირებული, გარბის პუტინთან შესახვედრად.

უზარმაზარი გეოლოპიტიკური ცვლილებები ხდება ჩვენს ირგვლივ.

თუ ვიცით ის, რომ რუსეთს დიდი გეოსტრატეგიული ინტერესები აქვს საქართველოში, თურქეთს ტერიტორიული ინტერესები გაჩნია ჩვენს ქვეყანაში, ეს ორი ქვეყანა სტრატეგიული პარტნიორები ხდებიან და ჩვენ მათ შუასი ვიმყოფებით, იმ რეალობაში, როცა რუსეთი გახლავთ მსოფლიოს ყველაზე დიდი სახელმწიფო, თურქეთი – რეგიონის უძლიერესი ქვეყანა, ჩვენ რა უნდა გავაკეთოთ?!

**– ჩვენ ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებისკენ მივიწევთ.**

– ეგაა, რომ დაგვღუპავს, ჩემო ირანდა.

თუ ევრო-ატლანტიკური სტრუქტურებისკენ მიდიხარ და ამერიკის მეგობრად მოგაქვს თავი, რუსეთის მტერიც გამოდიხარ და თურქეთისაც და ცოტა სასაცილო ხომ არაა ეს, სატირალი რომ არ იყოს?!

საბოლოო ჯამში, ჩვენი ქმედებები ნიშნავს საქართველოს დაშლის დაწყებული პროცესის გაგრძელებას და საქართველოს განადგურებას!

სხვა ლოგიკა არ არსებობს!

**– თქვენ ამბობთ, რომ ჩვენმა სტრატეგიულმა პარტნიორმა – აშშ-მა მეგობრობა არ იცის?**

– აშშ-ს სხვა სალაპარაკო ენა არ აქვს მის მეგობარ თურქეთთან გადატრიალების მოწყობის გარდა და ჩვენ როგორ და რატომ დაგვეხმარება.

საქართველოს ნატომ და აშშ-მა ვერ უშველა მაშინ, როცა დაპირისპირება ჰქონდა მხოლოდ რუსეთთან და თურქეთსაც თუ დავუპირისპირდებით, ეს ორი დიდი სახელმწიფო ყოველი შესაძლებლობით შეეცდება აშშ-ის პლაცდარმი ჩვენს ტერიტორიაზე მოიშალოს, ანუ საქართველო აღარ არსებობდეს, როგორც მუდმივად მოუგვარებელი პრობლემა და ამაში ხელს ამერიკაარავის შეუშლის.

კიდევ მეტი, საფრანგეთში უკვე გამოდიან უმაღლესი თანამდებობის სამხედრო პირები და აცხადებენ, რომ აშშ-სთან სამხედრო კავშირები დამღუპველი აღმოჩნდა სრულიად ევროპისთვის და რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას აპირებენ.

ყოველთვის ვამბობ ერთსა და იმავეს – არაკომპეტენტური და არაკვალიფიცირებული პირები არ უნდა ერეოდნენ საქართველოს საგარეო პოლიტიკის საკითხებში. საქართველო დაღუპა უგუნურებამ. ყველაზე დიდი პრობლემა ჩვენთან არის უგუნურთა პატრიოტიზმი.

ეს რეალობა გვაქვს და ამ ერთი თვის განმავლობაში სახალხო მოძრაობა „სოციალისტურ საქართველოს“, რომელიც დაფუძნდა გორში და 1000-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა, გვკიცხავენ იმის გამო, რომ ვიყენებთ სოციალისტურ სიმბოლიკებს. კი, ბატონო, დაგვსაჯეთ საკაშვილის დროს მიღებული უგუნური კანონებით, მაგრამ იმ ხალხის დასჯაც მოგიწევთ, სოციალისტური სიმბოლოების დანახვისას ფეხზე რომ დგებიან, ტაშს უკრავენ და ცრემლები რომ მოსდით.

**– ნამგალის და უროს ნაცვლად სხვა სიმბოლიკები რომ გამოგეყენებინათ, იქნება, ამდენი ოპონენტი არც გამოგჩენოდათ.**

– ჩვენი მოძრაობის სავიზიტო ბარათი არის მოსე თოიძის პლაკატი – დედა-სამშობლო გვიხმობს!

დღეს დედა-სამშობლო გვიხმობს გადასარჩენად, მაგრამ თქვენ ცდებით – ჩვენი სიმბოლო ნამგალი და ურო არ არის.

ჩვენი სიმბოლოა წითელი დროშა.

**— წითელი დროშა?**

— რატომ გაგიკვირდათ? წითელი ფერი ჯერ, მე მგონი, აკრძალული არ არის.

თუ ვინმეს ეს დროშა რაიმეს აგონებს, მისი ნებაა.

ჩვენი დევიზია — „აყვავდი ტურფა ქვეყანა, ილხინე, ივერთ მხარეო“.

**— ბატონო ვალერი, გასაგებია, რომ პერსპექტიულად გეჩვენებათ თქვენი მოძრაობის მომავალი, მაგრამ ის ადამიანები, რომლებსაც სოციალისტური საქართველო ახსოვთ, ძალიან ცოტაა. როგორ ფიქრობთ, ახალგაზრდებში გამოიწვევს სიმპათიებს თქვენი პოლიტიკური მიმართულებები?**

— ახალგაზრდას აქვს თავისი ცხოვრების გასიგრძეგანების უნარი და ის ცხოვრების პირობები, როგორშიც ცხოვრობს, საკმარისია მისი პროტესტისთვის. თუმცა ჩვენ არ გვაქვს მხოლოდ საარჩევნო გათვლა, ჩვენ ვფიქრობთ მომავალზე და ჩემი აზრით, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ ეყოლება იმდენი ახალგაზრდა მხარდამჭერი მომავალში, როგორც ჩვენსას.

ის ახალგაზრდა საბრალოა, რომელსაც თელავში ლაყე კვერცხები ჩაუწყვეს უბეში და გამოაგზავნეს ისეთ ადგილას, აზრზეც რომ არ იყო, სად მოდიოდა.

იმ ახალგაზრდას და მის მსგავსებს — უპოვარებს და გლახაკებს — წყობილებამ ლუკმა-პურის საშოვნელად კვერცხის სროლის პერსპექტივა რომ დაუტოვა, თავიანთი უბედურების გაცნობიერების უნარიც არ აქვთ. ამიტომაც მიიღო ის სილა.

ადამიანი ამბობს ჟურნალისტი ვარო და არც მიკროფონი აქვს ხელში, არც ჟურნალისტობის დამადასტურებელი მოწმობა, არც პასტა უკავია, არც ფურცელი, აცვია მაისური, რომელზეც აწერია: პუტინი და კიდევ უცენზურო სიტყვა და აწყობს პროვოკაციას. ჟურნალისტიაო, მიმტკიცებდნენ: ჟურნალისტიკაში გავატარე 45 წელიწადი და მე არ ვიცი, ჟურნალისტი რას უნდა აკეთებდეს? პუტინი კი არა საკაშვილიც რომ წერებოდა მაისურზე, იმასაც არ შემოვუშვებდი დარბაზში.

**— ბატონო ვალერი, წლებია საქართველო იბრძვის რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანისთვის. თქვენ ახლახან განაცხადეთ, უნდა შემოვიყვანოთ. რას ნიშნავს ეს განცხადება?**

— დიახ, არათუ აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის, არამედ საქართველოს სხვა ტერიტორიებზეც უნდა განთავსდეს რუსეთის სამხედრო ბაზები — იგივე ბათუმში, სამცხე-ჯავახეთში, თბილისთან ახლოს ვაზიანში და ა. შ. ეს იქნება საქართველოს გამთლიანების დასაწყისი.

ამას ვლაპარაკობ მე, ვისაც პოლიტიკური ორგანიზაცია „ნეიტრალური საქართველო“ ჰქონდა. დღეს ბევრი პოლიტიკოსი გაჰყვირის ნეიტრალური საქართველოს იდეაზე, მაგრამ მაგ მატარებელმა უკვე ჩაიარა. ნეიტრალიტეტზე საუბარი შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნატოს რაკეტებს დაპატიჟებენ აქ.

ჩვენ უნდა შევძლოთ და გავაფორმოთ ისეთი ხელშეკრულება, როგორიც აქვს გაფორმებული რუსეთს აფხაზეთთან და ე. წ. სამხრეთ ოსეთთან და ეს უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობები და სარკინიგზო მაგისტრალი უნდად აღდგეს სოხუმის გავლით რუსეთის მიმართულებით.

ეს უნდა გააკეთოს ჩვენმა ხელისუფლებამ. თუმცა ამას ესენი ვერ შეძლებენ.

**— რატომ ვერ შეძლებენ? რატომ ვერ გააკეთებს ჩვენი ხელისუფლება ასეთ რამეს, თუ მივიდა თქვენნაირ დასკვნამდე?**

— 1992 წელს აშშ-მა დაამხო ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება.

მოგეხსენებათ, გამსახურდიას დასავლეთის მიმართ დიდი სიმპათიები ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს, „ჰელსინკის ჯგუფის“ დამაარსებელი იყო. ის დაამხეს იმიტომ, რომ მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა დირექტივები, რაც წუყენეს დასავლეთიდან. გამსახურდია კი არა, მოსადიყი ჩამოაგდეს ირანში. მაგრამ მე თუ არ მეშინია, მათაც არ უნდა ეშინოდეთ.

**— თქვენ არ ხართ ხელისუფლებაში და არ გაქვთ ახლა სახელმწიფოზე პასუხისმგებლობა.**

— ხელისუფლება არ არის დესერტი, რომელსაც დააყოლებ გემრიელ სადილს.

ხელისუფლებაში რომ ხარ, უნდა იცოდე, თუ საჭირო გახდა, დემეტრე მეორესასვით კისრის გაწვდენა მოგიწევს თავის მოსაკვეთად.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

# ოპიუმი ხალხისთვის ანუ ოსტაპ ბენდერები ქართულ პოლიტიკაში

„რა ღირს ოპიუმი ხალხისთვის?“ ამჯერად „12 სკამის“ ცნობილი პერსონაჟის ოსტაპ ბენდერის ეს სიტყვები უნებლიედ გაგვახსენდა, თორემ სახუმაროდ საქმე და განწყობა ნამდვილად არ გვაქვს.

როდესაც უსმენ ადამიანი პოლიტიკოსების წინასაარჩევნო დაპირებებს, გაგახსენდება კაცს „დიდი კომბინატორი“, რომელსაც მართლაც რომ შეშურდებოდა ჩვენი პოლიტიკოსების ბაქიბუქი, საერთოადც რომ ვთქვათ, რა განსხვავებაა გასული საუკუნის ვირტუალურ და ახლანდელ რეალურ პერსონაჟებს შორის? სავარაუდოდ, თითქმის არაფერი, რადგან ბენდერი თუ სხვისი ქონების ხელში ჩაგდებას ცდილობდა, დღევანდელი პერსონაჟები იოლი ცხოვრებისთვის და ქვეყნის სათავეში დაუმსახურებლად მოსვლისთვის იბრძვიან.

გასაგებია ის გარემოება, რომ არჩევნების წინ ყველა კანდიდატი ცდილობს ამომრჩევლის გულის მოგებას და ამით საჭირო ხმების მიღებას, მაგრამ დაპირებები რეალობასთან ცოტათი მაინც ხომ უნდა იყოს მიახლოებული. ტყუილების ჩამოთვლას ახლა აზრი არ აქვს და არც ვაპირებთ. ვისაც გაინტერესებთ, ჩართეთ ტელევიზორი და თავადაც ნახავთ, დღეში რამდენჯერმე გადაიცემა მათი უფასო სარეკლამო რგოლები. ერთი კი სათქმელია, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსის დაპირებები იმავე ოსტაპ ბენდერს გვაგონებს, რომელიც ვასიუკელებს, უბრალო პროვინციული დაბის მაცხოვრებლებს მათი ქალაქის მსოფლიო საჭადრაკო ცენტრად გადაქცევას ჰპირდებოდა.

უბედურება მხოლოდ ის კი არ გახლავთ, პოლიტიკოსები რომ გვატყუებენ, სამწუხაროდ, ზოგიერთ ჩვენს გულუბრყვილო თანამემამულეს სჯერა მათი, ისიც სათქმელია, რომ თბილისში საკმაოდ ბევრი სავარაუდოდ, დაქირავებული აგიტატორია. ვისაც საზოგადო ტრანსპორტით არ გიმგზავრიათ, საკმარისია, ერთხელ მაინც ახვიდეთ ავტობუსში და გაიაროთ რამდენიმე გაჩერება, თავადვე დარწმუნდებით. „რა გაგვიკეთა ბიძინამ, რაც იყო ნაცების დროს, უარესიაო“, — შანსს არ უშვებენ აგიტატორები, ეს რომ არ თქვან. ბიძინა ივანიშვილს არავის ადვოკატობა არ სჭირდება, თუმცა გაკეთებულ საქმეს დანახვა სჭირდება. საუბედუროდ, საქართველოში უმადურობის სინდრომმა მძლავრად მოიკიდა ფეხი.

ქვეყანაში, მათ შორის, თბილისში, უამრავი ძველი თუ ახალი პრობლემაა, მათ შორის ბევრი მარტივად არის მოსაგვარებელი, სამწუხაროდ, ბევრი სახელმწიფო უწყების ჩოინოსნები თუ წარმომადგენლები, სავარაუდოდ, აშკარა ან შეფარულ საბოტაჟს ეწევიან. ავიღოთ თუნდაც ტრანსპორტის სფერო. გასაგებია, რომ ბევრი თანამშრომელი საზაფხულო შვებულებაშია, მაგრამ მგზავრების ყოფაზე არავინ ფიქრობს. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ავტობუსის მგზავრები არიან. იმ უბნების მაცხოვრებლებს, სადაც მხოლოდ ავტობუსებით მგზავრობენ, ტრანსპორტის ლოდინი ხშირად 45-50 წუთიც უწევთ. წარმოიდგინეთ ამ ზაფხულის თაკარა სიცხეში დგომა და ლოდინი. სწორედ ასეთი გულგრილობით სარგებლობენ ე. წ. ოპოზიციის აგიტატორები და გაჰკივიან, ქვეყანა გვენგრევა და რამე ვიღონოთო. იმაზე კი არაფერს ამბობენ, ამ 4 წელში რა გაკეთდა და რა არის კიდევ დაგეგმილი, რადგან მათი მტავარი მიზანი ქვეყანაში ვითარების კატასტროფულად წრმოჩენაა.

ახლა ოსტაპ ბენდერის პროტოტიპი პოლიტიკოსების ჩამოთვლას არ დავიწყებთ, მაგრამ ზოგიერთ საეჭვო გამონათქვამზე კი ღირს ყურადღების გამახვილება. ქვეყნის ბიუჯეტი ოთხი მილიარდით გაიზრდება და მინიმალური პენსია 300 ლარი იქნებაო, აცხადებს ერთ-ერთი პარტიის ხელმძღვანელი, რომელიც ნაცრეჟიმის და ახლახანაც იკაებდა მაღალ თანამდებობებს. თუმცა, როგორ აპირებს პენსიების თუ ქვეყნის ბიუჯეტის გაზრდას პირადად ჩემთვის გაუგებარია, რადგან კონკრეტულად არაფერს ამბობს. თუმცა კონკრეტიკა რა აუცილებელია, მთავარია, წუთიერად ხომ მოიგო ხალხის გული. ზოგიერთმა გულუბრყვილომ უკვე დაიჯერა და ტაშიც შემოკრა „დედა, რა კარგი ბიჭიაო“.

ნაცრეჟიმის წარმომადგენლები პენსიების საკითხში წუწურაქობენ და მხოლოდ 50 ლარის დამატებას გვპირდებიან,.. სამაგიეროდ, უნამუსოდ ტერიტორიულ მთლიანობაზე ალაპარაკდნენ! ხალხი, რომლებიც 2008 წელს საკუთარ მოსახლეობას ეუბნებოდნენ, თქვენს თავს თავად მიხედეთ, როგორც გინდათ, ისე დაიცავით თავიო! სამდღიანი ომის დაწყების მიზეზებზე კი ჩუმად ყოფნას ამჯობინებენ. არც იმაზე ლაპარაკობენ, რუს გენერლებს საკუთარი მანქანებით რომ ემსახურებოდნენ და დიღომში თუ მცხეთაში რესტორნებში პურ-მარილს რომ უშლიდნენ.

ერთ-ერთი პოლიტიკოსი ქვეყნის „ოლიგარქებისგან გაწშენდას“ გვპირდება. კაცი, რომელიც თავად გაიყიდა და საკაშვილს ხელი შეუწყო ქვეყნის სათავეში მოსასვლელად! ახლა ებრძვის ადამიანს, რომელმაც უამრავი კეთილი საქმე გააკეთა საქართველოში და, რაც მთავარია, ყოველგვარი გართულებების გარეშე მოგვაცილა სისხლიანი რეჟიმი!

**გია ბურდული**
551 71 27 07

## გიორგი კვირიკაშვილი:

# „ქართული ოცნება“ აუცილებლად გაიმარჯვებს და ამით ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო გაიმარჯვებს

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები უკვე დასახელებულია იმერეთში, სამეგრელოში, გურიაში, მცხეთა-მთიანეთში, შიდა ქართლში, ქვემო ქართლსა და კახეთში.

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **გიორგი კვირიკაშვილმა** თელავში **კახეთის მაჟორიტარი** დეპუტატობის კანდიდატების წარადგენამდე მოსახელობას მიმართა:

„ჩვენ ხალხს მივეცით ყველაზე მთავარი, რაც სახელმწიფოსგან სჭირდება ადამიანს – ღირსეული მოპყრობა, დაფასება, ზრუნვა. ჩვენ გავაკეთეთ მაქსიმუმი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ერთდროულად ყველა პრობლემა ვერ მოგვარდებოდა. თუმცა დღეს სათქმელი და საამაყო ნამდვილად გვაქვს: ჩვენ ადამიანების სიცოცხლე გადავარჩინეთ – არ მეგულება არც ერთი ოჯახი, რომელმაც თავის თავზე არ გამოსცადა, რას ნიშნავს, როდესაც მკურნალობა გჭირდება და იმაზე არა გაქვს საფიქრალი, საიდან მოიტანო მკურნალობისთვის საჭირო ფული; არ მახსენდება ხალხის სხვა ისეთი გვერდში დგომა, როგორიც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა გაუწია კახელებს სტიქიის დროს და მთლიანად აუნაზღაურა სტიქიით გამოწვეული ზარალი; აღარაფერს ვიტყვი დამუშავებულ მიწებზე და გლეხობისათვის გაწეულ სხვა დახმარებაზე, რთველზე და მილიონობით შემოსავალზე, რომელიც კახეთმა მიიღო ბოლო სამი წლის განმავლობაში“, - აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა კახეთის მოსახლეობას ყურძნის სუფსიდირებასთან დაკავშირებით მიაწოდა ინფორმაცია და განაცხადა,რომ 2016 წლისათვის ამ მიმართულებით 25 მილიონი ლარია გათვალისწინებული, ხოლო ყურძენს 100-მდე ღვინის საწარმო ჩაიბარებს.

„ვაზი და ვენახი წმინდაა ქართველი კაცისთვის, და ჩვენ განსაკუთრებულად ვზრუნავთ სწორედ მევენახეობაზე. ეს არის ჩვენი ფესვები, ჩვენი სამშობლოს სიძლიერე, ჩვენი სამშობლოს სიმბოლო და ჩვენ ვალდებული ვართ შევინახოთ, გავაგრძელოთ და შვილებს გადავცეთ მამა-პაპათა ტრადიციები. ჩვენ იმაზეც ვზრუნავთ, რომ გლეხი მარტო მევენახე კი არ იყოს, არამედ ღვინის წარმოებაც შეეძლოს და შემოსავალიც შესაბამისი ჰქონდეს“, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილი დარწმუნებულია, რომ ხელისუფლების განსაკუთრებული მიდგომა შედეგს გამოიღებს და ქართული ღვინო არა მხოლოდ თავის კუთვნილ ადგილს დაიკავებს მსოფლიოს საუკეთესო ღვინოების გვერდით, არამედ საქართველო ღირსეულ კონკურენციასაც გაუწევს ცნობილ ქვეყნებს.

„ჩვენი უნიკალური ისტორიული და კულტურული ძეგლები, კახეთის ულამაზესი ბუნება, რა თქმა უნდა, მთა-თუშეთი უამრავ სტუმარსა და ტურისტს იზიდავს, მათ შორის, ღვინის ტურიზმის მოყვარულებსაც. ჩვენ ეს სიმდიდრე მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ხალხის კეთილდღეობისთვის“,-განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, დღეს ხელისუფლების ამოცანაა, კიდევ უფრო სწრაფად ამოძრავდეს ეკონომიკა, ვინაიდან ეს იქნება ქვეყნის სწრაფი განვითარების საფუძველი და საფუძველი იმისათვის, რომ ცხოვრების დონის გაუმჯობესება იყოს მიღწეული.

„თქვენთან ერთად ჩვენ ამას შევძლებთ და ჩვენი ქვეყანა თავს დააღწევს გაჭირვებას! ჩვენ თქვენთან ერთად ავაშენებთ წარმატებულ ქვეყანას, სახელმწიფოს, სადაც ყველა თანასწორი იქნება კანონის წინაშე და ვერავინ გაბედავს დაუსჯელობის იმედით ბატონობას ადამიანებზე. 2012 წელს თქვენ „ქართული ოცნების“ გვერდით იდექით და ჩვენ ბრძოლა მაშინ გამარჯვებით დავაგვირგვინეთ! ამ არჩევნებშიც ჩვენ თქვენი გვერდში დგომით აუცილებლად გავიმარჯვებთ, „ქართული ოცნება“ აუცილებლად გაიმარჯვებს და ამით ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო გაიმარჯვებს“, - განაცხადა პარტიის თავმჯდომარემ სიტყვით გამოსვლისას.

„კიდევ ერთხელ მინდა დიდი სიყვარულით, დიდი სიამაყით მოგმართოთ. მეც ამ მხარის შვილი ვარ. მეამაყება, რომ ვარ კახელი, რომ ვარ წელში მოუდრეკელი ხალხის წარმომადგენელი. უდიდესი პატივი მხვდა წილად – ვარ საქართველოს პრემიერ-მინისტრი. მე ვიქნები მთელი საქართველოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, კახელების ინტერესების დამცველი, კიდევ ერთი უმანდატო მაჟორიტარი საქართველოს პარლამენტში. უკვე მთავრობიდან მთელი საქართველოს, მაგრამ თქვენი ინტერესების გამომხატველი. მინდა კიდევ ერთხელ მოგიწოდოთ, მხარი დაუჭიროთ საქართველოს ნათელ მომავალს, გაფერადებულ, აგუგუნებულ საქართველოს. დავდგეთ ერთ მუშტად შეკრულნი და უზრუნველყოთ ჩვენი შვილების უკეთესი მომავალი. ამით ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო გაძლიერდება და ჩვენ ყველანი ერთად გავიმარჯვებთ“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრის გამოსვლამდე კახეთის მოსახლეობას სიტყვით „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა, პარტიის ცენტრალური შტაბის უფროსმა **კახა კალაძემ** მიმართა.

კახა კალაძემ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების მიერ ჯანდაცვის, განათლების, სოფლის მეურნეობის მიმართულებით განხორციელებულ რეფორმებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მთავრობამ ოთხი წლის წინ მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა დაიყო. „ხალხმა ირწმუნა, რომ ამ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები დაიწყო. ხალხმა ირწმუნა, რომ თავისუფალი გახდა! ხალხმა დაინახა, რომ შიში წარსულში დარჩა და ხალისი მიეცა შრომასაც, დასვენებასაც, ქებასაც და კრიტიკასაც! ღვინის სახლები და საოჯახო სასტუმროები, კახური სუფრის

→

პოპულარიზაცია, ტურისტული ზონებიმარტო ახტალა რა საერთაშორისო მნიშვნელობის განძი გაქვთ! ეს ყველაფერი თქვენია, ეს ყველაფერი თქვენი პროგრესის საფუძველია, ეს იძლევა ალაზნის ველივით უკიდეგანო შესაძლებლობებს დოვლათის კეთილდღეობის შესაქმნელად, თითოეული კახური ოჯახისთვის და საქართველოსთვის მთლიანობაში!“, - აღნიშნა პარტიის გენერალურმა მდივანმა.

შემდეგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარადგინეს – თელავისა და ყვარლის გაერთიანებულ ოლქში **ირაკლი სესიაშვილი**.

ირაკლი სესიაშვილი პირველივე დღიდან „ქართული ოცნების“ გუნდის წევრია. პარლამენტში ხელმძღვანელობს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტს.

სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატი **ირაკლი შიოლაშვილი**. იგი ასევე არის „ქართული ოცნების“ გუნდის წევრი. ის პროფესიით იურისტია და გახლავთ კახეთის გუბერნატორი. ზედმიწევნით იცის კახეთის პრობლემები. ირაკლი შიოლაშვილი დედოფლისწყაროდან არის. ძალას არ დაიშურებს სიღნაღელების და დედოფლისწყაროელებისთვის და ყველაფერს გააკეთებს პარლამენტში მათი ინტერესების დასაცავად.

ახმეტაში „ქართულ ოცნებას“ წარადგენს **გელა სამხარაული**. გელა სამხარაული უკვე გამოცდილი პარლამენტარია. წესიერი, პატრიოტი კაცია, რომელსაც უზომოდ უყვარს ჩვენი სამშობლო.

ლაგოდეხში „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი **გურამ მაჭარაშვილია**. იგი პროფესიით იურისტია, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის დაფუძნებელი-წევრია. გახლავთ შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილე და ევროპულ დაევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენელი შიდა ქართლის რეგიონში. მას, ასევე, საბანკოსფეროში მოღვაწეობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. ლაგოდეხელებს ღირსეული წარმომადგენელი ეყოლებათ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში.

გურჯაანში პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატად წარდგენილია **დავით სონღულაშვილი**. იგი პროფესიით ეკონომისტია. განათლება აქვს მიღებული მანჩესტერის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტში და ამასთან, გრენობლის უმაღლესი სკოლის საერთაშორისო ბიზნესის მაგისტრია. მუშაობდა წამყვან პოზიციებზე, როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში. დავით სონღულაშვილი წარმატებული ახალგაზრდაა და სწორედ ის გააგონებს მთელს საქართველოს გურჯაანელების ხმას პარლამენტიდან.

საგარეჯოში „ქართული ოცნების“ კანდიდატი **რომან ჟუჩიაშვილია**. იგი ფინანსისტია. საკუთარი პროფესიით მოღვაწეობს მრავალწლიანი გამოცდილებით. ®

## გიორგი კვირიკაშვილი:

# მომავალი ოთხი წლის განმავლობაში თითოეულმა ოჯახმა უნდა იგრძნოს კეთილდღეობა

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ საარჩევნო კამპანია **სამცხე-ჯავახეთის** მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების დასახელებით გრძელდება.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **გიორგი კვირიკაშვილმა** დეპუტატების წარდგენამდე სიტყვით გამოსვლისას სამცხე-ჯავახეთში ისტორიულ-კულტურული ძეგლების, როგორც განსაკუთრებული საგანძურის მოვლა-პატრონობისა და შენარჩუნების მნიშვნელობაზე ისაუბრა და მოსახლეობას განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

„ვარძია, რომელიც ჩვენი სიამაყეა, ჩვენგან სასწრაფო შველას ითხოვდა. სწორედ ამიტომ, ჩვენ დავიწყეთ „ქართუ“ ფონდის დახმარებით ვარძიის გადარჩენის პროგრამა. უკვე მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩატარებული. ასევე დავიწყეთ და დავასრულეთ საფარის მონასტერთან მიმავალი გზა. სამცხე-ჯავახეთში ჩვენ კიდევ ბევრი სხვა ძეგლის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები დავიწყეთ და პროცესები ეს გაგრძელდება.

გარდა ამ ძეგლებისა, საერთაშორისო მნიშვნელობის ისეთი უნიკალური კურორტები, როგორიცაა ბორჯომი, ბაკურიანი და აბასთუმანი ზრდის ჩვენი ქვეყნით დაინტერესებას და, შესაბამისად, სტუმრებისა და ტურისტების რაოდენობას“, - აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

მთავრობის მეთაურის განცხადებით, ხელისუფლებამ ტურიზმი სამცხე-ჯავახეთის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად განსაზღვრა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით დაიწყო ტურისტული პოტენციალის ამოქმედების პროგრამა, რომელიც 27-მილიონიან ინვესტიციას ითვალისწინებს.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა შესაძლებლობას იძლევა აღდგეს ქვეყნის ისტორიული ფუნქცია და კვლავ შეასრულოს ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებლის როლი.

„დღეს, 21-ე საუკუნეში, ახალი აბრეშუმის გზა ისევ გვაძლევს შესაძლებლობას, რომ განვავითაროთ ეკონომიკა, ვაჭრობა, დავამყაროთ ახალი კავშირები, კულტურული ურთიერთობები და უკეთ წარმოვაჩინოთ ჩვენი საინვესტიციო და ტურისტული პოტენციალი.

ამ მხრივ, სამცხე-ჯავახეთს ძალიან დიდი პერსპექტივა აქვს. მის პოტენციალს ისიც აძლიერებს, რომ სამცხე-ჯავახეთი სასაზღვრო რეგიონია. და სწორედ ეს მდებარეობა გვაძლევს მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტების განხორციელების საშუალებას“, - აღნიშნა პარტიის თავმჯდომარემ.

გიორგი კვირიკაშვილმა მოსახლეობას რეგიონში მიმდინარე უმსხვილეს პროექტებზე მიაწოდა ინფორმაცია და ყურადღება ყარსი-ახალქალაქის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობაზე გაამახვილა, რითიც სამცხე-ჯავახეთი თავის ისტორიულ სატრანზიტო ფუნქციას იბრუნებს.

14 ბ.

# მომავალი ოთხი წლის განმავლობაში თითოეულმა ოჯახმა უნდა იგრძნოს კეთილდღეობა

13 გვ.

„გარდა ამისა, ახალქალაქში შენდება საერთაშორისო სადგური. ამ მასშტაბის პროექტები თავისთავად გულისხმობს ბევრ სასიკეთო ცვლილებას. ეს არის მოწესრიგებული, თანამედროვე ინფრასტრუქტურა, რასაც აუცილებლად მოჰყვება რეგიონის განვითარება, ადგილობრივ მკვიდრთა დასაქმება და, შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების დონის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება.

საქართველო – თურქეთის საზღვარზე ამოქმედებული კარწახის საბაჟო გამშვები პუნქტი და თანმდევი ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვანია არა მარტო იმით, რომ სამგზავრო და სატვირთო სატრანსპორტო საშუალებები იმოძრავებს საქართველო-სომხეთის მიმართულებით, არამედ იმითაც, რომ ეს არის თანამედროვე და კომფორტული ინფრასტრუქტურა, დამატებითი სამუშაო ადგილები და დამატებითი შემოსავლის წყარო ჩვენი ხალხისთვის“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ასევე ისაუბრა ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ბიზნესის ხელშეწყობის მხრივ გადადგმულ ნაბიჯებზე.

„მარტო სამცხე-ჯავახეთში დღეისათვის გადაიარაღდა და გაფართოვდა 52 საწარმო, ამოქმედდა 7 ახალი საწარმო. ჩვენ, ძირითადად, დავაფინანსეთ რძის გადამამუშავებელი, მესაქონლეობის, სასათბურე და შესანახი მეურნეობები. დღეს უკვე ზოგიერთი ეს საწარმო იმდენად მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებს, რომ მათი ნაწარმი არა მარტო ჩვენში, არამედ უცხოეთშიც გადის და ღირსეულ კონკურენციას უწევს იქაურ პროდუქციას.

სწორედ ეს არის ჩვენი მიზანი – წარმოების ხელშეწყობა, ბიზნესისთვის პირობების შექმნა, მეტი სამუშაო ადგილი და მეტი შემოსავალი ჩვენი ხალხისთვის. პირველ რიგში, ჩვენ გვინდა, რომ ადამიანები თავისი ცხოვრებით იყვნენ კმაყოფილი, თავისი ოჯახის წინსვლით იყვნენ ბედნიერები“, - განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

გიორგი კვირიკაშვილმა სიტყვით გამოსვლისას მთავრობის მიერ ჯანდაცვის და სოფლის მეურნეობის სფეროების განვითარების მიზნით ხელისუფლების უპრეცედენტოდ მაღალ ყურადღებაზე გაამახვილა ყურადღება.

„ადამიანები გავათავისუფლეთ და დღეს ჩვენ ერთად ვდგავართ. დღეს აღარ არის ნაპრალი მთავრობასა და ხალხს შორის. ეს არის უდიდესი მონაპოვარი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ არის ყველაფერი, მიუხედავად იმისა, რომ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რამხელა განსხვავებაა დღევანდელ საარჩევნო კამპანიასა და ოთხი წლის წინ მიმდინარე საარჩევნო კამპანიას შორის. როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება ეს ორი პროცესი ერთმანეთისგან, მაგრამ ჩვენ არ ვართ მიღწეულით თვითკმაყოფილნი. ჩვენ ვიცით, რამხელა გაჭირვებაა რეგიონებში, ვიცით, რამხელა განსხვავებაა ცხოვრების დონეებს შორის დედაქალაქსა და რეგიონებს შორის. მეგობრებო, ჩვენი მთავარი მიზანი დღეს არის მომავალი ოთხი წლის განმავლობაში სერიოზული, სწრაფი ნაბიჯების გადადგმა იმისათვის, რომ თითოეული თქვენთაგანის ოჯახმა იგრძნოს საქართველოში შექმნილი კეთილდღეობა. ჩვენ მდიდარი ქვეყანა ვართ, მდიდარი ვართ იმითაც, რომ მრავალეროვანი ქვეყანა ვართ, მდიდარი ვართ იმითაც, რომ საუკუნოვანი ტრადიცია და კულტურა შევქმენით სხვადასხვა კულტურის, სხვადასხვა ეროვნების ხალხებს შორის მშვიდობიანი თანაცხოვრების. ჩვენ ვართ დიდი ისტორიის ქვეყანა და ჩვენ ჩვენი მომავლით უნდა დავამტკიცოთ, უნდა გავამართლოთ ჩვენი წინაპრების დანატოვარი“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერ-მინისტრის გამოსვლამდე ახალციხეში შეკრებილ მოსახლეობას სიტყვით „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა, პარტიის ცენტრალური შტაბის უფროსმა **კახა კალაძემ** მიმართა. კახა კალაძის განცხადებით, „ქართულმა ოცნებამ“ 4-წლიანი მუშაობის გამოცდილებით, უკვე დაამტკიცა, რომ ქვეყნის მართვა და შენება შესაძლებელია რეპრესიების, ტერორის, ადამიანების დამცირებისა და შიშის გარეშე.

„ჩვენ ხალხის ჯანმრთელობაზე, ჩვენი შვილების სწავლა-განათლებაზე, გლეხის ფეხზე დადგომაზე, მეწარმეობის ხელშეწყობაზე, ქვეყნის სწორ განვითარებაზე ვიზრუნეთ! და ეს ყველაფერი თქვენთან ერთად, თქვენი კარნახით, თქვენი მუდმივი კონტროლის ქვეშ გავაკეთეთ, რადგან ჩვენ ვართ საკუთარი ხალხის წინაშე ანგარიშვალდებული მთავრობა, რომელსაც ბარიერები არასოდეს აღუმართავს, სისტემაში არასოდეს გამოკეტილა! ჩვენ კანონით მართული მთავრობა ვართ – ჰუმანური, პასუხისმგებლიანი გუნდი, რომლის მუშაობის შედეგებიც საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ საკუთარ თავზე უკვე იგრძნო“, – განაცხადა ვიცე-პრემიერმა.

ვიცე-პრემიერმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ მთავრობა 2012 წელს ხალხთან ერთად აღებულ სწორ კურსს აუცილებლად გააგრძელებს მეტი მონდომებით, მეტი ენერგიით, ახალი შესაძლებლობებით!

„ჩვენ, განახლებული „ქართული ოცნება“, პროგრესული ხედვით, პოლიტიკოსთა პროფესიონალური გუნდით, ახალი ქმედითი ლიდერით, ახალი გამოწვევებისთვის მზად ვართ!

ჩვენ თქვენთან ერთად – ჩვენს სომეხ ძმებთან ერთად, ბერძენ, ოს ძმებთან ერთად, ჩვენს ერთგულ ხალხთან ერთად, აუცილებლად მივალთ საბოლოო გამარჯვებამდე, რადგან სწორედ თქვენ ხართ საქართველო და ჩვენ ერთად ვართ ქვეყანა!“ – განაცხადა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურმა მდივანმა.

შემდეგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშვილმა მოსახლეობას სამცხე-ჯავახეთში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები წარუდგინა.

ახალციხისა და ადიგენის გაერთიანებულ ოლქში **გიორგი კოპაძე**, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში **ენზელ მკოიანი**, ხოლო ბორჯომსა და ასპინძაში – **გედევან ფოფხაძე**. ®

# „იმიტომ არ უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი, რომ ის ეროვნული ხალხი, ვინც არ აპირებს არჩევნებზე წასვლას, აუცილებლად მივა არჩევნებზე და დავიღუპებით“...

ცესკო-მ პრეზიდენტს ხელმოსაწერად გაუგზავნა დოკუმენტაცია რათა 8 ოქტომბერს დაინიშნოს რეფერენდუმი რომლის მიზედვით ქორწინება განისაზღვრება როგორც მამაკაცისა და ქალის ერთობა.

„ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავიანთივე ტელევიზიით („რუსთავი-2“) ღიად და კატეგორიულად მოუწოდა, ფაქტობრივად, უბრძანა პარტიის გენერალური მდივნის, სერგო რატიანის პირით საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს, რომ ხელი არ მოაწეროს რეფერენდუმის დანიშვნას.

გარდა ამისა, როგორც ხმა გავრცელდა, „რესპუბლიკური პარტია“ და მისი მართული არასამთავრობოები; „ნაცმოძრაობის“ მართული არასამთავრობო ორგანიზაციები; ე.წ ექსპერტები; პრეზიდენტის მრჩეველები: ანა დოლიძე და კახა კოჟორიძე მოუწოდებენ პრეზიდენტ მარგველაშვილს არ დანიშნოს რეფერენდუმი.

მთლად გასაოცარი — ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა ტელევიზიით განაცხადა, იმიტომ არ უნდა ჩატარდეს რეფერენდუმი, რომ ის ეროვნული ხალხი, ვინც არ აპირებს არჩევნებზე წასვლას, ამ შემთხვევაში აუცილებლად მივა არჩევნებზე და დავიღუპებითო. ანუ, ამ ყველა პოლიტიკურად უსახურს ერთი მიზანი აქვს, ოღონდ ეროვნულად მოაზროვნე ადამიანები არ გაჭაჭანდნენ, არ გააქტიურდნენ... სახეზეა სრული პოლიტიკური მარაზმი, ოღონდ საიდანმე რამენაირად ერთი ხმა მაინც გამოწველონ და ფეხზე ჰკიდიათ ყველაფერი, თუნდ მამა გასთხოვებიათ...

(ამ ამბავზე ერთი სხვა ამბავი გამახსენდა, შევარდნაძისდროინდელი, ისიც არჩევნებს ეხებოდა, ანუ ასეთივე სურვილი იყო, — ამომრჩეველი არ მისულიყო საარჩევნო ყუთებთან. ერთ-ერთი ცნობილი გაზეთის ცნობილი რედაქტორიც საარჩევნო მარაქაში იყო გარეული და მოიფიქრა „საფრთხობელა“. იმ დროს სიახლედ შემოვარდა მარკირება და პატივცემულმა რედაქტორმაც გააშანშალა: — „ქართველებო, ნუ მიხვალთ არჩევნებზე, მარკირება იმპოტენციას იწვევსო“)

საზოგადოებაში ერთსულოვნად მზადდება პროგრესირებადი პროცესი — თუ პრეზიდენტი მარგველაშვილი არ გაითვალისწინებს 225 000 ხელმოწერას და მის უკან მდგომ კიდევ ასეულ ათასობით საქართველოს მოქალაქის ნებას, ხელმომწერებიც და სრულიად საქართველოს მოსახლეობა დაიწყებს აქციებს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით. ძირითადი განწყობა ერთია — საქართველოში სამუდამოდ უნდა ამოიძირკვოს ფსევდო-ლიბერალურ-ფაშისტური იდეოლოგია და სახელმწიფო მმართველობას უნდა ჩამოცილდეს მსგავსი იდეოლოგიის მატარებელი ადამიანები.

სხვათაშორის, 225 000 ხელმოწერა 10%-ია რომლის მიხედვით რეფერენდუმის ჩატარება კი არა, კონსტიტუციის მუხლის შეცვლაც შეიძლება და სულაც, ბოლოს და ბოლოს, კონსტიტუცია ხალხს ეკუთვნის თუ რამდენიმე გაერთიანებულ გრანტიჭამიას?

ახლა არჩევანი პრეზიდენტზეა, ან მხარი უნდა დაუჭიროს საკუთარი სამწყსოს 225 000 (მეტი) სრულწლოვანი მოქალაქის ნებას, ან მათ წინააღმდეგ აშკარად წავიდეს.

თუ გაითვალისწინებს ბატონი პრეზიდენტი, რომ ეს ციფრი გაცილებით მეტია, რამენაირად კი, უნდა მიხვდეს, რომ 200 000 ჯარისკაცთან დაპირისპირება, რომელთაც არც რომელიმე არასამთავრობოს აზრი აინტერესებს ამ საკითხთან დაკავშირებით და მითუმეტეს, არც აშშ-ის ელჩისა, დიდად სახარბიელო არ იქნება არავისთვისთვის.

ასევე, რადგან გავრცელდა სკანდალური ინფორმაცია, როგორ ცდილობს აშშ-ის ელჩი უარი ათქმევინოს საქართველოს პრეზიდენტს რეფერენდუმის ჩატარებაზე, აშშ-ის ელჩს, ბატონ იან კელის მოუწოდებს, რომ გაუფრთხილდეს აშშ-საქართველოს ურთიერთობებს და შეწყვიტოს ზეწოლა ამჯერად, საქართველოს პრეზიდენტზე, პატივი სცეს ქართველი ერის უმრავლესობის ნება-სურვილს.

რეფერენდუმის ჩატარების საკითხს ქორწინებასთან დაკავშირებით პარლამენტის ვიცესპიკერი მანანა კობახიძეც გამოეხმაურა და საკუთარი ხელით გაავრცელა სოციალურ ქსელ „ფეისბუქით: — „ცესკომ პრეზიდენტს რეფერენდუმის დანიშვნის თაობაზე მიმართაო...

ჯერ კიდევ საპარლამენტო უმრავლესობის („რესპუბლიკელების“ გარდა) სურვილიც და ძალისხმევაც იყო ის, რომ კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილება სწორედ პარლამენტს განეხორციელებინა.

ბოლომდე მართალი რომ ვიყო, ვიტყვი, რომ ამ საქმეში „თავისუფალი დემოკრატებიც“ ჩვენთან იყვნენ. სამწუხაროდ, პარლამენტმა ეს ვერ მოახერხა, თუმცა სახალხო განხილვებზე, ყველგან, ჩვენ მოვისმინეთ საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის დადებითი განწყობა რეფერენდუმისადმი.

ამიტომ, როდესაც ეს მოთხოვნა 200 000 ხელმოწერითაა გამყარებული, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, ვინ არის ამის ინიციატორი თუ ავტორი, ეს არის საზოგადოების ლეგიტიმური მოთხოვნა და რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს“!

ქართველი კაცი ბუნებითაა მხიარული, რომც არაფერი ჰქონდეს სამხიარულო, მაინც იუმორს მიმართავს...

შემოვიდა წინადადება, რომ რადგან „ნაცები“ პრეზიდენტს კატეგორიულად მოუწოდებენ ხელი არ მოაწეროს ჰომოსექსუალთა ქორწინების აკრძალვას, მივიღოთ კომპრომისული გადაწყვეტილება და ექსკლუზიურად, მხოლოდ „ნაცებისთვის“, „რესპუბლიკელებისთვის“, „ახალი მემარჯვენეებისთვის“ და მათთან ასოცირებული წვრილ-ფეხობისთვის დავუშვათ მამაკაცის მამაკაცზე და ქალის ქალზე დაქორწინებაო. ამ ქორწინების პირველ წყვილად, შესაბამისად, სერგო რატიანი დასახელდა, რომელიც აკო მინაშვილთან ქმრის სტატუსით ისე ძალადობრივად შეაწყვილეს, არცკი დაეკითხნენ რომელიმეს...

ახლა სიტყვაც და საქმეც მხოლოდ ბატონ პრეზიდენტზეა!

**გიორგი ჩხეიძე**

## სანდრო ბრეგაძე:

## ამ ყველაფრის მერე ის საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის. ის ფილიპე მახარაძის და სერგო ორჯონიკიძის შთამომავალია!

**პრეზიდენტის შეხვედრა საინიციატივო ჯგუფის წევრებთან, რომელიც გუშინ ავლაბრის რეზიდენციაში უნდა გამართულიყო, არ შედგა.**

**აი, რა განაცხადა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა სანდრო ბრეგაძემ პრესასთან საუბარში:**

**„პრეზიდენტს ჩემი შეეშინდა, უფრო სწორად, სიმართლის. მან ნახევარ მილიონ ქართველს სულში ჩააფურთხა, შეგროვებული ხელმოწერები არაფრად ჩააგდო. დღეს ის ზის პრეზიდენტის რეზიდენციაში თავის მეუღლესთან, მის დაქალებთან და ქართველ ხალხს დასცინის.**

**მას ჩემი შეეშინა და, წარმოიდგინეთ, დამპყრობლის ჯარი რომ დაინახოს, რას იზამს?! ალბათ, სააკაშვილზე უარესად იფორთხებს ძირს. მან რეფერენდუმის ჩატარებაზე, პრაქტიკულად, უარი თქვა, ვინაიდან ხვალ და ზეგ გადაწყვეტილების მიღებას აზრი არ აქვს, ვადებში ვეღარ ეტევა, რომ 8 ოქტომბრის არჩევნებზე იყოს რეფერენდუმი გამოტანილი.**

**არანაირი კონსულტაციები არ მჭირდებოდა პრეზიდენტთან, მე მჭირდებოდა გადაწყვეტილება. საინიციატივო ჯგუფის წევრები ვინ ვართ?! სულ ხუთი ადამიანი ვართ, მაგრამ ჩვენს უკან საქართველოს ნახევარი მილიონი მოქალაქეა. მარგველაშვილთან პაემნის სურვილი ნამდვილად არ მაქვს. სხვათა შორის, ორივე ფილოსოფოსები ვართ, მაგრამ ნამდვილად არ არის იმ დონის ფილოსოფოსი, რომ მასთან ასეთ თემებზე ვისაუბრო. მასთან შესაძლოა ამ თემებზე პირველი კურსის სტუდენტებმა ისაუბრონ.**

**ნამდვილად არ მაქვს სურვილი საიას ყოფილ თავმჯდომარეს, ვინმე დოლიძეს ვუსმინო, რომელიც სოროსის ნება-სურვილის აღმსრულებელია. მეორე კიდევ კოჟორიძე რომ ჰყავს და მთელი „რესპუბლიკური პარტია“ იქ შეყრილი. ნამდვილად არ მაქვს სურვილი მათ სისულელეებს ვუსმინო. ამ ყველაფრის მერე ის საქართველოს პრეზიდენტი აღარ არის, ის ფილიპე მახარაძის და სერგო ორჯონიკიძის შთამომავალია.**

**თუ მარგველაშვილს ჰგონია, რომ ეს ყველაფერი ისე ჩაივლის, რომ მის კომფორტულ და სიამტკბილურ ცხოვრებას არაფერი შეეხება, ძალიან ცდება. არც ისე გავაკეთებ, რომ ცხელ გულზე დაუფიქრებელი ნაბიჯები გადავდგა. ტანჯვად ვუქცევ თავის პრეზიდენტობას, ამას ვპირდები მას. მას შემდეგ შეუძლია წავიდეს ჰოლანდიაში ან სხვა რომელიმე ქვეყანაში, სადაც ერთი სქესის მქონე ადამიანთა ქორწინება დაშვებულია, იმუშაოს იქაური მმაჩის ბიუროში და ერთი სქესის მქონე ადამიანები დააქორწინოს“.**

# ძლიერი რეგიონები

## თელავი – ყარაჯალაში გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

თვითმმართველი თემის - თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ალექსანდრე შათირიშვილმა და თელავის მაჟორიტარი პარლამენტის წევრმა გელა სამხარაულმა ყარაჯალის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერეს.

**ალექსანდრე შათირიშვილი**: „ყარაჯალაში მიმდინარეობს ცენტრალური გზის რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის გამოყოფილია 135 000 ლარი. სამუშაოებს შპს „გზამშენი - 2005“ ახორციელებს. ასფალტის საფრის კაპიტალური შეკეთების პროცესი ივლისში დაიწყო და აგვისტოს ბოლომდე დასრულდება“.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელმა და საქართველოს პარლამენტის წევრმა მოსახლეობასთან ერთად სოფლის განვითარების პერსპექტივებზე და არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზეც იმსჯელეს. ადგილობრივმა მოსახლეობამ მადლობა გადაუხადა თელავის მუნციპალიტეტის გამგეობას გამოჩენილი ყურადღებისა და მათი პრობლემების დროულად მოგვარებისთვის.

## „თუშეთობა – 2016“

11-12 აგვისტოს, სოფელ ომალოში ტრადიციული სახალხო დღესასწაული „მეცხვარის დღე - თუშეთობა - 2016“ გაიმართება.

ღონისძიება თუშეთის სოფ. ომალოში, ვიზიტორთა სახლში, დილის 10 საათზე თუშ მეცხვარეებთან შეხვედრით და მთის კანონზე მსჯელობით დაიწყება. დღესასწაულის ოფიციალურად გახსნის შემდეგ ახალგაზრდა და გამოცდილ მწყემსებს დააჯილდოებენ, გაიმართება კონცერტი ადგილობრივი ფოლკლორული ჯგუფებისა და მოწვეული სტუმრების მონაწილეობით.

სპეციალურად მოწყობილ საექსპოზიციო პავილიონებში მოეწყობა მეცხვარეობის ტრადიციული საქმიანობის ჩვენება, ცხვრის პარსვა, ბაგაში შერეკვა, ყველის ამოყვანა... მატყლის დართვა, ჩეჩვა, ქსოვა... გამოიფინება ხალხური რეწვის ნიმუშები.

დღის ძირითადი ნაწილი დაეთმობა სპორტულ ასპარეზობებს მშვილდოსნობაში, ნაბადზე ხტომაში, ცხენის შეკაზმვაში, ბაგირის გადაწევასა და დოღში.

სპეციალურად მოწყობილ ფაცხაში სტუმრებს ექნებათ საშუალება, თუშური გარმონისა და სიმღერის ფონზე, მონაწილეობა მიიღონ თუშური კერძების მომზადების პროცესში და დაგემოვნონ კიდეც ხავიწი, გორდილა, კოტორი, ქუმელი, გუდის ყველი, მწვადი, ხინკალი, კახური შოთი, ღვინო და არაყი.

საღამოს დაინთება კოცონი.

## საგარეჯო – ახალგაზრდული ბანაკი მარიამჯვარში

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის სამუშაო გეგმის მიხედვით, მარიამჯვრის ტერიტორიაზე მოეწყო ახალგაზრდული ბანაკი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის.

ბანაკის მოწყობის მიზანია არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. ახალგაზრდებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები პრობლემურ საკითხებზე და დებატები გამართეს. ისინი აქტიურად ჩაერთნენ სპორტულ და გასართობ თამაშებშიც.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახური დიდ მადლობას უხდის პაატა ქვლივიძეს, ნუცა ბასილაშვილს, საქართველოს მოხალისეებს სოფო როსტიაშვილს და ნაზი სამუნაშვილს და ყველა ახალგაზრდას აქტიური მონაწილეობისთვის.




## დუშეთი – ინფრასტრუქტურული სამუშაოები მჭადიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში

დუშეთის მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

მჭადიჯვრის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულდა სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ფილიალის რეაბილიტაცია. დამონტაჟდა სავენტილაციო სისტემა, დაიგო იატაკი, შეიღება ჭერი და კედლები, მოწესრიგდა სველი წერტილები და პროდუქტის სათავსო, რაც წლების განმავლობაში პრობლემას წარმოადგენდა. ამჟამად ფილიალი სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.

მჭადიჯვრის ადმინიტრაციულ ერთეულში მოეწყო აგრეთვე სანიაღვრე არხები; მიმდინარეობს აგრეთვე სარიტუალო დარბაზის მშენებლობა. იგეგმება ასევე სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია.

## ამბროლაური – ახალი სასტუმროს მშენებლობა შაორზე

„აწარმოე საქართველოში“ - ამ სახელმწიფო პროგრამის ახალი კომპონენტია „უმასპინძლე საქართველოში“, რომლის ფინანსური მხარდაჭერით რაჭაში, შაორის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სასტუმრო შენდება. სასტუმრო-კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დაათვალიერა. მან იმედი გამოთქვა, რომ სასტუმროს მშენებლობა ხელს შეუწყობს ტურისტების ნაკადის ზრდას, მათთვის ხელსაყრელი გარემოს შეთავაზებას, რაც საბოლოოდ ტურიზმის სფეროსა და რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე აისახება.

პრემიერ-მინისტრს მასპინძლობა ბიზნესმენმა მამუკა ჯმუხაძემ გაუწია. მშენებლობას კომპანია „ჯეოტექინვესტი“ ახორციელებს. სასტუმრო „შაორი“ ფუნქციონირებას 2017 წლის ზაფხულიდან დაიწყებს.

**გიორგი კვირიკაშვილი**: „შაორს აქვს ძალიან დიდი პოტენციალი და ჩვენ ვგეგმავთ, რომ განსაკუთრებული ყურადღებ-

ბა დავუთმოთ ამ ტურისტული ზონის განვითარებას. შესაძლოა, საპარტნიორო ფონდის მხრიდანაც იყოს თანადაფინანსებული არაერთი სასტუმრო. ამ ტურისტული ზონის განვითარებაში ეს სასტუმრო პირველი მერცხალია. დაახლოებით მილიონი ლარის ინვესტიცია იგეგმება და და ამ მხარეს შეემატება ოცნომრიანი ძალიან ლამაზი, თანამედროვე სტანდარტებით აშენებული სასტუმრო. თვითონ ეს ბიზნესმენი კიდევ გეგმავს აქ მეორე სასტუმროს აშენებას. სახელმწიფოს მხრიდან, რა თქმა უნდა, იქნება განსაკუთრებული ყურადღება. საჭიროა გენერალური დაგეგმარება, რომ მშენებლობები სტიქიურად არ წარიმართოს. აუცილებელი იქნება სახელმწიფო რესურსით დახმარება, რომ რაჭამ, ამ ულამაზესმა კუთხემ, სრულად გამოიყენოს თავისი პოტენციალი. ადგილობრივი მეწარმეების მცირე ოჯახური სასტუმროების შემოსავალი უნდა გაიზარდოს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ რაჭა იცლება. თუ ჩვენ ასეთი მიზანმიმართული პროგრამები არ განვახორციელეთ, ძალიან რთული იქნება მოსახლეობის დაკავება. ამას აუცილებლად გავაკეთებთ“.

„უმასპინძლე საქართველოში“ მეწარმეებს შესაძლებლობას აძლევს, რეგიონებში განავითარონ სასტუმრო ბიზნესი, შექმნან სამუშაო ადგილები, მოიზიდონ მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყონ რეგიონის განვითარებას. ახალი კომპონენტი რეგიონული მეწარმეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებსა და საკონსულტაციო მომსახურებას და ამასთანავე ხდება წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვა ე. წ. „ფრანჩაიზინგის“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადების თანადაფინანსებით.

## მოსახლეობისთვის სოციალური ჭრების ფარგლებში სამასალე ხე-ტყის გაცემა დაიწყო

„ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N242 დადგენილების შესაბამისი მუხლების თანახმად, აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებისა და ქალაქ ფოთის და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორს, სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, არაკომერციული მიზნით, ადგილობრივი მოსახლეობისთვის გასაცემად გამოეყო I ხარისხის სამასალე მერქნის წლიური ზღვრული მოცულობა 5000 მ3 სამასალე ხე-ტყის ოდენობით (ხის სახეობა: წიწვოვანი - 95 პროცენტი, 4700 მ3; ფოთლოვანი - 5 პროცენტი, 300 მ3).

## ფოთში მიმდინარე პროექტები

ფოთის მერმა **ირაკლი კაკულია** ფოთში მიმდინარე სამშენებლო თუ სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

ფოთის მუნიციპალიტეტში მრავალსართულიანი კორპუსების ეზოების კეთილმოწყობის

# ძლიერი საქართველოსთვის

ფოთი

სამუშაოები მიმდინარეობს. ფოთის მერიის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფორმაციით, პროექტის მიხედვით სულ 30 ეზო კეთილმოწყობა. სამუშაოების ღირებულება 401 ათას 924 ლარია და იგი რეგიონული განვითარების ფონდიდან ფინანსდება. ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები სექტემბრის ბოლოს დასრულდება.

ქალაქში მიმდინარეობს აგრეთვე მრავალბინიანი კორპუსების ლიფტების რეაბილიტაცია. პროექტის მიხედვით, პირველ ეტაპზე ლიფტების სამონტაჟო სამუშაოები 15 მრავალსართულიან კორპუსში განხორციელდება. იგი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 110 ათას 647 ლარით ფინანსდება და სექტემბრის ბოლოს დასრულდება.

ფოთში მიმდინარეობს სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ქალაქისთვის გამოყოფილი ტრანსფერით ხორციელდება. პროექტის მიხედვით, ქალაქში ბეტონის არხები 12 ქუჩაზე ჩაიდება და აღნიშნული სამუშაოებიც სექტემბერში დასრულდება. პროექტის ღირებულება 1 480 000 ლარია.

ქალაქ ფოთის შიდასაკანალიზაციო სისტემის მოწესრიგებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 588 690 ლარია გამოყოფილი.

პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე საზაფხულო ამფითეატრისა და ღია ავტოსადგომის მოწყობას, შენობის ტერიტორიის კეთილმოწყობასა და შემოღობვას.

## შეხვედრები მოსახლეობასთან ადმინისტრაციულ ერთეულებში

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გრძელდება ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციისა და კეთილმოწყობის სამუშაოები. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი **გოჩა დგებუაძე**, გამგეობის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, ნოსირის, გეჯეთის, თეკლათის, ზემო ჭალადიდისა და ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში იმყოფებოდა. მან ადგილზე დათვალიერა შესრულებული და მიმდინარე სამუშაოები და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ადგილობრივი მნიშვნელობის საზოგადოებრივი საჭიროებების მოგვარებაზეა ორიენტირებული და მუნიციპალიტეტის თითხმეტივე ადმინისტრაციულ ერთეულში აქტიურ ფაზაშია შესული.

## ხობი – ოთარ დანელიამ ჭალადიდში მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ დანელია**, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორი **ლევან შონია**, საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის გენერალური დირექტორი **ლევან დვალი**, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელ გოჩა ქაჯაიასთან, საკრებულოს თავმჯდომარე **ედიშერ ჯობავასთან** და ხობის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროს **ანგულ მიქავასთან** ერთად, ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდისა და პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულებში MD მაგისტრალურ არხზე ხიდების მოწყობის სამუშაოებს გაეცნენ.

ხობი

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი შპს „საქართველოს მელიორაციის“ დაკვეთით, ჭალადიდისა და პატარა ფოთის ადმინისტრაციულ ერთეულებში MD მაგისტრალურ არხზე (8350 გრძივი მეტრი) ხიდების მოწყობა მიმდინარეობს, კერძოდ: აშენდება 36 ახალი (მათ შორის: 7 მძიმე ტექნიკის, 20 - საავტომობილო, 9 - საფეხმავლო) და კაპიტალურად გარემონტდება 9 ხიდი. სამუშაოების მთლიანი ღირებულება 940 000 ლარია.

## ხობის ბიუჯეტის შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა

ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები 517 ათასი ლარით იზრდება და ეს თანხა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას მოხმარდება. შემოსავლების ზრდა თვითმართველობას შესაძლებლობას აძლევს განახორციელოს ორი, მსხვილმასშტაბიანი ინფრასტრუქტურული პროექტი: ხეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ოხვამეკარში სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა (180 ათასი ლარი) და ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში ბონდის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები (250 ათასამდე ლარი).

## ახალციხე – ივლიტაში ახალი ინფრასტრუქტურული პროექტი იწყება

ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ივლიტაში უახლოეს მომავალში საავტომობილო გზის მონაკვეთისა და სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყება. პროექტის ფარგლებში, საავტომობილო გზაზე ასფალტბეტონის ორფენიანი საფარი დაიგება და რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხი მოეწყობა. ასევე იგეგმება სოფელში არსებული ხიდის რეაბილიტაციაც.

სამუშაოების შესასრულებლად ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ტენდერი უკვე გამოაცხადა. პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდება.

## ბოლნისი – მდინარე ფოლადაურზე ხიდი აღდგენილია

ბოლნისის მუნიციპალიტეტში კიდევ ერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. ხატისოფლისა და ვანათის მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ მდინარე ფოლადაურზე მდებარე სამანქანო ხიდის რეაბილიტაციისთვის ტენდერი გამოაცხადა. გამარჯვებულმა კომპანიამ სამუშაოები რამდენიმე დღის წინ დაასრულა. შეიცვალა დაზიანებული რკინის მოაჯირები, შეიღება და გამაგრდა რკინის კონსტრუქცია. გარდა ამისა, სამანქანო ხიდზე მოეწყო საფეხმავლო ჯებირი და გამყოფი ზოლი.

ქედა

## ქობულეთი – ჩაქვში ქუჩების მოწესრიგება მიმდინარეობს

ქობულეთში საავტომობილო გზების კეთილმოწყობა გრძელდება. დაბა ჩაქვში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება პარალელურად რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს. ასფალტბეტონის საფარი ჩაქვი-მეგენეიშვილების, უმაღლესი საბჭო-ჩაქვის პარკის და საბავშვო ბაღი-წერეთლის ქუჩის მიმართულებით იგება. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებულია სკოლასთან მისასვლელი გზის კეთილმოწყობაც.

ინფრასტრუქტურული პროექტი აჭარის საგზაო დეპარტამენტის ორგანიზებით ხორციელდება. ქუჩების მოწესრიგებისთვის 389 900 ლარია გათვალისწინებული. სამუშაოების დასრულება 2 კვირაში იგეგმება.

## ქედა – 150 ოჯახს სასმელი წყლის პრობლემა მოუგვარდა

ბოლო 3 წლის განმავლობაში, სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია და ამას სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის ავზების, მაგისტრალების, საქლორატორების მშენებლობები ადასტურებს. სოფელ ჯალაბაშვილებსა და ხარაულაში მცხოვრებ 150 ოჯახს სასმელი წყლის დეფიციტი განსაკუთრებით ზაფხულობით აწუხებდათ. მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ 17-კილომეტრიანი მაგისტრალისა და 480-ტონიანი სარეზერვო ავზის მშენებლობა მიმდინარე წელს დაიწყო, რისთვისაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 868 000 ლარია გათვალისწინებული.

ხარაულის სოფლის თავში სამარაგო აუზი და მიმდინარე სამუშაო პროცესი დავით დუმბაძემ სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსთან კონსტანტინე გუმბერიძესთან ერთად დაათვალიერა. „ჩვენი ძირითადი მიზანი, ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფა, წელს მთლიანად შესრულებული იქნება. პროექტის მიხედვით, ხარაულა-ჯალაბაშვილების სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა 2 წელზე იყო გათვლილი, თუმცა სამუშაოების 70 პროცენტი უკვე შესრულებულია. როგორც ფირმის ხელმძღვანელობა აღნიშნავს, მოსახლოება 15 დღეში უკვე ისარგებლებს ახალი მაგისტრალით. მადლობას ვუხდი „უნივერსალ ჯორჯიას“ მაღალი პასუხისმგებლობისა და არაჩვეულებრივად შესრულებული სამუშაოებისთვის“, - აღნიშნა დავით დუმბაძემ.

სამშენებლო სამუშაოებზე 70-მდე ადგილობრივია დასაქმებული.

# როგორ ცდილობდნენ „მსუბუქი ყოფაქცევის ქალების“ გამოსწორებას წინა საუკუნეებში

**1862 წლის 29 მარტს სანქტ-პეტერბურგის კალინკინის საავადმყოფოში გაიხსნა თავშესაფარი „ცუდი ყოფაქცევის“ ქალებისთვის. თუმცა, გარყვნილი და ცოდვილი ქალებისთვის გამოსასწორებელი დაწესებულებები დედაქალაქში ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს არსებობდა.**

მარიამ მაგდალინელის სახელობის თავშესაფარი მომნანიებელი ქალებისთვის კალინკინის საავადმყოფოს ბაზაზე დაფუძნდა, რომელსაც თავისებური სპეციფიკა ჰქონდა. ეს დაწესებულება XVIII ს-ის შუა წლებში გაიხსნა, ე. წ. „სართავი სახლებიდან“ ერთ-ერთის ბაზაზე. ეს სახლები წარმოადგენდა მასუ-

ბუქი ყოფაქცევის ქალებისთვის განკუთვნილ ციხეებს, ასევე იმ ქალებისთვის, რომლებსაც სხვა კანონდარღვევები ჰქონდათ ჩადენილი.

ეს უძველესი პროფესია რუსეთში პეტრეს რეფორმებამდეც არსებობდა. თუმცა, სწორედ XVIII ს-ში, დედაქალაქში ევროპული სიამეების შემოსვლასთან ერთად, გაჩნდა მოთხოვნილება სხვადასხვა სახის გასართობ დაწესებულებებზე. სულ უფრო ხშირად იხსნებოდა იატაკქვეშა საროსკიპოები, და ამასთან ერთად სანქტ-პეტერბურგში დაიწყო „ფრანგული დაავადებების“ გავრცელებაც.

XVIII ს-ის 20-იან წლებში პეტრე პირველის ბრძანების თანახმად იწყება სართავი სახლების — სამრეწველო დაწესებულებების მშენებლობა, რომლებიც არამარტო საქსოვი ძაფის მწარმოებელ ფაბრიკებად, არამედ მსუბუქი ყოფაქცევის ქალების კოლონიებადაც იქცა.

ეს იდეა იმპერატორმა ევროპიდან ჩამოიტანა საზღვარგარეთული ვოიაჟებიდან. ამგვარი სახის ყველაზე ცნობილი დაწესებულება ფუნქციონირებდა კალინკინის სოფელში, სადაც 1720 წელს სპეციალურად აშენდა ორსართულიანი ქვის გრძელი სახლი ეკლესიითა და სამრეკლოთი.

კალინკინის „მსუბუქი ყოფაქცევის ქალთა“ გამოსასწორებელი დაწესებულების შესახებ პირველი ცნობები მოიპოვება რუსეთის იმპერიის კანონების სრულ კრებულში იმპერატრიცა ელიზავეტა I 1750 წლის 1 (12) აგვისტოს ბრძანებაში. მასში ლაპარაკია „ყველა უღირსი ცოლისა და ქალის“ დაჭერასა და კალინკინის სახლში მიყვანაზე.

უფრო მოგვიანებით, 1862 წელს, აქ გაჩნდა რუსეთში ყველაზე დიდი მარიამ მაგდალინელის თავშესაფარი მომნანიებელი ქალებისთვის, რომელიც ევროპულ ყაიდაზე იყო მოწყობილი. ამ თავშესფარში იღებდნენ არასრულწლოვან გოგონებს, რომლებსაც უბიწოება ჰქონდათ დაკარგული, საროსკიპოში მომუშავე მომნანიებელ ქალებს, ასევე ახალგაზრდა ქალებსა და გოგონებს, რომლებმაც უბიწოება ციხეში დაკარგეს.

ცნობილია, რომ პირველი ასეთი თავშესაფარი 1767 წელს შეიქმნა ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში. თავდაპირველი კეთილშობილური მიზანი, რომელიც დაცემული ქალებისთვის საზოგადოებაში საკუთარი ადგილის პოვნაში დახმარება უნდა ყოფილიყო, მალევე დაამახინჯეს. გამოსასწორებელი დაწესებულებები სასტიკი მოქცევის, კატორღული შრომისა და დაუსრულებელი ფიზიკური და მორალური დამცირებების ადგილებად იქცა.

დუბლინის ქუჩებში

იქ მომსახურე მონაზვნებს, რომლებსაც აღსაზრდელებისთვის მეთვალყურეობა უნდა გაეწიათ, უფლება მისცეს გამოეყენებინათ მკაცრი ზომები, რათა ქალებს თავშესაფრის დატოვება გადაეფიქრებინათ და მათში მონანიების გრძნობა გაეღვივებინათ. არც თუ იშვიათად ეკლესიის მსახურები ზედმეტი მონდომებით ეკიდებოდნენ საკუთარ მოვალეობებს და გზააბნეულებს დაუნდობლად სცემდნენ.

ასეთი დაწესებულებების ძალაუფლება საზოგადოებაში სწრაფად იზრდებოდა და ძლიერდებოდა. და თუ თავიდან ასეთ თავშესაფრებში მხოლოდ მსუბუქი ყოფაქცევის ქალები ხვდებოდნენ, მოგვიანებით უკვე იქ მიჰყავდათ მარტოხელა დედები, ქალები, რომლებიც ძალადობის მსხვერლნი გახდნენ და ის ქალიშვილები, რომელთა გარეგნობასაც ნათესავები ძალიან მაცდუნებლად მიიჩნევდნენ.

ძნელია დაიჯერო, მაგრამ ეს „ქალთა კატორღები“ ირლანდიაში 1996 წლამდე არსებობდა! და ისინი მხოლოდ ხმაურიანი სკანდალის შემდეგ დახურეს, როცა ამ თავშესაფრის აღსაზრდელების ცხოვრების საშინელი წვრილმანები ამოტივტივდა!

თავიდან ამგვარი დაწესებულების ტერიტორიაზე უსახელო საფლავებში აღმოაჩინეს 155 ქალის ნეშტის ნარჩენები. მოგვიანებით „მაგდალინელის თავშესაფრების“ რამდენიმე აღსაზრდელმა საჯაროდ განაცხადა მათზე განხორციელებული მრავალჯერადი სექსუალური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის შესახებ. ეს ფაქტები 1997 წელს გახდა დოკუმენტური ფილმის „სექსი ცივ კლიმატში“ გადაღების საფუძველი.

2013 წელს, მრავალწლიანი გამოძიების შემდეგ, ირლანდიის მთავრობის მეთაურმა ენდე კენიმ ბოდიში მიუხადა ათასობით საკუთარ თანამემამულე ქალს „მაგდალინელის სამრეცხაოებში“ არსებული აუტანელი პირობების გამო.

თუმცა, ამ მხრივ არც რუსეთში იყო უკეთესი ვითარება. თავიდან, გარყვნილი ქალებისთვის განკუთვნილ ციხეში, რომელსაც ქალაქის მცხოვრებლები „ფინტანკაზე საიდუმლო სახლს“ ეძახდნენ, ქალებს სცემდნენ, აწამებდნენ და ფეხებზე „გასაღებიანი რკინის რგოლები“ ეკეთათ. ბევრმა პატიმარმა სიცოცხლე ამ საპატიმროში დაასრულა.

პრინციპულად ახალი ეპოქა კალინკინის სახლისთვის ეკატერინე II-ის მმართველობის დროს დადგა. 1779 წელს ეს დაწესებულება გამოსასწორებელი უწყების სტატუსს კარგავს და ხდება „ფრანგული დაავადებების“ საიდუმლო სამკურნალო — რუსეთში პირველი ვენერიული დაავადებების სამკურნალო კლინიკა. მკურნალობა ანონიმური იყო, გარეშე პირებს ტერიტორიაზე არ უშვებდნენ, ხოლო პაციენტებს შეეძლოთ კონსპირაციის მიზნით ნიღბები ეტარებინათ.

ახლა უკვე გარყვნილ ქალებს აქ აღარ სცემდნენ, არც ძალადობდნენ მათზე, არამედ, მართალია, ძალის გამოყენებით, მაგრამ მაინც მკურნალობდნენ. ხოლო 1862 წელს აქ გახსნილ მარიამ მაგდალინელის თავშესაფარში პირობები უფრო ლმობიერი იყო — პერსონალი დაკავებული იყო აღსაზრდელთა განვითარებით და სწავლებით, მათ შრომას აჩვევდნენ და შესაძლებლობების ფარგლებში ქალაქის მცხოვრებლების ოჯახებში მოსამსახურეებად აწყობდნენ.

ნიკოლოზ პირველის მმართველობის პერიოდში კი პროსტიტუცია რუსეთში ლეგალიზებული გახდა.

კალინკინის „მსუბუქი ყოფაქცევის ქალთა“ გამოსასწორებელი დაწესებულება

მოამზადა
**ბელა გველესიანმა**
568 90 81 22

# ქეით უორნი – პირველი ამერიკელი დეტექტივი ქალი

1856 წელს 23 წლის ქვრივი ჩიკაგოს გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას და დეტექტივის მუშაობის შესახებ პინკერტონის ინტერვიუს გამოეხმაურა. თავიდან დეტექტივი გაოგნდა, როცა საკუთარი ოფისის ზღურბლთან ახალგაზრდა სუსტი აღნაგობის ქალბატონი დაინახა, მაგრამ იგი მალევე მიხვდა, რომ ქალ-დეტექტივს მამაკაცთან შედარებით ბევრი უპირატესობა გააჩნია და იქ შეღწევაც შეუძლია, სადაც მამაკაცი ვერ მოახერხებს შესვლას. მაგალითად, ქალს შეუძლია ბოროტმოქმედების ცოლებისა და საყვარლების ნდობის მოპოვება და მათი საიდუმლოებების შეტყობა. მიუხედავად მოწინააღმდეგეებისა, პინკერტონმა კეიტი დეტექტივად აიყვანა.

ალან პინკერტონი აღწერდა უორნს, როგორც ტანმაღალ, დახვეწილი მოძრაობების ქალბატონს კარგი მანერებით. მისი ნაზი ცისფერი თვალები ცეცხლით იყო სავსე. ფართო, პატიოსანი სახე, რომელიც გულწრფელად გამოხატავდა თანაგრძნობასა და წუხილს, ასევე სიმტკიცესა და გადაწყვეტილების ურყევობას.

**ითვლება, რომ ეს ერთადერთი ფოტოა, რომელზეც პირველი დეტექტივი ქალბატონია აღბეჭდილი. იგი ალან პინკერტონის უკან (ჯენტლმენი წვერითა და სიგარით) დგას.**

**47 წლით ადრე, ვიდრე ამერიკის პოლიციაში მუშაობის უფლებას ქალებს მისცემდნენ, ალან პინკერტონმა საკუთარ სააგენტოში დეტექტივის თანამდებობაზე ქეით უორნი დანიშნა.**

კეიტ უორნმა მალე დაამტკიცა, რომ იგი შეუცვლელი იყო. 1858 წელს პინკერტონის სააგენტომ მიიღო შეკვეთა ალაბამას შტატის ქალაქ მონტგომერიში მდებარე ფირმა „ადამს ექსპრესისგან“, რათა ეთვალთვალათ და შემდეგ დაეპატიმრებინათ ქურდი, რომელმაც მონტგომერიდან ჯორჯიის შტატის ქალაქ ავგუსტაში მიმავალი მატარებლიდან 40 ათასი დოლარი მოიპარა. „ეიტ უორნი ეჭვმიტანილის ცოლს „დაუმეგობრდა“ და მისგან საჭირო ინფორმაცია მიიღო. ქურდი დაიჭირეს და თანხაც პატრონს დაუბრუნდა იმ 400 დოლარის გამოკლებით, რომლის დახარჯვაც ქურდმა მოასწრო. ამ გამოძიების შესახებ მოთხრობა გამოქვეყნდა ალან პინკერტონის შესახებ ისტორიების პირველ წიგნში.

ქეიტის მონაწილეობით ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საქმე გახდა პრეზიდენტ ლინკოლნის მკვლელობის თავიდან აცილება. პინკერტონმა მიიღო შეკვეთა ფირმისგან, რომელიც რკინიგზის იმ ხაზს ემსახურებოდა, რომელიც ფილადელფიიდან ბალტიმორის გავლით უილმინგტონის მიმართულებით მიემართებოდა, რათა შეესწავლათ სეპარატისტული დაჯგუფებებისგან საბოტაჟის შესაძლებლობა.

უორნი ერთ-ერთი იმ აგენტთაგანი იყო, რომელიც 1861 წელს მივლინებული იყო ბალტიმორში სეპარატისტული მოქმედებების ყველაზე აქტიურ პერიოდში. ქეიტი თავს მდიდარ სამხრეთელ ლამაზმანად წარადგენდა და სეპარატისტების ყველა მნიშვნელოვან შეკრებას ესწრებოდა. მან მოიპოვა მნიშვნელოვანი ცნობები არა მარტო რკინიგზაზე ტერორისტული აქტების განხორციელების შესახებ, არამედ იმ შეთქმულების შესახებაც, რომელიც მიზნად ისახავდა პრეზიდენტ ლინკოლნის მკვლელობას ბალტიმორში მისი ჩაბრძანებისას.

არჩეული პრეზიდენტი თავისი სახლიდან, რომელიც სპრინგფილდში მდებარეობდა, ვაშინგტონისკენ მიემართებოდა ინაუგურაციის ცერემონიის ჩასატარებლად. ამ დღეს შეთქმულებს გადაწყვეტილი ჰქონდათ გაფიცვა მოეწყოთ, ესარგებლათ არეულობით და პრეზიდენტზე თავდასხმა განეხორციელებინათ.

თავად პრეზიდენტი თავიდან სკეპტიკურად განეწყო პინკერტონის გაფრთხილებების მიმართ, მაგრამ, როდესაც ჰარისბურგსა და ფილადელფიაში საჯარო გამოსვლების დროს ბრბოში არეულობები შენიშნა, დამოკიდებულება შეიცვალა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტს უარი არ უთქვამს დასახულ მარშრუტზე.

ამ სიტუაციაში პინკერტონმა დაბეჯითებით მოითხოვა, რომ ლინკოლნს უსაფრთხოების წესები დაეცვა. პრეზიდენტმა გზა გააგრძელა ჩვეულებრივი, მოკრძალებული ვაგონით. მას თან ახლდნენ პინკერტონის აგენტები.

ისტორიამ ძალიან საინტერესო ფაქტები შემოინახა. ამ მოგზაურობის დროს ლინკოლნს ჰქონდა რთული გრიმი და თავს ინვალიდად ხოლო კეითს კი დად ასაღებდა. ლინკოლნი და უორნი ერთი კუპეთი მგზავრობდნენ და ქეითი დღე და ღამე ფხიზლობდა, რათა დაეცვა პრეზიდენტის უსაფრთხოება. ლეგენდიდან ასევე ცნობილია, რომ სწორედ Qეით უორნმა შთააგონა პინკერტონი თავისი სააგენტოს დევიზის შექმნაზე, რომელიც ასე ჟღერს: „ჩვენ არასოდეს გვძინავს“!

სამოქალაქო ომის წლებში უორნმა სახელი გაითქვა, როგორც კონფედერაციის ყველაზე ეფექტურმა ჯაშუშმა, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ გააგრძელა დეტექტივად მუშაობა და სათავეში ჩაუდგა სააგენტოს ქალთა კოლექტივს.

ბევრი გამოძიების დროს კინკერტონი და უორნი თავს ცოლ-ქმრად აცხადებდნენ. დადიოდა ხმები, თითქოს ისინი საიდუმლო საყვარლები იყვნენ.

როცა 1868 წლის 28 იანვარს ქეით უორნი პნევმონიით გარდაიცვალა, უკანასკნელ გზაზე იგი სწორედ ალან პინკერტონმა გააცილა, რომელიც ავადმყოფობის დროს ქალის საწოლს არ მოშორებია. ქეითი პინკერტონების გრეისლანდის საგვარეულო სასაფლაოზეა დაკრძალული ჩიკაგოში.

**მკითხველის ფოსტა**

# რომ გადავრჩეთ ვისწავლოთ სხვის შეცდომებზე

ეროვნული ბანკის ოფიციალური მონაცემებით, მთლიანი საგარეო ვალის მომსახურებისთვის საქართველოს გადასახდელი აქვს 4,8 მილიარდი დოლარი. როგორც ვიცით, ვალის უდიდესი ნაწილი კერძო სექტორზე მოდის. კონკრეტულად ბანკებს წელს თავისი მოვალეებისათვის გადასახდელი აქვთ 15 მილიარდი აშშ დოლარი, კომპანიათაშორისი სესხების სახით დასაფარი აქვთ 4,3 მილიარდი დოლარი. მომდევნო 10 წლის განმავლობაში საქართველოს უკვე აღებული მთლიანი საგარეო ვალის მომსახურებისათვის ათეულობით და ასეულობით დოლარი დასჭირდება.

ეს ციფრები, მინიმუმ, დასაფიქრებელია. ამ თანხების გადახდა უნდა მოხდეს ექსპორტიდან მიღებული თანხებით, მაგრამ ეს თანხები მინიმალურია.

ზემოთაღნიშნული ვალების გადახდის მიზნით, ექსპორტის გაზრდის მაგივრად, პარადოქსია, მაგრამ საქართველოში რეკორდული რაოდენობის უცხოური პროდუქტი შემოვიდა. როგორც ცნობილია, ერთ თვეში იმპორტი 855 მილიონი დოლარით გაიზარდა. ეს არის რეკორდული მაჩვენებელი. ვალების გადახდა, ჩემი აზრით, აგებული იყო ღვინის რეალიზაციის ხარჯზე, მაგრამ ბოლო პერიოდში ღვინის ფასები 2%-ით შემცირდა. ბოლო პერიოდში რუსული რუბლი გამყარდა და იქნებ ამან მაინც გვშველოს და საქართველოდან გასულ პროდუქციაზე ფასებმა მოიმატოს.

დასასრულს მინდა შემოგთავაზოთ **შიმონ პერესის** სიტყვა, რომელმაც „სამყარო შეძრა“, — ასე შეაფასეს მსოფლიოს წამყვანმა მედიასაშუალებებმა 92 წლის ებრაელი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ისრაელის მე-9 პრეზიდენტის საჯარო გამოსვლა.

„ჩვენ ვოცნებობდით ჩვენს მიწაზე, მაგრამ მიწა, რომელიც ჩვენ გვერგო, არ იყო საოცრება, არ გვქონდა წყალი, არ გვყავდა მეგობრები, მაგრამ ორიენტირი აიღეს ყველაზე დიდ სიმდიდრეზე, ადამიანზე, ეს ჩვენთან იგნორირებულია. გეზი მიმართეს მეცნიერების განვითარებაზე, ვინაიდან მეცნიერებას არა აქვს საზღვარი, შეზღუდვა და არა აქვს რეფლექსები“.

პოლიტოლოგი და პუბლიცისტი **ავიგდორ ესკინი** ჩვენს ქვეყანას ურჩევს: ვინაიდან საქართველოს აქვს ვალები აღებული დასავლეთთან, ქვეყანას მოუწევს აღებული ვალების გასტუმრება. იმისათვის, რომ ვალები გავისტუმროთ, აუცილებელია თანამშრომლობა რუსეთთან.

რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, საქართველოს ინტერესებშია რუსეთთან ურთიერთობის დალაგება. გათვალისწინებული უნდა იქნას ისრაელის მაგალითი. ისრაელი თანამშრომლობს აშშ-სთან, ამავდროულად, რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორიცაა რეგიონში.

ნათქვამია, გონიერნი სხვის შეცდომებზე სწავლობენ, უგუნურნი თავიანთ შეცდომებზეო, იქნებ ჩვენც ვისწავლოთ და ქვეყანა გადავარჩინოთ. „ვიჩქაროთ ნელა“...

**რევაზ ფახურიძე**

# მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

## ვინ მოპარა საქართველოს ისტორიას 4 000 წელი?

(გაგრძელება. დასაწყისი „საერთო გაზეთი“ №15)

ჩინელი არქეოლოგი ამბობს, რომ პირამიდები განლაგებულია ასტრონომიული ასპექტების გათვალისწინებით და წარმოადგენს გეომეტრიისა და მათემატიკის გასაოცარი ცოდნის ნიმუშს, მხოლოდ ის არის გასარკვევი, საიდან ჰქონდათ ძველ ადამიანებს ასეთი ცოდნა. მკვლევართა ვერსიების მიხედვით, ეს არის „ნათელი ზოლების“ გიგანტური სისტემის ნაწილი, რომელსაც ჩინეთში „ფენშუის“ უწოდებენ.

ატლანტიკის ოკეანეში ჩაძირული პირამიდა

ძველ, ხუთიათასწლოვან მანუსკრიპტებში მკვლევარები პოულობენ ინფორმაციას, რომ გრანდიოზული „პროექტების“ ავტორები, რომლის ნაწილსაც პირამიდები წარმოადგენენ, იყვნენ „ცის შვილები“, რომლებიც რამდენიმე ათასწლეულის უკან ჩამოფრინდნენ „ცეცხლისმფრქვეველი დრაკონებით“.

როგორც მეცნიერთა დასკვნები მეტყველებენ, ყველა გიგანტური ნაგებობის შემქმნელები არიან არა მონები და მათი მონური შრომა, არამედ ძალზე განვითარებული ცივილიზაციის წარმომადგენლები. თანამედროვე, პროფესიონალი მშენებლების გამოკვლევებმა ცხადჰყვეს, რომ პირამიდების მსენებლებს გააცნდათ თანამედროვეობისთვის წარმოუდგენელი ინსტრუმენტები. მაგალითად, როდესაც იკვლევდნენ ნასვრეტებს გრანიტის ბლოკებში, სპეციალისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ პირამიდის მშენებელთა საბურღი თავისი სიძლიერით 500-ჯერ აღემატებოდა ყველაზე თანამედროვე სახვრეტს. პირამიდის მშენებლებს შეეძლოთ გასაოცარი სისწრაფით არა მხოლოდ გამოეჭრათ უზარმაზარი ქვის ბლოკები, არამედ თვალის დახამხამებაში ჩამოეჭრათ ქანები. მკვლევარებმა ტერმინიც კი შეიმუშავეს „პლასტელინის ტექნოლოგია“. არსებობს ვარაუდიც, რომ პირამიდების მშენებლებს შეეძლოთ გადაეადგილებინათ სიმძიმეები ლევიტაციური უნარით; რომ პირამიდის მშენებლებს გრავიტაციის საწინააღმდეგოდ, შეეძლოთ ზეგავლენა მოეხდინათ ქვის ტალღურ ბუნებაზე. თანამედროვე მეცნიერება იძულებულია აღიაროს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებით შეუძლებელია იმ შედეგის მიღწევა, რაც უძველეს დროში შესაძლებელი იყო.

გვინდა თუ არ გვინდა, გვჯერა თუ არ გვჯერა, დედამიწის ყველა კუთხეში ინფორმაციას ვაწყდებით „ციდან მოსულების“, „ცის შვილების“ შესახებ...

პრაქტიკულად, ყველა კულტურაში არის ლეგენდა წყალში ჩაძირულ ქალაქებსა და კონტინენტებზე; რაღაც ძველ, განვითარებულ ცივილიზაციებზე; ზეადამიანებზე; „ღმერთების სამყოფელზე“; მსოფლიო წარღვნაზე — რაც მთლიანობაში ერთ ძველ და უცნობ ცივილიზაციაზე საუბარია. წარღვნამდელი ცივილიზაციის ნარჩენები მთელ მსოფლიოშია მიმობნეული არა მხოლოდ პირამიდების სახით, ეს არის მრავალრიცხოვანი მონუმენტები, ობელისკები, მეგალითები, გაურკვეველი წარმოსობის დამწერლობები, გიგანტური, ამოუცნობი მიწისზედა გეომეტრიული ფიგურები და ზოლები, გამოსახულებები და საგნები...

დღეს ეგვიპტის პირამიდების თავზე კრისტალები აღარ არის, მაგრამ შიგნით მაინც ძლიერი მაგნიტური ფონია. სწორედ ამიტომ, პირამიდების თავზე, თვითმფრინავების ჩამოვარდნის დიდი ალბათობის გამო, ფრენა აკრძალულია. იმის მტკიცებულებად, რომ პირამიდების შიგნით ელექტროდენი იყო, ისიც კი გამოდგება, რომ არსად ჩანს ზეთის (ან სხვა რამის) წვის კვალი, შიდა კედლებზე კი ნათურების მნიშვნელობებია დახატული.

(აუხნელ მოვლენად ითვლებოდა რა ემართებოდათ ადამიანებს ტიბეტში, რომელებიც კაილაშის მთის ზედმეტად გაცნობას მოინდომებდნენ. როგორც ბოლო მონაცემები გვამცნობენ, მეცნიერებსა თუ ალპინისტებს ეჭვიც აღარ ეპარებათ, რომ ეს პირამიდების კომპლექსია თავისი სარკეებით. თავდაპირველად ყურადღება იმან მიიპყრო, რომ მთების ფორმა არაბუნებრივი იყო, ხელოვნური კონტურები აშკარად შეიმჩნეოდა. დღეს დადასტურებულად ამბობენ, რომ მთელი კომპლექსი კოსმოგონიური წარმოშობისაა. ის ვიღაცეებმა უხსოვარ დროში ააგეს, თუმცა ვინ იყვნენ ის „ვიღაცები“? ისიც გაურკვეველია, „ვიღაცებმა“ ააგეს თუ დედამიწაზე მცხოვრებლებმა, რომელთაც კავშირი ჰქონდათ იმ „ვიღაცებთან“ — ყველა შემთხვევაში ერთხმად თანხმდებიან, რომ ის კოსმოგონიური წარმოშობისაა. საინტერესოა ისიც, რომ მზის სხივების დაცემისას კაილაშზე ისახება სვასტიკა (ისევ სვასტიკა!), რასაც მარტივი ახსნა მოუძებნეს, ეს მხოლოდ წყლის ნადენი ღარებიაო — სვასტიკის ფორმა ხომ უცვლელია, რა მნიშვნელობა აქვს?

აბიდოსის ტაძრის იეროგლიფები

კაილაშზე (ჰიმალაის მთათა სისტემას ეკუთვნის) ფეხი არ აქვს დადგმული არც ერთ თანამედროვე ადამიანს. საქმე იმაში არ გახლავთ, რომ ჩინეთმა და გაერო-მ ვეტო დაადეს მასზე ასვლას, ვეტომდეც ვერავინ შეძლო მასზე ასვლა, რადგან ადამიანები ცუდად ხდებიან მიზეზთა გამო და სხვადასხვა ჩვენებებით (მათ შორის უეცარი დაბერებით).

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ერნსტ მულდაშევი რომელიც ტიბეტს იკვლევდა, მიიჩნევს, რომ ოდესღაც, ჩრდილოეთ პოლუსი იყო მთა კაილაში, რომელიც წააგავს ხელოვნურ 7-კილომეტრიან პირამიდას, ხოლო პლანეტის მეორე კუთხეში მდებარეობდა აღდგომის კუნძული, რომლის შესახებაც მოგვიანებით ვისაუბროთ. გონებაში, ერთი ხაზით რომ შევაერთოთ მთა კაილაში ეგვიპტურ პირამიდებთან, გავიაროთ მერიდიანზე, პირდაპირ აღდგომის კუნძულებზე გავალთ; ხოლო თუ აღდგომის კუნძულებს მექსიკურ პირამიდებთან შევაერთებთ გონების ხაზით, პირდაპირ

ტეოტიუაკანი

გავალთ კაილაშზე. (საგნის (თემის) მცირედმცოდნე ურწმუნოებისთვის, ალბათ, ესეც დამთხვევა იქნება...) 1996 წელს მულდაშევმა მოაწყო საერთაშორისო ტრანსჰიმალაური ექსპედიცია და შეკრიბა უნიკალური მასალა, რომელიც წარღვნამდელი დიდი ცივილიზაციის არსებობას ადასტურებს. საგნის (თემის) მცირედმცოდნე ურწმუნოებისთვის, ალბათ, ესეც დამთხვევა იქნება...

(სხვათაშორის, ტეოტიუაკანი თარგმანით ნიშნავს „ადგილს, სადაც ღმერთები დედამიწას შეეხნენ“. ინდიელების ლეგენდების მიხედვით, პირამიდები ააშენეს ადამიანებმა რომლებიც ჯადოსნურ უნარებს ფლობდნენ...)

ვინაიდან სხვა ახსნა არ მოეძებნება იმ შედეგს, რაც პირამიდების მოცემულობით მიიღება, ახლა საკითხავი ის რჩება, რისთვის იყო საჭირო ეს ენერგია?

ძველი ბერძენი ფილოსოფოსის, პლატონის მტკიცებით, ჰერკულესის სვეტების გადაღმა (იგულისხმება გიბრალტარის სრუტე), ატლანტის ოკეანეში, წარღვნამდე კიდევ ერთი კონტინენტი არსებობდა, რომელზეც მაღალგანვითარებული ცივილიზაციის წარმომადგენლები, ატლანტები ცხოვრობდნენ. მათ ნავებისა და გემების გარდა სხვადასხვა სახის გადაადგილების საშუალება ჰქონდა, მათ შორის საფრენი აპარატებიც და მთელ პლანეტაზე დაპყრობით ომებს აწარმოებდნენ. სავარაუდოდ, სწორედ ამ საფრენი აპარატებისთვის იყო საჭირო პირამიდებში გამომუშავებული ელექტრო ენერგია. ეგვიპტეში, დენდერის ჰატჰორის ტაძრის გარე კედელზე, იეროგლიფებთან ერთად, ამოტვიფრულია მფრინავი ობიექტის ფორმის ფიგურები, რაც პლატონის სიტყვებს ადასტურებს საფრენი აპარატების შესახებ.

პლატონის მტკიცებიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ატლანტებმა დედამიწის სხვადასხვა რეგიონების კოლონიზაცია მოახდინეს, იქ მიწათმოქმედების ცენტრები დააარსეს და კოლონიების გასაკონტროლებლად, სწრაფი და მარტივი კომუნიკაციისთვის, პირამიდები ააგეს. ეს ყველაფერი 12 000 წლის წინ, ანუ ჩვენს ერამდე 10 000 წლის წინ ხდებოდა. და რატომ უგებდნენ კოლხები ენერგიის წყაროებს ვისაც უგებდნენ, საიდან ჰქონდათ ეს ცოდნა და რატომ? რა აკავშირებდა ძველ კოლხებს რაღაც, სხვა ცივილიზაციასან? ან ისინი მაინც, სულაც ვინ იყვნენ, საიდან მოვიდა, ციდან დაეშვა, კოსმოსიდან, რომელიც უსასრულოდ მიიჩნევა?

ჰეროდოტეს, „ისტორიის მამას“ (ძვ. წ. აღ 490-425 წწ) გვერდს ვერ ავუვლით ამ საკითხთან დაკავშირებითაც. მისი ავტორიტეტიდან გამომდინარე, მის მიერ ნათქვამი ყველა სიტყვა დამაჯერებელია, მაგრამ მოხდა ისე, რომ მასაც არ დაუჯერეს, როდესაც განაცხადა, რომ თავისი თვალით ნახა მეტალისგან დამზადებული ნავი, რომელიც დიდი სიჩქარით შევიდა ჰერაკლეს სვეტებიდან (გიბრალტარის სრუტე) და ხმელთაშუა ზღვაში გაუჩინარდა. ძვ. წ. V საუკუნეში ჰეროდოტე ამტკიცებდა, რომ დიდი სიჩქარით შემოცურებულ ნავს არც აფრები ჰქონდა და არც ნიჩბები — ბუნებრივია, მასზე მყოფ ადამიანებზე საუბარი არაა. დღეს დაუჯერებდნენ წყალქვეშა ნავის დანახვას...

ძვ.წ აღ XV საუკუნეში 1468 წელს ნილოსის სანაპიროსთან როდესაც მფრინავი ობიექტი გამოჩნდა, როგორც ჩანს, იმდროინდელი ეგვიპტელები არც დაზაფრულან და არც აღტკინებულან, ფარაონ თუთმოს III-ის ბრძანებით „ქრონიკებში“ მხოლოდ ფაქტი დააფიქსირეს, რომ „ზამთრის მესამე თვეში ცაში გამოჩნდა სწორი ფორმის მქონე, დიდი ობიექტი, რომელიც ნელა გადაადგილდებოდა სამხრეთისკენ“.

(გაგრძელება იქნება)



## კროსვორდი



შვეულად: 1. გოგიას გვარი ფილმიდან „ხარება და გოგია“. 2. პირი, რომელიც აწესრიგებს ტრანსპორტის მოძრაობას. 3. დარდი, საფიქრალი. 4. რისამე ცვლის, განვითარების პროცესი. 5. უნგრული ავტობუსი. 7. რონალდოს „კიჭას“ გარდა კიდევ ჰქონდა მეტსახელი. 8. რუსეთის ყველაზე მდიდარი ქალი, ლუჟკოვის ცოლი. 13. ვულკანების შემსწავლელი დარგი. 16. გარდატეხილი ან არეკლილი სხივების გადაკვეთის წერტილი. 17. დაწესებულება, სადაც უკვირდებიან და სწავლობენ ცოცხალ ზღვის ცხოველებს. 18. საიუველირო მაღაზიათა ქსელი თბილისში. 20. სოფელი ქობულეთში. 21. ნაგებობა, რომელშიც მოათავსეს ჩერნობილის ატომური ელსადგური ავარიის შემდეგ. 22. ნიჟარაში მცხოვრები ზღვის არსება. 23. ნაგვის ასაღები სამარჯვი. 28. ოქროს ან ფოლადის თამასა, რომელზედაც მიმაგრებულია ხელოვნური კბილები.

თარაზულად: 3. „როლინგ სტოუნზის“ სოლისტი. 6. თოჯინების შიში. 9. ბიბლიური, ურწმუნო პერსონაჟი. 10. ჩინური ხალხური მედიცინის მეთოდი ნემსით ჩხვლეტით მკურნალობა. 11. ჯიბლიბო. 12. ქალაქი ვაშინგტონსა და ფილადელფიას შორის. 14. თინეიჯერის ქართული შესატყვისი. 15. თამარ მეფის შვილი ლაშა ... 19. ისრის წვერი. 20. შეძახილი კონცერტზე გამოხატავს ნომრის განმეორების სურვილს. 22. რუსი კომიკოსი მსახიობი. 23. ესე იგი. 24. მძღოლი ფილმიდან „სიყვარული ყველას უნდა“. 25. რადიო ფირსაკრავით. 26. სახედარის ხმიანობა. 27. უწიგნური, უცოდინარი. 29. ბრაზილიელი ნობელიანტი მწერალი „ქვიშის კარიერის გენერლების“ ავტორი. 30 რეგვენი, ბრიყვი. 31. გრძელი და ვიწრო ნავი აკადემიურ ნიჩბოსნობაში შეჯიბრისათვის. 32. ყავისფერი კანფეტი პატარა ოთხკუთხა კვერის სახისა. 33. იგივეა, რაც იფანი.

## ლაბირინთი

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვ | ე | ე | ნ | ს | ი | მ | ე | ნ | უ | ე | ტ | ნ | ა |
| ა | რ | ბ | უ | რ | ი | ი | ი | ო | ტ | რ | ი | კ | ლ |
| ნ | ა | ნ | ი | კ | ნ | ს | ს | რ | ა | ა | ფ | ი | პ |
| ა | ლ | ო | რ | ა | ო | ქ | ქ | ქ | რ | მ | ი | ა | ნ |
| კ | ი | ქ | ა | პ | შ | ა | ო | ა | ტ | ა | ხ | ი | დ |
| დ | უ | მ | ა | ი | უ | მ | დ | ნ | ა | ა | ლ | ე | ა |
| ო | ნ | დ | ი | ო | რ | თ | ო | ა | რ | ი | ო | ნ | ზ |
| ლ | კ | რ | ე | მ | ა | ტ | ო | რ | ა | რ | უ | ბ | ი |
| ბ | ა | ი | ც | ა | ლ | ბ | ი | ი | მ | ვ | ა | კ | ი |
| კ | ა | პ | ი | ტ | უ | მ | ს | უ | მ | ი | ი | ე | რ |
| ტ | რ | ო | ა | პ | ლ | ო | ა | ს | მ | ი | ს | ჩ | ო |

1. წამოსასხამზე მიკერებული თავსაბურავი; 2. მოტეხილობის შესაკრავი; 3. თავის აღიარება დამარცხებულად ომის დროს; 4. კონცხი ფლორიდაზე, აშშ-ს კოსმოდრომი; 5. ფიზიკაში ფუნდამენტური მუდმივა; 6. ამ ომის გმირი იყო აქილევსი; 7. ჩრდილი; 8. ჰიტლერის ძაღლი; 9. იატაკზე დასაგები, გრძელი, ვიწრო ქსოვილი; 10. შენობა სადაც კრემაციას ახდენენ; 11. ცხვრის ქონიანი, დიდი კუდი; 12. დაკეტილ კარზე დასადები ნიშანი; 13. ღვინის დასალევი ჭურჭელი; 14. მაღაზიის გამეიდველი; 15. ზრდასრული გოჭი; 16. ფლამანდრიელი მხატვარი; 17. რელიგიური მოძღვრების განუხრელად მიმდევარი; 18. საქორწილო კაბების მაღაზია თბილისში; 19. ჩაცმულობის გრძელი მოდა; 20. მველებური ფრანგული ცეკვა; 21. აფრიკული დიდრქიანი ცხოველი; 22. ... კარენინა.

## მიფკვორდი



ა–7 ს–
ბ– ტ–
გ– უ–
დ– ფ–
ე–33 ქ–
ვ– ღ–
ზ– ყ–
თ– შ–15
ი–9 ჩ–
კ– ც–
ლ– ძ–
მ–1 წ–
ნ– ჭ–
ო– ხ–
პ– ჯ–
ჟ– ჰ–
რ–25

# XX საუკუნის ყველაზე დიდი არამზადა – ალისტერ კროული



ყოველი საუკუნე ბადებს თავის გმირებს და... არამზადებსაც. ამ მხრივ გამონაკლისს არც გასული საუკუნე წარმოადგენს. მაგრამ ვინ არის გასული საუკუნის ყველაზე-ყველაზე დიდი არამზადა? გმირი კი არა, გმირებზე არ ვლაპარაკობთ, – არამზადა?! არჩევანი ძალზედ დიდია. ვიღაცა ჰიტლერს დაასახელებს, ვიღაცა სტალინს, ვიღაცა გამოკითხვის შედეგად ყველაზე საზიზღარ პიროვნებად, ჭეშმარიტად „ხორცშესხმულ ეშმაკად“ ალისტერ კროული დასახელდა. ის საკუთარ თავს უდიდეს პოეტად, მოგვად, გარყვნილად და სადისტად მიიჩნევდა. მართალია, მას საკუთარი ხელით არც ერთი ადამიანი არ მოუკლავს, მაგრამ დაამახინჯა უამრავი ადამიანის სული და გონება. მართალია, კროული 1875 წელს დაიბადა, მაგრამ სადღაც XX საუკუნეში გარდაიცვალა. ჰეროინის დოზა ვერ გათვალა...

დიდი ნათელი სახლი სიცილიაში ევროპის ყველა ოკულტისტისთვის იყო ცნობილი. მას თელემას საabატოს უწოდებდნენ, და ეს მხეცის ბუნაგი გახლდათ. აქ აღესრულებოდა ყველაზე საიდუმლო, ყველაზე კადნიერი რიტუალები, რომელსაც ჟურნალისტები რატომღაც საძაგელ და ანტიადამიანურს უწოდებდნენ. აქ ამაზრზენიმისტერიები ტარდებოდა. საკურთხევლის კუთხეებიდან მათრობელა კვამლი ადიოდა. ცენტრში აღმართული იყო საყდარი. მასზე რიტუალების დროს წვებოდა მხეცის გაშიშვლებული მეუღლე და მისი ორი შვილის დედა ლია ჰერციგი. ზოგჯერ მას ცვლიდა მოახლე ქალი ინეტა შამუეი, რომელმაც „მხეცს“ ასევე ერთი შვილი უშვა. მოგვის გაბმული გალობის ქვეშ ისინი ან თვით „მხეცს“ ეძლეოდნენ, ან კიდევ მის ადეპტებს, უფრო ხშირად – მისტერიის ყველა მონაწილეს.

1923 წლის ერთ დღეს „მხეცმა „თქვა, რომ დღეს ქურუმი დედაკაცი სექსუალურ კავშირს დაამყარებდა თხასთან, რადგან მისი აზრით ზოოფილია ახალ ჰორიზონტებს ხსნიდა ცნობიერებისთვის და სატანისადმი მიახლოებასაც ხელს უწყობდა. რიტუალის დამთავრების შემდეგ „მხეცმა“ განაცხადა, რომ ახლა უკვე ფლობს მაგიური განდობის მეათე, უმაღლეს ხარისხს და დღეიდან ღმერთებს გაუტოლდა.

მოკლედ, „მხეცისთვის“ ყველაფერი წარმატებით წარიმართა. მაგრამ აქ უეცრად გარდაიცვალა მისი მდივანი რაულ ლავდეი, მისმა მეუღლემ კი ევროპის პრესაში წამოიწყო „მხეცის“ საწინააღმდეგო კამპანია, „მხეცს“ სასამართლოთიც კი დაემუქრნენ. დაქირავებულმა ექსპერტებმა დაამტკიცეს, რომ ლავდეი თირკმლების ინფექციით გარდაიცვალა, რომელიც იმის შემდეგ მიიღო, რაც სამსხვერპლო კატის სისხლი დალია.

სკანდალი სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, იტალიის ხელისუფლებას უკვე აღარ შეეძლო რეაგირება არ მოეხდინა. საქმეს თვით მუსოლინი უძღვებოდა. მას არ სურდა ურთიერთობა გაეფუჭებინა თავის გერმანელ ერთმორწმუნეებთან და თანამოაზრეებთან, რომლებიც „მხეცს“ მფარველობდნენ, ამიტომაც, მისი დაპატიმრების აზრი იმთავითვე გამოირიცხა. ამის ნაცვლად მან ბრძანა, რათა „მხეცის“ სახლი სიცილიაში ერთი კვირის განმავლობაში დაცლილიყო. „დაე წაეთრიოს სადაც უნდა, სადაც მას ჯერ კიდევ მიიღებენ... წაეთრიოს ეს ვიღაც ალისტერ კროულია თუ ვინ ჯანდაბაა, სადაც უნდა იქ წაეთრიოს...“.

20 წლის კროული კემბრიჯის უნივერსიტეტის ტრინიტი-კოლეჯში ჩაირიცხა, სადაც მალე აღმოჩნდა სპირიტისტთა, მედიუმთა და ოკულტისტთა გარემოცვაში. იმ წლებში რომელიმე მასონური ლოჟის წევრობა კარგ ტონად მიიჩნეოდა, მაგრამ ალისტერ კროულიმ ვერანაირად გადაწყვიტა ვის მიმხრობოდა, რადგან მას რაღაც უბრალო მასონური ლოჟის წევრობა კი არ იტაცებდა, არამედ უფრო ძლიერი რამ, რაც ყველაფრის საფუძვლებს არყევს, რაც ეპატაჟურია, უსაზღვროა და სრულიად უკანონოა.

უნივერსიტეტში ჩარიცხვიდან ერთი წლის შემდეგ კროული სტოკჰოლმში გაემგზავრა, რომელიც, როგორც თვითონ ამბობდა, მაგნიტივით იზიდავდა და სწორედ იქ, ბალტიკის სანაპიროებზე, გონება „გაუნათდა“. „ჩემში გაიღვიძა იმისმა ცოდნამ, – წერდა იგი, – რომ ჩათრეული ვარ... ჩემი ნატურის მაგიურ განზრახვებში, რომელიც ამ მომენტამდე, არსებითად, დაფარული იყო ჩემგან. ეს იყო საშინელებისა და ტკივილის გამოცდილება, რომელიც ერწყმოდა გარკვეულ სულიერ დისკომფორტს და ამავდროულად უფრო სუფთა და წმიდა სულიერი ექსტაზის გასაღებს წარმოადგენდა, რომელიც კი შეიძლება ადამიანმა წარმოიდგინოს“.

თუმცა, არაკეთილმოსურნეები ამტკიცებდნენ, რომ „გამონათება“ სინამდვილეში პირველი ჰომოსექსუალური გამოცდილების შედეგი გახლდათ, რომელშიც კროულიმ საკუთარ თავს პასიური როლი განაკუთვნა.

ყოველივე ამასთან ერთად მას სპორტიც იზიდავდა. ყოველ ზაფხულს ის ალპიურ მწვერვალებზე ადიოდა. ერთ-ერთი ასეთი ექსპედიციის დროს მან გაიცნო ალქიმიკოსი ჯორჯ ჯონსი, მასონური ორდენიდან „ოქროს განთიადი“ და, რომელიც, სხვა ყველაფერთან ერთად, ერთსქესოვანი სიყვარულის მომხრეც გახლდათ.

როგორც ჯორჯით, ასევე მისი მოთხრობებით მოხიბლული კროული ორდენში გაწევრიანდა, სადაც მისი დამფუძნებელი სემუელ მაზერსი, გრაფ მაკგრეგორი, ტრადიციული მასონური რიტუალების გარდა პრაქტიკულად შუასაუკუნეობრივ კაბალისტიკასა და აღმოსავლურ დემონოლოგიას ქადაგებდა.

„ოქროს განთიადის“ წევრები იყვნენ ადამიანები, რომლებიც სხვადასხვაგვარ მიზნებს ისახავდნენ. ზოგს, მაგალითად, არტურ კონან დოილს, პოეტ უილიამ იეტსს ან მხატვარ ჯერალდ კელის, კეთილშობილური და მიამიტური მიზნები ამოძრავებდათ. ეს ადამიანები მიიჩნევდნენ, რომ ასე უფრო მიუახლოვდებოდნენ ჭეშმარიტებას... წევრთა სხვა ნაწილი, მაზერსის მეთაურობით, მთელის ძალით ელტვოდა სხვა მიზანს – დაუფლებოდნენ დემონურ ძალას, გამხდარიყვნენ დემონები. ბუნებრივია, რომ ალისტერ კროულიმაც სწორედ ამ ჯგუფს მიაშურა.

ორდენში თანდათანობით ძალას იკრებდნენ მისი „მშვიდობისმოყვარე“ ძალები. კროულის ეს არ მოსწონდა, რის გამოც მან ჩრდილოეთით, შოტლანდიაში გადაინაცვლა, სადაც ტბა ლოჰ-ნესის ნაპირებზე კარ-მიდამო იყიდა სახელწოდებით „ბოლესკინ ჰაუსი“. მან ორი ოთახი შავ და თეთრ ტაძრებად გადააკეთა, და ჯონსთან ერთად შეფუცვების დახმარებით დემონ ბუერის გამოძახება დაიწყო, რომელიც ჯოჯოხეთის 50 ლეგიონის მეთაურად მიაჩნდა.

როგორც კროული ამბობდა, მან ნაწილობრივ შესძლო ამ მიზნის განხორციელება. როგორც ჩანს, სეანსების დროს ის და ჯონსი არასაკმარისად ეძლეოდნენ ურთიერთსიყვარულს, თუმცა დემონი ბუერი ჩვენს სამყაროს უცნაური სახით – ქვეწარმავლად მოევლინა. დიახ, კროული სერიზულად ამტკიცებდა, რომ ლოჰ-ნესის ცნობილი ურჩხული – ეს მისი მაგიური ძალისხმევის შედეგია!

ლოდნოში დაბრუნებულმა კროულიმ ორდენ „ოქროს განთიადში“ განდობის ყველა საფეხური განვლო, ხოლო პარიზში „კოლეგებზე“ განაწყენებულმა მაზერსმა ის მეორე (შიდა) ორდენში მიიღო. თუმცა „ოქროს განთიადის“ წევრებმა ამ განდობის კანონიკურობა არ აღიარეს.

პატივმოყვარეობის ჭიით დაღრღნილმა კროულიმ უკვე დაიწყო ოცნება არა იმაზე, ორდენის

ერთ-ერთი რიგითი წევრი როგორ გამხდარიყო, არამედ პირველი ყოფილიყო არათანაბართა შორის, და მექსიკაში გაემგზავრა. იქ მან დაწერა წიგნები, გახდა 33-ე გრადუსის მასონი, ჩაატარა ექსპერიმენტი მაგიურ კრისტალზე, რომელსაც სამსხვერპლო მამლების სისხლში აცურავებდა.

ამის შემდეგ მოდის ინდოეთი, ბირმა- იოგა, მედიტაცია, ოკულტური ეროტიკა და დემონური შელოცვები. 1902 წელს კროულიმ პარიზში შეუხვია, სადაც მას საკუთარმა გამაოგნებელმა მტკიცებულებებმა ადგილობრივი ბოჰემის კეთილგანწყობა მოუპოვა. სკულპტორ ოგიუსტ როდენთან ის მარადიულობაზე მსჯელობდა, ხოლო სომერსეტ მოემს ანგელოზურზე ეშმაკისეულის უპირატესობას უმტკიცებდა. სომერსეტ მოემმა ამის შემდგომ კროული თავის რომანშიც („მოგვი“) გამოსახა სახელწოდებით ოლივერ ჰარლო.

ერთი წლის შემდეგ კროული როზა კელლიზე, თავისი მასონი თანამოძმის დაზე დაქორწინდა, და საქორწილო მოგზაურობაში გაემგზავრა. პარიზი, რომი, ინდოეთი, ეგვიპტე... კაიროში კროულის მეუღლე საკმაოდ წარმატებით ითვისებს ტრანსის გაკვეთილებს, და იქვე ღებულობს უწყებას აივაზის სულისგან. ცოლი, რა თქმა უნდა, მის მიერ გაგონილს ქმარს უზიარებს, და რამოდენიმე დღის შემდეგ ალისტერ კროულის კალმისგან იშვება თხზულება „კანონთა წიგნი“, რომელშიც ლაპარაკია ახალ, მერწყულის ერაში შესვლაზე. ძველი კანონები, რომლებითაც კაცობრიობა ცხოვრობდა, ადგილს უთმობს ახალს; საყოველთაო რელიგია გახდება სწავლება თელემას (ბერძნულიდან

– „ნება“) შესახებ; უმთავრესი ლოზუნგია – „აკეთე ის, რაც გსურს, – მთელი კანონიც ამაშია“.

კროული ასწავლიდა: „თუ ძალა გკითხავს „რატომ“, ის უძლურება გახდება“. და კიდევ: „ნუ უთანაგრძნობ დაცემულს...“. 1907 წელს მან საკუთარი ორდენი „ვერცხლის ვარსკვლავი“ დააფუძნა და თვითონაც ამ პრინციპებით ცხოვრობდა. 1909 წელს მისი მეუღლეს აგრესიული სიგიჟის სიმპტომები დაეწყო, რომელსაც კროული დაუყოვნებლივ გაშორდა, ხოლო როდესაც როზა კელი-კროულიმ ორი წლის შემდეგ თავი მოიკლა და ეს ალისტერ კროულის აცნობეს, მან მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

კროულის მტკიცებით, მას 1912 წლიდან 1921 წლამდე თავისი რიტუალების დროს ყოველწლიურად 150-მდე ყრმა დაუხოცავს. მაგრამ ეს მხოლოდ სარეკლამო ტრიუკი გახლდათ.

იტალიიდან გაძევებული ალისტერ კროული ტუნისში მიემგზავრება, შემდეგ კი გერმანიაში გადადის, სადაც ლოჟა „ო.ტ.ო.“-ს თავმჯდომარე ხდება. რადგან ზურგს უკან ისეთი მძლავრი მხარდაჭერა გააჩნდა, როგორიც ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა იყო, და რომელიც იმხანად ძალებს იკრებდა, ალისტერ კროული მთელს ევროპაში იწყებს მოგზაურობას და ეწევა თელემის პროპაგანდას.

მაგრამ არც ერთ ქვეყანას არ სურს ოდნავ მაინც დაითმინოს მისი გამოხდომები, რამეთუ ეს იმთავითვე ემჩნევა სახელმწიფოს რეპუტაციას. საბოლოოდ საფრანგეთში კროული მაინც მოხვდა სასამართლოზე, თანაც საქმის გარჩევის პროვოცირება თვითონ მოახდინა როდესაც ბრალი დასდო თავის ყოფილ მეგობარ ქალს ნინა ჰემნეტს. მაგრამ პროცესზე მოპასუხეს მოჰყავს შეუვალი მტკიცებულებები იმისა, მის მიერ მოთხრობილი ამბები კოშმარულ რიტუალებზე, რომელსაც ალისტერ კროული

თელემის საბატონში პრაქტიკულად ახორციელებდა – სრული სიმართლეა, და ამავე სასამართლოზ საპასუხო სარჩელი აღძრა...

ამ დროისთვის, ფინანსური თვალსაზრისით, კროული თითქმის გაღატაკდა. შეძლებული მოწაფეები სულ უფრო და უფრო ეცლებოდა; შეიცვალა მხეცისადმი ნაცისტების დამოკიდებულებაც – ამჯერად, 1934 წელს, „ოკულტიზმის თამაშის“ წესებს ნაცისტები უკვე თვითონ კარნახობდნენ; კროულის დიდხანს ვერც მისი ახალი მეუღლის, ნიკარაგუელი მარია ფერარი დე მირამარის მზითევი ეყო. მოკლედ, იმის შემდეგ, რაც კროულიმ ნინა ჰემნეტის ფინანსური პრეტენზია დააკმაყოფილა, იძულებული გახდა თავი ბანკროტად ეღიარებინა.

მისი შემოსავლის ერთადერთი წყარო ხდება წიგნები, რომლებსაც ციებ-ცხელებიანივით წერს. თავისი ცხოვრების ბოლო წლებში კროულის პოპულარობა დაეცა და მისი დიდება ყველამ მიივიწყა. კროული, როგორც კლიენტ-ალკოჰოლიკი, ინგლისის ჰასტინგში, ხანდაზმულთა პანსიონ „ნეზერვუდში“ დაბინავდა.

1947 წლის 1 დეკემბერს ალისტერ კროული გარდაიცვალა. ოფიციალური ვერსიით: „ქრონიკული ბრონქიტისგან“. ამას ჯიუტად ამტკიცებდნენ პანსიონის მფლობელები, რომლებისთვისაც ძნელი იყო იმის ახსნა, როგორ ახერხებდა მათ დაწესებულებაში მყოფი პაციენტი შპრიცებისა და ჰეროინის შემოზიდვას...

5 დეკემბერს, ბრაიტონში, მოხდა კროულის კრემირება. ცერემონიის დროს მიცვალებული შემოსილი იყო თეთრ-წითელ-ოქროსფერ ბალახონში, ხელთ კი მახვილი და სკიპტრა ეპყრა. საფლავზე, ანდერძის თანახმად, წაიკითხეს რჩეული ადგილები „კანონთა წიგნიდან“ და კროულის მიერ სიკვდილის წინ შეთხზული ჰიმნი, რომელიც წარმართულ „ღმერთ“ პანს მიუძღვნა. ამ ნაწარმოებს ასეც ეწოდება „ჰიმნი პანს“. მასში არის ასეთი სტროფები: „და მე – ვბოდავ; შეუჩერებლივ და უსასრულოდ ვაუპატიურებ, ვხევ და ვითმენ ამ სამყაროს...“ კროული ხომ საკმაოდ ცუდი პოეტი გახლდათ.

ალისტერ კროულის პანაშვიდთან დაკავშირებით ბრაიტონის ქალაქის საბჭომ გამოიტანა დადგენილება: „ჩვენ მივიღებთ ყველა ზომას იმისათვის, რათა მომავალში მაინც არ დავუშვათ მსგავსი შემთხვევის განმეორება“.

**ქეთევან ზარნაძე**
599 52 60 30

# „საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი **მთვარისა კევლიშვილი.**

**ტელ.**: 2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

**– როგორია სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი?**

– ასეთი შეკითხვა რამდენჯერმე შემოვიდა “ საერთო გაზეთის” რედაქციაში. სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად მთლიანად წარმოგიდგენთ საქართველოს შრომის კოდექსის მე–4 მუხლის შინაარსს.

მუხლი 4. სამუშაოზე მიღების მინიმალური ასაკი და შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობა

1. ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან.

2. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მიმართაც.

3. 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ სპორტულ, ხელოვნებასთან დაკავშირებულ და კულტურის სფეროში საქმიანობაზე, ასევე სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

4. აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად.

5. აკრძალულია არასრულწლოვანთან, ასევე ორსულ ან მეძუძურ ქალთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებიანი სამუშაოების შესასრულებლად.

* * *

**– ჩემი ახლობელი სასამართლო წესით გარდაცვლილად გამოცხადდა. მისი მეუღლე გათხოვდა. რამდენიმე წლის წინ ქმარი დაბრუნდა. რა ბედი ელის ქალის ქორწინებას?**

– თუკი განქორწინების შემდეგ, სასამართლოს მიერ გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო–უკვლოდ დაკარგულად აღიარებული მეუღლე გამოჩნდება, მაშინ გაუქმდება სასამართლოს გადაწყვეტილება გარდაცვლილად გამოცხადების ან უგზო–უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ. ქორწინება შეიძლება აღდგეს მეუღლეთა ერთობლივი განცხადების შეტანით სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, ხოლო თუ ისინი სასამართლოს გზით იყვნენ განქორწინებულნი – სასამართლოში. ქორწინების აღდგენა დაუშვებელია, თუკი გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო–უკვლოდ დაკარგულად აღიარებული პირის მეუღლე უკვე დაქორწინებულია სხვა პირზე.

* * *

**– განქორწინებას ვაპირებ მეუღლესთან. შესაძლებელია თუ არა, ეს მოხდეს სასამართლოს გარეშე?**

– დიახ, ეს შესაძლებელია, თუ არსებობს ორი პირობა: 1/ ორივენი თანახმა უნდა იყოთ განქორწინებაზე და 2./ არ უნდა გქონდეთ ქონებრივი დავა, ყოველ შემთხვევაში, განქორწინების ეტაპზე.

თუ არსებობს ეს ორი აუცილებელი პირობა, შეგიძლიათ მიმართოთ სამოქალაქო რეესტრის ორგანოს თქვენი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გადაიხდით სახელმწიფო ბაჟს 45 ლარის ოდენობით და სააგენტო კანონით დადგენილი წესით მოახდენს თქვენს განქორწინებას.

* * *

**– სად და რა წესით ხდება განქორწინების რეგისტრაცია?**

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1137- ე მუხლის მიხედვით, განქორწინების რეგისტრაცია ხდება სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამავე კოდექსის1138-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით. სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე განქორწინების რეგისტრაციას ახდენს სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ორივე ან ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინების რეგისტრაციის შემთხვევაში სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ამის შესახებ აცნობებს მეორე მეუღლეს, თუ ცნობილია მისი და სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის მისამართი, რომელმაც მოახდინა ქორწინების რეგისტრაცია.

* * *

– ვის მიმართ გამოიყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი?

– არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი გამოიყენება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობისას. ეს კოდექსი გამოიყენება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიმართ ამ კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ეს პირი ბრალდებულია / თუ იგი გადახდისუუნაროა/ ამ კოდექსის 38-ე–48-ე მუხლებით დადგენილი ნორმები / განრიდების საკითხი/ვრცელდება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული.

# მხარი დაუჭირე შენი ქვეყნის ძლიერებას – შეიძინე მხოლოდ ქართული პროდუქცია!

ISSN 2233-3983
9 772233 398001
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com